

საცხოვერისის უფლება

(საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის მიმოხილვა)

დაგეგმარე სახელმძღვანელო იურიუსტებისთვის

საცხოვრისის უფლება
(საერთაშორისო სტანდარტებისა
და პრაქტიკის მიმოხილვა)



ევროკავშირი
საქართველოსთვის
EU4Justice

ადამიანის უფლების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი

EMC

Human Rights Education and Monitoring Center

დოკუმენტი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად არის პასუხისმგებელი „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC)“ და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორი: ნანა მჭედლიძე

დოკუმენტის გამოცემაზე პასუხისმგებელი: სოფო ვერძეული

რედაქტორი: ნინო კალატოზიშვილი

დამკაბადონებელი: თორნიკე ლორთქიფანიძე

გარეკანი: სალომე ლაცაბიძე

ტირაჟი: 300

ISBN: 978-9941-8-1771-7

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 233706

www.emc.org.ge

info@emc.org.ge

<https://www.facebook.com/EMCRIGHTS/>

სარჩევი

შესავალი	6
სტანდარტები, მათი ძალა და ურთიერთკავშირი	7
თავი I. საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტები.....	13
საცხოვრისის უფლება საერთაშორისო სამართალში	13
სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი.....	17
1. განმარტება და მატერიალურ-სამართლებრივი ფარგლები	18
2. ქმედითობა	24
3. სამართლებრივი დაცვა	24
4. უსახლკარობის შემცირება.....	25
5. უფლება თავშესაფარზე.....	26
თავი II. იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებული სტანდარტები	28
იძულებითი გამოსახლება საერთაშორისო სამართალში	28
სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი.....	29
1. განმარტება და არსი	29
2. გარანტიები იძულებითი გამოსახლების წინააღმდეგ	31
3. გამოსახლების დასაბუთება	33
თავი III. საერთაშორისო სასამართლოების რელევანტური პრაქტიკა.....	35
ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა	35
1. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება	35
2. საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება	40
3. საკუთრების დაცვა.....	41
4. სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები სამართლიანი წონასწორობის დასადგენად.....	42
5. კონკრეტული საქმეები	46
ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტია და ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა	75

შესავალი

ადეკვატურ საცხოვრისზე უფლება ადამიანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი უფლებაა და მას პირდაპირი გავლენა აქვს სხვა ფუნდამენტური უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობაზე. სამწუხაროდ, როგორც საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშებში წლიდან წლამდე აღინიშნება, ამ მხრივ, ქვეყანაში სავალალო მდგომარეობაა.¹ „სუსტი და ფრაგმენტული საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების პირობებში, ქვეყანაში არ არსებობს უსახლკარობის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, რომელიც ასახავდა სახელმწიფოს ხედვას აღნიშნული გამოწვევების გამკლავებასთან, მათ შორის, პრევენციასთან, მიმართებით“.² ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ფარგლებში დამტკიცებული 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით, საქართველომ აიღო საცხოვრისის პოლიტიკის დოკუმენტისა (სტრატეგია) და სამოქმედო გეგმის შემუშავების ვალდებულება, რომელიც სხვადასხვა ჯგუფის ჩართულობით უნდა მომზადდეს, ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს ხედვა აღნიშნულ სფეროში და უსახლკარობასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოფხვრის ეტაპობრივი გეგმა გაითვალისწინოს. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების ბოლო ვადად – 2020 წლის დეკემბერია განსაზღვრული, ხოლო აღნიშნული დოკუმენტების დასამტკიცებლად წარდგენის ბოლო ვადად 2021 წლის სექტემბერია აღნიშნული.³

წარმოდგენილ სახელმძღვანელოში მიმოხილულია საცხოვრისის უფლების სხვადასხვა ასპექტი და სახელმწიფოს მიერ გასატარებელი პოლიტიკის გარკვეული კომპონენტები, მათ შორის, ისეთი ცნებები, როგორცაა, ადეკვატური საცხოვრისი, უფლებაში ჩარევა და მისი მართლზომიერების კრიტერიუმები, თავშესაფრითა და სოციალური საცხოვრისით უზრუნველყოფა, უსახლკარობა, იძულებითი გამოსახლების აკრძალვა, ქმედითი დაცვის სამართლებრივი გარანტიები, უცხოელთა უფლებები, საჯარო პოლიტიკის ფორმირება და მისი შეფასება. სახელმძღვანელოში განხილული არ არის საცხოვრისის დაცულობის უფლების საკითხები პირის საცხოვრებელ ადგილას ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა თუ ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მართლზომიერების თვალსაზრისით, თუმცა, საკითხის აქტუალურობიდან გამომდინარე, განხილულია ერთი საქმე, რომელიც ცნობილი ჟურნალისტის ბინაში ფარული კამერების დამონტაჟებას და

1 იხ., *inter alia*, საქართველოს სახალხო დამცველის 2018 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 208 *et seq.*; საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 234 *et. seq.*; საქართველოს სახალხო დამცველის 2016 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 713 *et. seq.*; საქართველოს სახალხო დამცველის 2015 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ. 775 *et. seq.*

2 „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის (EMC)“ განცხადება, 16 ნოემბერი, 2018 წელი. 3 იქვე.

ინტიმური ცხოვრების ამსახველი კადრების ინტერნეტში გავრცელებას ეხება. კერძოდ, განხილულია სახელმწიფოს ვალდებულებები აღნიშნული კუთხით.

წინამდებარე დოკუმენტი არის ერთგვარი დამხმარე სახელმძღვანელო, რომელიც მიზნად ისახავს, მოსამართლეებს, ადვოკატებს, ადამიანის უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებს, იურიდიული პროფესიის წარმომადგენლებს გაუზიაროს თემატურად თავმოყრილი, სისტემატიზებული და გადამუშავებული მასალა სათანადო საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებით, ამ გზით კი, ხელი შეუწყოს საკითხის მიმართ ცოდნის, მგრძობელობის ზრდასა და უკეთესი სტანდარტების დანერგვას, ასევე, წაახალისოს სიღრმისეული დისკუსია საცხოვრისთან დაკავშირებულ საკითხებზე. სახელმძღვანელოს პრაქტიკული დანიშნულება აქვს კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიმღები, ნორმის შემფარდებელი, კანონმდებლობისა და პოლიტიკის მიღებისა და გამოყენების შედეგად სავარაუდო უფლებადარღვევების განმხილველი ორგანოებისთვის.

EMC იმედს გამოთქვამს, რომ მომზადებული დოკუმენტი დაეხმარება სასამართლო სისტემას, სახელმწიფო ორგანოებს, ადამიანის უფლებების სფეროში მომუშავე ორგანიზაციებს და ხელს შეუწყობს სათანადო საცხოვრისისა და უსახლკარობის მიმართულებით ძირეულ პოზიტიურ ცვლილებებს.

სტანდარტები, მათი ძალა და ურთიერთკავშირი

წინამდებარე სახელმძღვანელოში განხილულია საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებით სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებები, რომლებიც ეყრდნობა როგორც სახელმწიფოთა ანგარიშებში, ისე სახელმწიფოთა წინააღმდეგ კომიტეტში შეტანილ კოლექტიურ საჩივრებში მოცემული ინფორმაციის შეფასებას. თავად სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის ცნობით, სოციალური ქარტიის 31-ე მუხლი შესაბამისი საერთაშორისო აქტების ჭრილსა და მათთან ერთობლიობაში განიმარტება. კერძოდ, ესენია: ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.⁴ ამიტომ სახელმძღვანელოში მიმოხილულია ამ აქტების შესატყვისი დებულებები და შესაბამისი ორგანიზაციების განმარტებები, კერძოდ, გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარები და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა. აგრეთვე, საქართველოსთვის ევროკავშირის სამართლის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მიმოხილულია ევროკავშირის პირველადი და მეორე კანონმდებლობის შესატყვისი დებულებები და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებები საბინაო შეღავათებსა და იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებით.

4 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, 2018, გვ. 226.

ევროპული სოციალური ქარტია

საქართველოს რატიფიცირებული აქვს 1996 წლის 3 მაისის ევროპული სოციალური ქარტია (შესწორებული) და იგი საქართველოსთვის 2005 წლის 1 ოქტომბერს შევიდა ძალაში, მაგრამ, დღესდღეობით, საქართველოს სავალდებულოდ არ აქვს აღიარებული ევროპული სოციალური ქარტიის 31-ე მუხლი, რომელიც საცხოვრისის უფლებას ითვალისწინებს. ამის საშუალებას სახელმწიფოს ქარტიის III ნაწილის A მუხლი აძლევს.

ის გარემოება, რომ საქართველოსთვის ქარტიის 31-ე მუხლის არცერთი დებულება ძალაში არაა, სახელმწიფოს საცხოვრისის უფლების უზრუნველყოფის ვალდებულებისგან მაინც არ ათავისუფლებს. ეს უფლება პირდაპირ არის გათვალისწინებული საქართველოს მიერ რატიფიცირებულ მრავალ სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტში⁵ (რომელიც ევროპული სოციალური ქარტიის III ნაწილის A მუხლის მსგავს საშუალებას არ იძლევა) ან შესაბამისად სასამართლოს განმარტებით, ამ აქტებში იგულისხმება.⁶ საცხოვრისზე უფლება ასევე აღიარებულია საერთაშორისო ორგანიზაციების რეგოლაციებსა და რეკომენდაციებში, რომლებსაც საქართველოსთვის პოლიტიკურად სავალდებულო ძალა აქვს.⁷ შესაბამისად, საქართველოს ისედაც აკისრია სამართლებრივი და პოლიტიკური ვალდებულება, უზრუნველყოს საცხოვრისის უფლების რეალიზება საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

საცხოვრისის უფლების მთელი რიგი ასპექტები, მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე, მჭიდროდ არის დაკავშირებული ფუძემდებლურ უფლებებთან; მათ შორის, სიცოცხლის უფლებასთან,⁸ რომელიც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებული ყველაზე ფუძემდებლური უფლებების რანგში გადის და ევროპის საბჭოს შემადგენელი დემოკრატიული საზოგადოებების უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს ასახავს.⁹ ამასთან, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებით, 31-ე მუხლში მოაზრებული თავშესაფრის უფლება უმნიშვნელოვანესია თითოეული ინდივიდის ადამიანური ღირსების დასაცავად.¹⁰

5 იხ. თავი „საცხოვრისის უფლება საერთაშორისო სამართალში“.

6 იხ. ქვეთავი „საცხოვრისის უფლება ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაში“.

7 იხ. თავი „საცხოვრისის უფლება საერთაშორისო სამართალში“.

8 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, 2018, გვ. 229.

9 იხ. ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება საქმეზე ნიკოლაე ვირგილიუ თანასე რუმინეთის წინააღმდეგ (*Nicolae Virgiliu Tănase v. Romania*), განაცხადი no. 41720/13, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2019 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 134.

10 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, 2018, გვ. 229.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი

იგივე მიდგომა აქვს გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტს. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის¹¹ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გათვალისწინებული ადევკატური საცხოვრისის უფლება არ შეიძლება განიხილებოდეს საერთაშორისო აქტებით გარანტირებული ადამიანის სხვა უფლებებისგან იზოლირებულად. ამ შემთხვევაში ღირსება და დისკრიმინაციის აკრძალვა ცენტრალური მნიშვნელობისაა. გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის აზრით, ადევკატური საცხოვრისის უფლების სრული რეალიზება განუყოფელია საზოგადოებაში სხვა უფლებების განხორციელების გარეშე, როგორცაა: გამობატვის თავისუფლება, გაერთიანების თავისუფლება, საცხოვრებელი ადგილის თავისუფლების უფლება და გადაწყვეტილების მიღების საჯარო პროცესში მონაწილეობის უფლება. პირის უფლება, არ დაექვემდებაროს პირად, ოჯახურ ცხოვრებასა თუ საცხოვრისსა და მიმონწერაში თვითნებურ თუ არამართლზომიერ ჩარევას, ადევკატური საცხოვრისის უფლების უმნიშვნელოვანეს განზომილებას შეადგენს.¹²

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებითაც, საცხოვრისის უფლების მთელი რიგი ასპექტები ხვდება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის¹³ მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება), პირველი ოქმის¹⁴ პირველი მუხლის (საკუთრების დაცვა) და მე-4 დამატებითი ოქმის¹⁵ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის (საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება) მოქმედების ფარგლებში.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მიერ სავალდებულოდ არ არის აღიარებული ევროპული სოციალური ქარტიის 31-ე მუხლით გარანტირებული საცხოვრისის უფლება, სახელმწიფოს ამ უფლების უზრუნველყოფის ვალდებულება მაინც აკისრია, მისთვის ძალაში არსებული სხვა, სამართლებრივად მავალეებელი და აგრეთვე სარეკომენდაციო, მაგრამ პოლიტიკურად მავალეებელი საერთაშორისო აქტების სა-

11 1966 წლის 16 დეკემბერი; საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

12 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის 80გადი კომენტარი no. 4: უფლება ადევკატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); პუნქტი 9.

13 საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 20 მაისიდან.

14 საქართველოსთვის ძალაშია 2002 წლის 7 ივნისიდან.

15 საქართველოსთვის ძალაშია 2000 წლის 13 აპრილიდან.

ფუძვლზე. საცხოვრისის უფლების სხვადასხვა ასპექტი სახელმწიფოსთვის სავალდებულოდ შესასრულებელ სხვა უფლებებთან ორგანულად არის დაკავშირებული ან მათ შინაარსს ქმნის. აქედან გამომდინარე, ყოველგვარ რაციონალურ აზრს მოკლებულია ის გარემოება, რომ საქართველოს დღემდე ქარტიის 31-ე მუხლი სავალდებულოდ არ უღიარებია. მეორე მხრივ კი აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით, ევროპული სოციალური ქარტია ევროპის სოციალურ კონსტიტუციადაა აღიარებული და ყველაზე სრულყოფილად ითვალისწინებს სოციალურ უფლებებს. ქარტიის 31-ე მუხლით გარანტირებული საცხოვრისის უფლება მოიცავს მთელ რიგ გარანტიებს, რომელთა არსებობაც აუცილებელია სახელმწიფოში, რომელიც ქვეყნის უზენაესი კანონით სოციალურ სახელმწიფოდ არის აღიარებული და „ზრუნავს საზოგადოებაში სოციალური სამართლიანობის, სოციალური თანასწორობისა და სოციალური სოლიდარობის პრინციპების განმტკიცებაზე“.¹⁶

ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტია

საქართველოსთვის ევროკავშირის სამართალს (*acquis communautaire*) ძალა, როგორც ასეთი, არ აქვს, თუმცა გარკვეულ სფეროებში საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, კანონმდებლობის ევროკავშირის სამართალთან თანდათანობით დაახლოებისა და მისი ქმედითი იმპლემენტაციის კუთხით.¹⁷ შესაბამისად, სახელმძღვანელოში მიმოხილულია ევროკავშირის რელევანტური დირექტივები, რომლებიც ევროკავშირის მეორად კანონმდებლობას ქმნის და უნდა შეესაბამებოდეს ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიას, რომელიც ევროკავშირის პირველადი კანონმდებლობის ნაწილია.

საცხოვრისის უფლების იმპლემენტაციის ასპექტები

საცხოვრისის უფლების, როგორც სოციალური უფლების, განხილვისას, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს მისი განხორციელების ვალდებულების სპეციფიკა. ზოგადად, საერთაშორისო სამართლის თანახმად, სოციალური უფლებების სრულად განხორციელება შესაძლოა პროგრესულად, არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.¹⁸ მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, საცხოვრისის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვა ფუძემდებლურ უფლებებთან, როგორიცაა მაგალითად, სიცოცხლის უფლება და ცხადია, სიცოცხლის უფლების უზრუნველყოფა სახელმწიფოს დაუყოვნებელი და არა პროგრესული რეალიზების საგანია. ასევე, ადამიანის ღირსება სოციალური უფ-

16 იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლი.

17 იხ. 2014 წლის 27 ივნისის „ასოცირების შესახებ შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის“ ძალაშია 2016 წლის 1 ივლისიდან.

18 იხ. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლი.

ლებების ევროპული კომიტეტისა და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, საცხოვრისთან ორგანულად არის დაკავშირებული, ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დაცვის სფეროა და მისი უზრუნველყოფის ვალდებულება სახელმწიფოს სოციალური უფლებების მსგავსად, სამომავლოდ ვერ ექნება გადავადებული.¹⁹

მნიშვნელოვანია სოციალური უფლების პროგრესული განხორციელების სპეციფიკა იძულებით გამოსახლების აკრძალვასთან მიმართებაში, რაც საცხოვრისის უფლების ერთი ასპექტია. სახელმწიფოზე იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებით დაკისრებული ვალდებულებები ემყარება გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც პაქტის სხვა დებულებებთან ერთობლიობაში უნდა იკითხებოდეს. კერძოდ, პაქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულია სახელმწიფოს ვალდებულება, გამოიყენოს „ყველა სათანადო საშუალება“, რათა ხელი შეუწყოს პაქტით გათვალისწინებული უფლებების, მათ შორის, ადეკვატური საცხოვრისის უფლების განხორციელებას.²⁰ კომიტეტი მიიჩნევს, რომ პაქტის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში არსებული მითითება უფლებების პროგრესულ განხორციელებაზე, ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით, იძულებითი გამოსახლების კონტექსტში, ამ პრაქტიკის ბუნების გათვალისწინებით, იშვიათად იქნება რელევანტური. სახელმწიფომ თავად უნდა შეიკავოს თავი იძულებით გამოსახლებისგან და უზრუნველყოს კანონის აღსრულება თავისი მოხელეებისა თუ მესამე პირების მიმართ, რომლებიც პირს იძულებით გამოასახლებენ. კომიტეტი, აგრეთვე, ითვალისწინებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლის პირველ პუნქტს, რომელიც ავსებს პირის უფლებას, არ იქნეს იძულებით გამოსახლებული ადეკვატური დაცვის გარეშე. ეს დებულება, აღიარებს, *inter alia*, პირის უფლებას, დაცული იყოს „თვითნებური თუ არამართლზომიერი ჩარევისგან“ პირის საცხოვრისში. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს აღნიშნული უფლების დაცვა, არ შეიძლება დამოკიდებული იყოს რესურსების ხელმისაწვდომობაზე.²¹

19 თუმცა, ზოგიერთ შემთხვევაში, საცხოვრისის უფლებას წმინდად სოციალური განზომილება აქვს, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან კავშირის გარეშე. ამ კონტექსტში, აღსანიშნავია ურთიერთმიმართება პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისის დაცულობის უფლებას, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას და საკუთრების დაცვას შორის და სახელმწიფოსთვის ამ უფლებების განსახორციელებლად მინიჭებული განსხვავებული მიხედვლების ფარგლები, იხ. დეტალურად ქვემოთ „სახელმწიფოს მიხედვლების ფარგლები სამართლიანი წონასწორობის დასადგენად.“

20 პაქტის მე-2 მუხლის პირველ პუნქტთან დაკავშირებით, იხ. გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი no. 3 ხელშემკვერელ სახელმწიფოთა ვალდებულებების ხასიათის შესახებ (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი), 1990 წლის 14 დეკემბერი.

21 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); იძულებით გამოსახლება, პუნქტი 8.

სოციალური უფლებებით სარგებლობა, როგორც წესი, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებისგან განსხვავებით, უზრუნველყოფილია კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებისთვის ან, უკეთეს შემთხვევაში, დამოკიდებულია უცხო ქვეყნის მოქალაქეების ან მოქალაქეობის არმქონე პირების ქვეყანაში კანონიერად ყოფნასა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული გარკვეული სტატუსის ქონაზე. ამ თვალსაზრისით, აღსანიშნავია სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტება, რომლის თანახმადაც, *inter alia*, უსახლკარო პირებთან მიმართებით, რომლებიც, იმისდა მიუხედავად, ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებიან თუ კანონიერად, იქნებიან ესენი ბავშვები თუ ზრდასრული ადამიანები, სახელმწიფოსგან სათანადო თავშესაფრით უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი.²²

საცხოვრისის უფლების ყველა ხსენებული ასპექტი მიუთითებს მის განსაკუთრებულ ბუნებასა და მნიშვნელობაზე, მჭიდრო და ორგანულ კავშირზე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებთან და ზოგიერთ შემთხვევაში, უფლების რეალიზების ვალდებულების სხვა სოციალური უფლებებისგან განსხვავებულ დინამიკასა და სპეციფიკაზე, დაბოლოს, ამ ყველაფრიდან გამომდინარე, სახელმწიფოს მხრიდან უფლების დაცვის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულებაზე.

გემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქართველოს მიერ სოციალური ქარტიის 31-ე მუხლის ყველა დებულების სავალდებულოდ აღიარებას და სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებების შესაბამისად მის განხორციელებას. ასევე, საჭიროა 1995 წლის 9 ნოემბრის დამატებითი ოქმის რატიფიკაციაც, რომლითაც კოლექტიური საჩივრების სისტემაა გათვალისწინებული. დღესდღეობით, საქართველო მხოლოდ ანგარიშების წარდგენის გზით ექვემდებარება სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის საზედამხედველო სისტემას. კომიტეტში საქართველოს წინააღმდეგ კოლექტიური საჩივრების წარდგენის ნების დართვა მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს სახელმწიფოში საცხოვრისის უფლების რეალიზებაზე კონტროლს.

²² *Defence for Children International (DCI) v. the Netherlands*, საჩივარი no. 47/2008, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 47.

თავი I. საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებული სტანდარტები

საცხოვრისის უფლება საერთაშორისო სამართალში

წინამდებარე თავში მითითებულია მნიშვნელოვანი საერთაშორისო აქტები, რომლებიც საცხოვრისზე უფლებას ითვალისწინებს და საქართველოსთვის სამართლებრივად ან პოლიტიკურად მავალზელი ძალა აქვს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის²³ 25-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს ყველა ადამიანის უფლებას ცხოვრების სტანდარტზე, რომელიც ადევკატურია მისი და ოჯახის წევრების ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის, მათ შორის, საცხოვრისის ჩათვლით.

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის²⁴ მე-11 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პაქტის ხელშემკვერელი სახელმწიფოები აღიარებენ ყველა ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების ადევკატური დონე, მათ შორის, საცხოვრისის ჩათვლით. ამ უფლების რეალიზების უზრუნველსაყოფად ხელშემკვერელმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა შესაბამისი ღონისძიება, აღიარებენ რა, ამ მხრივ, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.

რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის²⁵ მე-5 მუხლის „ე“ პუნქტის „iii“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას, აკრძალონ და აღმოფხვრან რასობრივი დისკრიმინაცია ყველა ფორმით და უზრუნველყონ კანონის წინაშე თანასწორობის უფლება ყველასთვის, რასის, კანის ფერის, ეროვნებისა თუ ეთნიკური წარმოშობის მიუხედავად, მათ შორის, განსაკუთრებით საცხოვრისის უფლება.

ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის²⁶ მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა სოფლად ქალთა დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რათა უზრუნველყონ, მამაკაცთა და ქალთა თანასწორობის საფუძველზე სოფლის განვითარებაში მათი

23 1948 წლის 10 დეკემბერი.

24 1966 წლის 16 დეკემბერი; საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 3 აგვისტოდან.

25 1965 წლის 21 დეკემბერი; საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 16 აპრილიდან.

26 1979 წლის 18 დეკემბერი; საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 22 სექტემბრიდან.

მონაწილეობა და მისით სარგებლობა. კერძოდ, უნდა უზრუნველყონ ასეთი ქალებისთვის, მათ შორის, უფლება, ისარგებლონ ცხოვრების ადეკვატური პირობებით, კონკრეტულად, საცხოვრისით.

ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციის²⁷ 21-ე მუხლის თანახმად, იმდენად, რამდენადაც დაბინავება კანონმდებლობით რეგულირდება ან საჯარო ხელისუფლების კონტროლს ექვემდებარება, საცხოვრისთან დაკავშირებით ხელშემკვრელი სახელმწიფოები თავიანთ ტერიტორიაზე მართლზომიერად მყოფ ლტოლვილებს უქმნიან მაქსიმალურად ხელსაყრელ გარემოს, ყოველ შემთხვევაში, იმაზე არანაკლებს, ვიდრე მსგავს პირობებში ჩვეულებრივ სარგებლობენ უცხოელები.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის²⁸ 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა შიდასახელმწიფოებრივი პირობებისა და შესაძლებლობების მიხედვით უნდა გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები, რათა დაეხმარონ მშობლებს და ბავშვზე პასუხისმგებელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყონ მატერიალური დახმარება და მხარდაჭერის პროგრამები, განსაკუთრებით, მათ შორის, საცხოვრისთან დაკავშირებით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის²⁹ 28-ე მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს შშმ პირებისთვის ცხოვრების ადეკვატური სტანდარტისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულებას: მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტზე საცხოვრებელ პირობებზე მათთვის და მათი ოჯახებისათვის, რაც მოიცავს ადეკვატურ კვებას, ტანსაცმელს, საცხოვრებელ პირობებს; ასევე უფლებას საცხოვრებელი პირობების უწყვეტ გაუმჯობესებაზე; იღებენ შესაბამის ზომებს აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზებისათვის, შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებული ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

სოციალურ უფლებათა ევროპული ქარტია (შესწორებული)³⁰ 31-ე მუხლში ითვალისწინებს საცხოვრისის უფლებას და ადგენს, რომ საცხოვრისზე უფლების ქმედითი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულნი არიან იღებენ, მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს: 1. საცხოვრისის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობას; 2. უსახლკარობის თავიდან აცილებას და შემცირებას, თანდათან მისი აღმოფხვრის მიზნით; 3. საცხოვრისის ფასის ხელმისაწვდომობას მათთვის, ვისაც სათანადო სახსრები არ გააჩნია.

27 1951 წლის 28 ივლისი; საქართველოსთვის ძალაშია 1999 წლის 28 მაისიდან.

28 1989 წლის 20 ნოემბერი; საქართველოსთვის ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან.

29 2007 წლის 30 მარტი; საქართველოსთვის ძალაშია 2014 წლის 12 აპრილიდან.

30 1996 წლის 3 მაისი; საქართველოსთვის ძალაშია 2005 წლის 1 ოქტომბრიდან.

ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიის³¹ 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სოციალურ გარიყულობასა და სიღარიბესთან საბრძოლველად კავშირი აღიარებს და იცავს სოციალურ და საბინაო დახმარებაზე უფლებას, ყველა იმ პირის სათანადო არსებობის³² უზრუნველსაყოფად, ვისაც საკმარისი სახსრები არ გააჩნია, კავშირის სამართლის, ეროვნული კანონმდებლობისა და პრაქტიკით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

სოციალური პროგრესისა და განვითარების დეკლარაციის³³ II ნაწილის მე-10 მუხლის „ვ“ პუნქტის თანახმად, სოციალური პროგრესი და განვითარება მიმართული უნდა იყოს საზოგადოების ყველა წევრის ცხოვრების მატერიალური და სულიერი სტანდარტების განგრძობადი გაუმჯობესებისკენ, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემით და მათ შესაბამისად, მათ შორის, შემდეგი მიზნის მიღწევის გზით: ყველასთვის, განსაკუთრებით დაბალშემოსავლიან პირთა ჯგუფებისა და დიდი ოჯახებისთვის ადეკვატური საცხოვრისისა და სათემო მომსახურების უზრუნველყოფა.

ადამიანთა განსახლების შესახებ ვანკუვერის დეკლარაციის³⁴ მე-3 მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, ადეკვატური თავშესაფარი და მომსახურება არის ძირითადი უფლება, რომელიც აკისრებს ხელისუფლებას ვალდებულებას, უზრუნველყოს მათი განხორციელება ყველა ადამიანისთვის, თვითდახმარებისა და სათემო ღონისძიებების მართვადი პროგრამებით ყველაზე უპოვარისთვის უშუალო დახმარების აღმოჩენით დაწყებული. ხელისუფლება უნდა ეცადოს, რომ აღმოფხვრას ამ მიზნის მიღწევის გზაზე ყველა დაბრკოლება. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალური და რასობრივი სეგრეგაციის აღმოფხვრას, მათ შორის, უკეთ დაბალანსებული თემების შექმნით, რომელშიც აღრეულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფი, პროფესიები, საცხოვრისები და პირობები.

განვითარების უფლების შესახებ დეკლარაციის³⁵ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ეროვნულ დონეზე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა აუცილებელი ღონისძიება განვითარების უფლების რეალიზებისთვის და უზრუნველყონ შესაძლებლობების თანასწორობა ყველასთვის, მათ შორის, საცხოვრისის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

საცხოვრისთან დაკავშირებულ ჯანმრთელობის დაცვის საკითხებთან მიმართებით, რომლებიც საქართველოს რეალობაში აქტუალური და ანგარიშგასაწევია, მნიშვნელოვანი დოკუმენტია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საცხოვრისთან დაკავშირებული 1989 წლის ჯანმრთელობის პრინციპები.

31 2000 წლის 2 ოქტომბერი.

32 ქარტიის ინგლისურენოვანი ტექსტის მიხედვით, „a decent existence“, ხოლო ქარტიის ფრანგულენოვანი ტექსტით გათვალისწინებულია „ღირსეული არსებობა“ (une existence digne).

33 1969 წლის 11 დეკემბერი.

34 მიღებულია 1976 წლის 31 მაისიდან 11 ივნისის განმავლობაში.

35 მიღებულია 1986 წლის 4 დეკემბერს.

აგრეთვე, აღსანიშნავია მუშაკთა საცხოვრისთან დაკავშირებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაცია no. 115.³⁶

გაერთიანებული ერების 2005 წლის პრინციპები ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისისა და ქონების რესტიტუციის შესახებ, ე.წ. პინეიროს პრინციპები³⁷ ამ სფეროში ყველაზე სრულყოფილ სტანდარტებს ითვალისწინებს.

გაერთიანებული ერების 2015 წლის მდგრადი განვითარების მიზნების მე-11 მიზანია ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება, რაც, *inter alia*, არაფორმალური დასახლებების გაუმჯობესებით უნდა მოხდეს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1708 (2010) ეხება ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას, მათ შორის, კონფლიქტის შემდგომ პერიოდში საცხოვრისთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეზოლუცია 1497 (2006) კონკრეტულად სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში ლტოლვილებისა და იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრისთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება.

2000 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა მიიღო რეკომენდაცია უკიდურესი გაჭირვების მდგომარეობაში მყოფი პირების ელემენტარული მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილების უფლების შესახებ.

2006 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ შეიმუშავა „დინამიკური განსახლების პოლიტიკა, როგორც ევროპული სოციალური მთლიანობის ელემენტი.“

2006 წელს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია 1509 (2006), ირეგულარული მიგრანტებისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალების ადევკატური საცხოვრისითა და თავშესაფრით უზრუნველყოფის შესახებ.

2001 წელს ევროპის საბჭომ მოამზადა მოწყვლად პირთა ჯგუფებისთვის საცხოვრისის ხელმისაწვდომობაზე პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპები.

2009 წელს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარმა მიიღო რეკომენდაცია საცხოვრისის უფლების იმპლემენტაციაზე, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლად პირებს და საცხოვრისთან დაკავშირებულ მათ პრობლემებს.

36 მიღებულია 1961 წლის 28 ივნისს.

37 ადამიანის უფლებათა კომისია, 2005 წლის 28 ივნისი, E/CN.4/Sub.2/2005/17, დამატება.

ევროპული კავშირის 2000/43/EC საბჭოს დირექტივა რასობრივი თანასწორობის შესახებ კრძალავს დისკრიმინაციას რასისა თუ ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე და ითვალისწინებს საჭაროდ ხელმისაწვდომი საქონლისა და მომსახურების, მათ შორის, საცხოვრისის ხელმისაწვდომობას და მიწოდებას ყველა პირისთვის.

ევროპული კავშირის 2003/109/EC საბჭოს დირექტივა ითვალისწინებს მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ხანგრძლივი ვადით იმყოფებიან ევროპული კავშირის ქვეყანაში, ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარ მოპყრობას, მათ შორის, საცხოვრისის მოსაპოვებლად სამართალწარმოებასთან დაკავშირებით.

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი³⁸ და გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი³⁹

სოციალური ქარტიის 31-ე მუხლი განიმარტება შესაბამისი საერთაშორისო აქტების ჭრილში და მათთან ერთობლიობაში; მათ შორის, პირდაპირ მოხსენიებულია გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ.⁴⁰ წინამდებარე თავში საცხოვრისის უფლება მიმოხილულია ევროპული სოციალური ქარტიის 31-ე მუხლზე სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებების ჭრილში და ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ადევკატურ საცხოვრისზე უფლების განმარტებების ჭრილში, მოცემული გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მე-4 და მე-7 ზოგად კომენტარებში.⁴¹

38 სოციალურ უფლებათა ევროპული ქარტია (შესწორებული)

მუხლი 31– უფლება საცხოვრისზე

საცხოვრისზე უფლების ქმედითი განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით, მხარეები ვალდებულია იღებენ მიიღონ ზომები, რომლებიც მიზნად ისახავს:

1. საცხოვრისის ადეკვატური სტანდარტის ხელმისაწვდომობას;
2. უსახლკარობის თავიდან აცილებას და შემცირებას, თანდათან მისი აღმოფხვრის მიზნით;
3. საცხოვრისის ფასების ხელმისაწვდომობას მათთვის, ვისაც სათანადო სახსრები არ გააჩნია.

39 ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი მუხლი 11

1. წინამდებარე პაქტის მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ თითოეული ადამიანის უფლებას, მას და მის ოჯახს ჰქონდეს ცხოვრების სათანადო დონე, შესაფერისი ... საცხოვრისის ჩათვლით; აგრეთვე უფლებას, განუწყვეტლივ იუმჯობესებდეს ცხოვრების პირობებს. პაქტის მონაწილე სახელმწიფოები ამ უფლების განხორციელების უზრუნველსაყოფად მიიღებენ შესაბამის ზომებს, აღიარებენ რა, ამ მიზნით, თავისუფალ თანხმობაზე დაფუძნებული საერთაშორისო თანამშრომლობის დიდ მნიშვნელობას.

40 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, 2018, გვ. 226.

41 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის ზოგადი კომენტარი no. 4: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი; გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი): იძულებით გამოსახლება.

1. განმარტება და მატერიალურ-სამართლებრივი ფარგლები

სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ადეკვატური საცხოვრისის უფლება ყველასთვის.⁴² სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საცხოვრისის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით მონყვლადი პირების სხვადასხვა ჯგუფისთვის,⁴³ როგორებიც არიან: დაბალშემოსავლიანი პირები, უმუშევრები, მართხელა მშობლები, ახალგაზრდები, შშმ პირები, ფსიქიკური პრობლემების მქონე პირების ჩათვლით.⁴⁴

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, ადამიანის უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე გამომდინარეობს ცხოვრების ადეკვატური სტანდარტიდან და ყველა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებისთვის მას ცენტრალური მნიშვნელობა აქვს.⁴⁵ ადეკვატური საცხოვრისის უფლება აქვს ყველას და დაუშვებელია დისკრიმინაციის აკრძალული საფუძვლებით ამ უფლების გამორიცხვა.⁴⁶

ადეკვატური საცხოვრისის ცნება კანონით უნდა იყოს განსაზღვრული და მოიცავდეს შემდეგს:

1) საცხოვრებელი ადგილი, რომელიც უსაფრთხოა სანიტარიული და ჯანმრთელობის თვალსაზრისით, ანუ აქვს საბაზისო კეთილმოწყობა: წყალი, გათბობა, ნარჩენების გატანა, სანიტარიული ობიექტები, ელექტრობა და ა.შ. და სადაც კონკრეტული საფრთხე, როგორიცაა, მაგალითად ტყვია ან აზბესტის შემცველობა კონტროლს ქვეშაა;

2) საცხოვრებელი ადგილი, რომელიც არ არის გადატვირთული და მისი ზომა მცხოვრებთა რაოდენობასა და შემადგენლობას შეესატყვისება;

3) პირის ცხოვრებას კონკრეტულ ადგილზე კანონიერი საფუძველი აქვს.⁴⁷

ადეკვატური საცხოვრისის განმარტება უნდა ვრცელდებოდეს ახალ შენობა-ნაგებობებსა და საბინაო ფონდებზე, აგრეთვე გასაქირავებელ საცხოვრისზე.⁴⁸

42 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, საფრანგეთი.

43 საცხოვრისის თვალსაზრისით, მონყვლადი პირების კატეგორიებთან დაკავშირებით, იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის რეკომენდაცია საცხოვრისის უფლების იმპლემენტაციის შესახებ, CommDH(2009)5, 2009 წლის 30 ივნისი, გვ. 16 *et seq.*

44 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, იტალია.

45 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის ზოგადი კომენტარი no. 4: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 1.

46 *Ibid.*, პუნქტი 6.

47 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, საფრანგეთი.

48 *Idem.*

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის აზრით, უფლება საცხოვრისზე არ უნდა განიმარტებოდეს შებლუდვითად, რომელიც საცხოვრისს, მაგალითად, თავს ზემოთ ჭერის ქონას გაუთანაბრებდა. კომიტეტი აგრეთვე ეწინააღმდეგება, რომ თავშესაფარი მხოლოდ ქონებრივი თვალსაზრისით განიხილებოდეს. საცხოვრისის უფლება, განმარტებულია გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ, როგორც ადამიანის „უფლება, იცხოვროს სადმე უსაფრთხოდ, მშვიდობიანად და ღირსეულად“.⁴⁹

ამ განმარტებას საფუძვლად ორი მიზეზი უდევს. ერთი ის, რომ საცხოვრისის უფლება ორგანულადაა დაკავშირებული სხვა ადამიანის უფლებებსა და ფუძემდებლურ პრინციპებზე, რომლებსაც საერთაშორისო პაქტი ემყარება. „ადამიანის თანდაყოლილი ღირსება“, რომლიდანაც ყველა უფლება მომდინარეობს, მოითხოვს, რომ „საცხოვრისი“ განიმარტოს ისე, რომ მთელი რიგი სხვა გარემოებები იყოს მხედველობაში მიღებული. უმნიშვნელოვანესია, რომ საცხოვრისის უფლება ყველასთვის იყოს უზრუნველყოფილი, მიუხედავად შემოსავლისა თუ ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობისა. ამას გარდა, მე-11 მუხლის პირველ პუნქტში მითითება საცხოვრისზე უბრალოდ საცხოვრებელ ადგილად კი არ უნდა განიხილებოდეს, არამედ ადეკვატურ საცხოვრისად. ადეკვატური თავშესაფარი ნიშნავს ადეკვატურ პრივატულობას, ადეკვატურ სივრცეს, ადეკვატურ უსაფრთხოებას, ადეკვატურ განათებასა და ვენტილაციას, ადეკვატურ საბაზისო ინფრასტრუქტურას და ადეკვატურ ადგილმდებარეობას მუშაობისა და საბაზისო კეთილმოწყობის თვალსაზრისით და ეს ყველაფერი – გონივრულ ფასად.⁵⁰

ამრიგად, ადეკვატურობის კონცეფცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებით, ვინაიდან იგი ემსახურება მთელი რიგი ფაქტორების გამოყოფას, რომლებიც მხედველობაშია მისაღები იმის გადანყვეტისას, არის თუ არა ესა თუ ის თავშესაფარი „ადეკვატური საცხოვრისი“ კონვენციის მიზნებისთვის. მართალია, ადეკვატურობა, გარკვეულწილად, დგინდება სოციალური, ეკონომიკური, კულტურული, კლიმატური, ეკოლოგიური და სხვა ფაქტორებით, გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის აზრით, მაინც შესაძლებელია, უფლების რამდენიმე ასპექტის გამოყოფა, რომელიც ამ მიზნით შეიძლება მხედველობაში მიიღონ ნებისმიერ კონკრეტულ კონტექსტში. ეს მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

ა) **საცხოვრისზე უფლებების სამართლებრივი გარანტირება:** საცხოვრისზე უფლება შეიძლება გულისხმობდეს საჭარო თუ კერძო საცხოვრისის ქირავნობას, კოოპერატიულ

49 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის 80გადი კომენტარი no. 4: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 7.

50 *Idem*.

საცხოვრისს, ლიზინგს, გადაუდებელ განსახლებას და არაფორმალურ საცხოვრისს,⁵¹ მათ შორის, ქონებისა თუ მიწის დაკავებას. საცხოვრისზე უფლების მიუხედავად, ყველა პირს უნდა ჰქონდეს გარკვეული სამართლებრივი გარანტიები იძულებითი გამოსახლების, შევიწროებისა და სხვა საფრთხეების გარეშე. შედეგად, სახელმწიფოებმა დაყოვნების გარეშე უნდა გაატარონ ღონისძიებები იმ პირთა სამართლებრივი გარანტიებით უზრუნველსაყოფად, რომლებიც მოცემულ ეტაპზე ასეთ დაცვას მოკლებულნი არიან, ამ პირებსა და პირთა ჯგუფებთან სათანადო კონსულტაციებით.

ბ) მომსახურების, მასალის, პირობებისა და ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობა: ადეკვატური საცხოვრისი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, კომფორტისა და კვებისთვის გარკვეულ პირობებს უნდა შეიცავდეს. ადეკვატური საცხოვრისით ყველა მოსარგებლეს უნდა ჰქონდეს მდგრადი ხელმისაწვდომობა ბუნებრივ და საერთო რესურსებზე, უსაფრთხო სასმელ წყალზე, საკვების მოსამზადებლად, გასათბობად და გასანათებლად ენერჯიაზე, სანიტარულ-ჰიგიენურ და გასარეცხ პირობებზე, საკვების შესანახ, ნაგვის გადასაყრელ, წყალარინების საშუალებებსა და გადაუდებელ მომსახურებაზე;

გ) ფინანსური ხელმისაწვდომობა: საცხოვრისთან დაკავშირებული ხარჯი უნდა იყოს იმდევარი, რომ სხვა საბაზისო საჭიროებების დაკმაყოფილებას საფრთხე არ უნდა შეექმნას. სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს, რომ საცხოვრისთან დაკავშირებული ხარჯის წილი, ზოგადად, შემოსავლის დონეს შეესაბამება. სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ საბინაო სუბსიდიები მათთვის, ვისთვისაც ხელმისაწვდომი ფასის საცხოვრისი ხელმიწვდომელია, აგრეთვე, სახელმწიფოს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს საბინაო ფინანსები, რომლებიც სათანადოდ ასახავს საბინაო საჭიროებებს. ხელმისაწვდომობის პრინციპის შესაბამისად, მოქირავნეები დაცულები უნდა იყვნენ სათანადო საშუალებებით არაგონივრული ქირის ოდენობისა თუ ქირის ოდენობის გაზრდისგან. იმ საზოგადოებებში, სადაც ბუნებრივი რესურსები შეადგენს სამშენებლო მასალების მთავარ წყაროს, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ასეთი მასალების ხელმისაწვდომობა;

დ) საცხოვრებლად ვარგისიანობა: ადეკვატური საცხოვრისი საცხოვრებლად გამოსადეგი უნდა იყოს, მცხოვრებლებისთვის სათანადო ფართის უზრუნველყოფით და მათი სიცივისგან, სინესტისგან, სიციხისგან, წვიმისგან, ქარისა და სხვა საფრთხეებისგან დაცვით, რომლებიც საშოშია ჯანმრთელობისთვის, აგრეთვე, სტრუქტურული საფრთხეებისა და დაავადების მატარებლებისგან. აგრეთვე, უზრუნველყოფილი უნდა იყოს მცხოვრებლების ფიზიკური უსაფრთხოება. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული საცხოვრისთან დაკავშირებული ჯანმრთელობის პრინციპები.⁵²

51 არაოფიციალურ საცხოვრისთან დაკავშირებით, იხ. გაერთიანებული ერების სპეციალური მომხსენებლის 2018 წლის 19 სექტემბრის ანგარიში ადეკვატურ საცხოვრისზე, როგორც ცხოვრების ადეკვატური სტანდარტის უფლების კომპონენტზე და ამ კონტექსტში დისკრიმინაციის აკრძალვაზე.

52 ხელმისაწვდომია: https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/39847/9241561270_eng.pdf?sequence=1&isAllowed=y.

ე) **ფიზიკური ხელმისაწვდომობა:** ადეკვატური საცხოვრისი ხელმისაწვდომი იყოს მასზე უფლების მქონე პირებისთვის. მონყვლად პირთა ჯგუფებს (ასაკოვანი, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, განუკურნებელი სენით დაავადებულები, აივ-პოზიტიურები, ქრონიკული დაავადების, ფსიქიკური პრობლემების მქონე, სტიქიური უბედურების ზონაში მცხოვრები პირები) უნდა მიეცეთ საკმარისი და მდგრადი ხელმისაწვდომობა ადეკვატურ საცხოვრებელ რესურსებზე და შესაბამისი უწყებები მათ საცხოვრისით უზრუნველყოფის პრიორიტეტულობას უნდა ითვალისწინებდნენ.

ვ) **ადგილმდებარეობა:** ადეკვატურ საცხოვრისს ისეთი ადგილმდებარეობა უნდა ჰქონდეს, რომ იძლეოდეს დასაქმების, ჯანდაცვის სერვისების, სკოლების, ბავშვებზე ზრუნვის ცენტრებისა და სხვა შენობების ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას. ეს შეეხება, როგორც დიდ ქალაქებს, ისე სოფლებს, სადაც საცხოვრებელ და სამუშაო ადგილებს შორის მიმოსვლის დრო და ფინანსური ხარჯი შეიძლება მძიმე ტვირთად აწვეს გაჭირვებულ ოჯახებს. საცხოვრისები არ უნდა შენდებოდეს დაბინძურებულ ადგილას ან ასეთი ადგილების უშუალო სიახლოვეს, რაც მცხოვრებლების ჯანმრთელობას შეიძლება საფრთხეს უქმნიდეს.

ზ) **კულტურული შესაბამისობა:** ის, თუ როგორ არის საცხოვრისი აშენებული, რა მასალაა გამოყენებული და შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც ამ ყველაფერს უდევს საფუძვლად, უნდა იძლეოდეს კულტურული იდენტობისა და მრავალფეროვნების გამოხატვის შესაძლებლობას. საცხოვრისის კულტურული განზომილება მსხვერპლად არ უნდა შეეწიროს განსახლების სფეროში არსებულ თანამედროვე ტენდენციებსა და ტექნოლოგიებს.

ევროპული სოციალური ქარტიის 31-ე მუხლი სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებებს აკისრებს.⁵³ უფლების ქმედითი დაცვისთვის სახელმწიფომ ყველა აუცილებელი და ადეკვატური სამართლებრივი და პრაქტიკული ღონისძიება უნდა გაატაროს სახელმწიფოებს მიხედულების ფართო ფარგლები აქვთ იმის დასადგენად, ქარტიასთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად რა ღონისძიებები უნდა გატარდეს. განსაკუთრებით, ეს ეხება საერთო და კონკრეტული ჯგუფის ინტერესებს შორის ნონასწორობის დაცვას და პრიორიტეტებსა და რესურსებთან დაკავშირებით არჩევანს.⁵⁴

ქარტიის 31-ე მუხლი არ უნდა განიშარტოს, როგორც სახელმწიფოებზე „შედგის“ ვალდებულების დაკისრება, თუმცა ქარტიით აღიარებული უფლებები უნდა იყოს პრაქტიკული და ქმედითი და არა წმინდად თეორიული. ამისთვის, სახელმწიფოებმა უნდა:⁵⁵

53 *European Roma Rights Center (ERRC) v. Bulgaria*, საჩივარი no. 31/2005, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 35.

54 *Idem*.

55 *International Movement ATD Fourth World v. France*, საჩივარი no. 33/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 58-60.

ა) მიიღონ აუცილებელი სამართლებრივი, ფინანსური და ოპერაციული ღონისძიებები, ქართით გათვალისწინებული მიზნების შესასრულებლად განუხრელი პროგრესის უზრუნველსაყოფად;

ბ) აწარმოონ შესატყვისი სტატისტიკა საჭიროებებზე, რესურსებსა და შედეგებზე;

გ) რეგულარულად გადასინჯონ შემუშავებული სტრატეგიების შედეგები;

დ) განსაზღვრონ ვადები და განუსაზღვრელად არ გადაავადონ თითოეული ეტაპის მიზნების მიღწევა;

ე) ყურადღებით დააკვირდნენ თითოეული კატეგორიის (განსაკუთრებით, ყველაზე მოწყვლადის) პირებთან დაკავშირებით შემუშავებული პოლიტიკის შედეგებს.

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, სახელმწიფოს მიერ გასატარებელ ღონისძიებებში აუცილებლად იგულისხმება ეროვნული საბინაო სტრატეგიის მიღება, რომლითაც უნდა განისაზღვროს თავშესაფრის პირობების განვითარების მიზნები, იდენტიფიცირებული უნდა იყოს ამ მიზნების მისაღწევად ხელმისაწვდომი რესურსები და ყველაზე რენტაბელური გზა მათ ასათვისებლად; სტრატეგია უნდა განსაზღვრავდეს აუცილებელი ღონისძიებების იმპლემენტაციისთვის ვადებს და პასუხისმგებლობას. სტრატეგია უნდა ასახავდეს ყველა მიზნობრივ ჯგუფთან სათანადო და ინტენსიურ კონსულტაციას და მათ ჩართულობას, უსახლკაროების, არასათანადო საცხოვრისის მქონე პირებისა და მათი წარმომადგენლების ჩათვლით. უფრო მეტიც, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს შესაბამის სამინისტროებსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის კოორდინაცია ეკონომიკური, სასოფლო-სამეურნეო, გარემოსდაცვითი, ენერგეტიკული და ა.შ. პოლიტიკის კონვენციის მე-11 მუხლიდან გამომდინარე ვალდებულებებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.⁵⁶

ქართით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად განუხრელი პროგრესის უზრუნველყოფის საშუალებებთან დაკავშირებით, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი განმარტავს, რომ ქართის იმპლემენტაცია მოითხოვს, ხელშემკვრელმა მხარეებმა უბრალოდ საკანონმდებლო ნორმები კი არ დაადგინონ, არამედ რესურსები ხელმისაწვდომი გახადონ და დაანესონ საცხოვრისის უფლების სრულად რეალიზებისთვის აუცილებელი მოქმედი პროცედურები.⁵⁷

56 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის ზოგადი კომენტარი no. 4: უფლება ადევკატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 12.

57 *International Movement ATD Fourth World v. France*, საჩივარი no. 33/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 61.

როდესაც უფლება განსაკუთრებით კომპლექსურია და მისი იმპლემენტაცია ძვირი ჯდება, ხელშემკვრელმა მხარეებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა საცხოვრისის უფლება გონივრულ ვადაში განახორციელონ, ისე რომ სახეზე იყოს გაზომვადი პროგრესი და არსებული რესურსები მაქსიმალურად იქნეს ათვისებული.⁵⁸

სტატისტიკის წარმოების მოთხოვნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საცხოვრისის უფლების კონტექსტში, რადგან ამ შემთხვევაში უნდა აღირიცხებოდეს შემუშავებული პოლიტიკის შედეგები, მიმართება არსებულ პოლიტიკასა და მიღწეულ შედეგებს შორის და გვერდითი შედეგები, რომლებიც შეიძლება აღინიშნოს უფლების კომპლექსურობიდან გამომდინარე.⁵⁹ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონყვლად ჯგუფებზე პოლიტიკის შედეგებს.

სახელმწიფოები, იქნებიან ესენი ფინანსური დახმარების გამცემი თუ მიმღები მხარეები, უნდა უზრუნველყოფდნენ, რომ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ხმარდებოდეს ადეკვატური საცხოვრისის მქონე პირთა რაოდენობის გაზრდისკენ მიმართული პირობების შექმნას. სახელმწიფომ, როდესაც გადაწყვეტს, მოითხოვოს საერთაშორისო ფინანსური დახმარება, უნდა მიუთითოს ადეკვატური საცხოვრისის უფლებისთვის რელევანტური სფეროები, სადაც ასეთი გარე დახმარება ყველაზე ქმედითი იქნება. ფინანსური დახმარების მოთხოვნები სრულად უნდა ითვალისწინებდეს მიზნობრივი ჯგუფების საჭიროებებსა და მოსაზრებებს.⁶⁰

საცხოვრისთან დაკავშირებით პოზიტიური ღონისძიებებია მისაღები მონყვლად პირებთან, განსაკუთრებით, ბოშებთან დაკავშირებით. ბოშები თავიანთი ისტორიის გამო მონყვლად პირთა სპეციფიკურ ჯგუფად და უმცირესობად ჩამოყალიბდნენ და ამიტომ, სპეციალურ დაცვას საჭიროებენ. მხედველობაში უნდა მიიღონ მათი საჭიროებები და ცხოვრების განსხვავებული სტილი როგორც შესაბამისი ნორმატიული ჩარჩოს გათვალისწინებისას, ისე კონკრეტულ შემთხვევებში გადაწყვეტილების მიღებისას.⁶¹

საბინაო პოლიტიკა, რომლის შედეგაცაა ბოშების თემის სივრცობრივი და სოციალური სეგრეგაცია (ქალაქის გარეუბანში ცუდად აშენებული საცხოვრისი, რომელიც დანარჩენი მოსახლეობისგან გამოყოფილია) ქართის დარღვევად ფასდება.⁶²

58 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის პრაქტიკის დაიჯესტი, 2018, გვ. 225.

59 *International Movement ATD Fourth World v. France*, საჩივარი no. 33/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 63.

60 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის 80გადი კომენტარი no. 4: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 19.

61 *Centre on Housing Rights and Evictions (COHRE) v. Italy*, საჩივარი no. 58/2009, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2010 წლის 25 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტები 39 და 40.

62 *European Roma Rights Center (ERRC) v. Bulgaria*, საჩივარი no. 31/2005, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 48.

2. ქმედითობა

ხელისუფლებას ვვალება, უზრუნველყოს საცხოვრისის ადეკვატურობა სხვადასხვა დონისძიებით, როგორცაა, მაგალითად, საბინაო ფონდის აღრიცხვა, სანქციების დაკისრება მესაკუთრეებზე, რომლებიც ვალდებულებებს არ ასრულებენ, ურბანული განვითარების წესები და გამქირავებლების მიერ საცხოვრისის მოვლის ვალდებულებების დანესება. ხელისუფლებამ ასევე უნდა შეამციროს ისეთი არსებითი მნიშვნელობის სერვისების მიწოდების შეწყვეტა, როგორცაა წყალი, ელექტროობა და სატელეფონო კავშირი.⁶³

როდესაც შიდასახელმწიფოებრივი სამართალი ავალდებულებს პროფესიულ კავშირებს, პროფესიულ ორგანიზაციებს ან გარკვეულ კომპანიებს, მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება სახელმწიფოს, უზრუნველყოს ამ ვალდებულებების ქმედითად განხორციელება.⁶⁴

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის შეფასებით, საცხოვრისის უფლების ქმედითი განხორციელების ერთი საშუალება არის საბინაო მდგომარეობაზე ქმედითი კონტროლი, რასაც კომიტეტი მიიჩნევს ვალდებულებად, რომლის განხორციელებაც არ უნდა იქნეს დაყოვნებული.⁶⁵

3. სამართლებრივი დაცვა

ადეკვატურ საცხოვრისზე უფლების ქმედითად განხორციელება გულისხმობს დაცვას შესაბამისი საპროცესო გარანტიების მეშვეობით. მფლობელებს ხელი უნდა მიუწვდებოდეთ მიუკერძოებელ სასამართლო თუ სხვა სახის დაცვის საშუალებებზე.⁶⁶ გასაჩივრების მექანიზმი ქმედითი უნდა იყოს.

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის აზრით, საცხოვრისის უფლების ქმედითად განსახორციელებლად ეროვნულ დონეზე გასათვალისწინებელი მინიმალური საპროცესო გარანტიები შემდეგია: ა) გასაჩივრების მექანიზმით დაგეგმილი გასახლებისა და დანგრევის ღონისძიების სასამართლო აკრძალვა; ბ) სამართლებრივი პროცედურები კომპენსაციის მისაღებად უკანონო გასახლების შემდეგ; გ) მოქირავნის საჩივრები საცხოვრისის მესაკუთრის მიერ ან მისი მხარდაჭერით განხორცი-

63 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, საფრანგეთი.

64 *European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) c. France*, საჩივარი no. 39/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 79.

65 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის 80გადი კომენტარი no. 4: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 13.

66 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, საფრანგეთი.

ელებული ქმედების წინააღმდეგ ქირის ოდენობასთან, საცხოვრისის მოვლასთან, რასობრივ თუ სხვა სახის დისკრიმინაციასთან დაკავშირებით; დ) საჩივრები საცხოვრისის განაწილებისას დისკრიმინაციის ნებისმიერი ფორმის გამოვლინების შესახებ; ე) მოქირავნის საჩივრები საცხოვრისის მესაკუთრის წინააღმდეგ, საცხოვრისის არაჯანმრთელ ან სხვაგვარად არაადეკვატურ პირობებთან დაკავშირებით. ზოგიერთ სამართლის სისტემაში, შესაძლებელია, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ჯგუფური სარჩელები იმ შემთხვევებში, როდესაც უსახლკარობის დონე მნიშვნელოვნად გაზრდილია.⁶⁷

4. უსახლკარობის შემცირება

უსახლკაროდ მიიჩნევიან პირები, რომლებსაც იურიდიულად არ გააჩნიათ საცხოვრებელი ადგილი ან ადეკვატური საცხოვრისის სხვა ფორმა ქართის 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით.⁶⁸ სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, რათა არ დაუშვას, რომ მოწყვლადი პირები უსახლკარობად იქცნენ. სახელმწიფომ მოწყვლად პირთა ყველა ჯგუფის მიმართ უნდა განახორციელოს საბინაო პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს სოციალური საცხოვრისის ხელმისაწვდომობა.⁶⁹

მართალია, სახელმწიფოებს მიხედულების ფართო ფარგლები აქვთ ურბანული დაგეგმარების ღონისძიებებთან დაკავშირებით, წონასწორობა უნდა დამყარდეს საერთო ინტერესსა და ინდივიდების ძირითად უფლებებს (განსაკუთრებით, საცხოვრისის უფლებასა და დაკავშირებულ უფლებებს) შორის და ადამიანები უსახლკარობად არ უნდა იქცნენ.⁷⁰

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის განმარტებით, გამოსახლებამ ინდივიდები უსახლკაროდ და სხვა უფლებების დაცვის თვალსაზრისით მოწყვლად პირებად არ უნდა აქციოს. როდესაც გამოსახლებულ პირებს თავის უზრუნველყოფის შესაძლებლობა არ გააჩნიათ, სახელმწიფომ უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები, ხელმისაწვდომი რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, რათა უზრუნველყოს ასეთი პირები ადეკვატური ალტერნატიული საცხოვრისით, განსახლებით ან ნაყოფიერ მიწაზე ხელმისაწვდომობით, შესაძლებლობის მიხედვით.⁷¹

67 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის ზოგადი კომენტარი no. 4: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 17.

68 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, იტალია.

69 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2005, ლიეტუვა.

70 *European Roma Rights Center (ERRC) v. Bulgaria*, საჩივარი no. 31/2005, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 54.

71 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); იხულებით გამოსახლება, პუნქტი 16.

5. უფლება თავშესაფარზე

სოციალური ქარტიის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უსახლკაროს უნდა შესთავაზონ თავშესაფარი, როგორც სასწრაფო და გადაუდებელი ღონისძიება. ამას გარდა, დაიცვან თავშესაფარში განთავსებულ პირთა ღირსება.⁷² თავშესაფარები უნდა აკმაყოფილებდეს უსაფრთხოების მოთხოვნებს (მათ შორის, უშუალო გარემოს ჩათვლით), ჯანმრთელობისა და ჰიგიენურ სტანდარტებს (განსაკუთრებით, კომიტეტი ამონუმებს, არის თუ არა ხელმისაწვდომი წყალი, სითბო და საკმარისი განათება).⁷³ სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს საკმარისი ადგილი თავშესაფარში.⁷⁴

კანონი უნდა კრძალავდეს თავშესაფარიდან გასახლებას ან, გარკვეულ შემთხვევაში, თავშესაფარიდან გაძევებისას, ალტერნატიული საცხოვრისი უნდა გამოიძებნოს.⁷⁵ თავშესაფარით დროებით უზრუნველყოფა, რაც არ უნდა ადევკატური იყოს იგი, დამაკმაყოფილებელ ღონისძიებად ვერ მიიჩნევა; უსახლკაროები გონივრულ ვადაში უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი თავშესაფარით. ამას გარდა, ღონისძიებები უნდა გატარდეს, რათა ამ პირებმა შეძლონ თავიანთი პრობლემების გადალახვა ისე, რომ არ იქნეს დაშვებული მათი ხელახლა უსახლკაროდ ქცევა.⁷⁶

ვინაიდან საცხოვრისის უფლება მჭიდროდ არის დაკავშირებული სიცოცხლის უფლებასთან და არსებითი მნიშვნელობა აქვს თითოეული ადამიანის ღირსების სათანადოდ დაცვისთვის, ქარტიის 31-ე მუხლის მეორე პუნქტი თავშესაფარის უფლებაზე გულისხმობს, რომ სახელმწიფომ სათანადო თავშესაფარით უნდა უზრუნველყოს ის პირებიც, რომლებიც ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ იმყოფებიან, იქნებიან ესენი ბავშვები თუ ზრდასრული ადამიანები.⁷⁷

ქარტია კრძალავს სახელმწიფოს მიერ თავის ტერიტორიაზე მყოფი პირების თავშესაფარიდან არარეგულირებულ გასახლებას, რადგან აღნიშნული შესაბამის პირებს უკიდურესად უმწეო მდგომარეობაში ჩააყენებდა, განსაკუთრებით, ბავშვებს, რაც მათ ადამიანურ ღირსებას ეწინააღმდეგება. სახელმწიფოებს არ ევალებათ ალტერნატიული საცხოვრებლის გამოძებნა მიგრანტებისთვის, 31-ე მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, მუდმივი საცხოვრისის სახით.⁷⁸

⁷² *Conférence of European Churches (CEC) v. the Netherlands*, საჩივარი no. 90/2013, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2014 წლის 1 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 138.

⁷³ სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტება 31-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, დასკვნები 2015, გვ. 47.

⁷⁴ *European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) c. France*, საჩივარი no. 39/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 107.

⁷⁵ სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2011, ფინეთი.

⁷⁶ სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, იტალია.

⁷⁷ *Defence for Children International (DCI) v. the Netherlands*, საჩივარი no. 47/2008, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2009 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 47.

⁷⁸ *European Federation of National Organisations working with the Homeless (FEANTSA) v. the Netherlands*, საჩივარი no. 86/2012, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2014 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტები 60 და 110.

საცხოვრისის უფლების ქმედითი რეალიზებისთვის, მხარეებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა მოწყვლადი პირებისთვის ფასი ხელმისაწვდომი იყოს. შეზღუდული რესურსების მქონე პირებისთვის საკმარისი რაოდენობით უნდა იყოს უზრუნველყოფილი საცხოვრისი ხელმისაწვდომი ფასად. საცხოვრისი ხელმისაწვდომია, თუ ოჯახს შეუძლია თავდაპირველი შენატანის დაფარვა (დეპოზიტის, წინასწარი ქირის), მიმდინარე ქირის გადახდა და საცხოვრისთან დაკავშირებული სხვა ხარჯის (კომუნალური გადასახადები) დაფარვა, ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ისე, რომ იმავდროულად შეძლონ ცხოვრების მინიმალური სტანდარტის შენარჩუნება, საზოგადოებაში არსებული სტანდარტების შესაბამისად.⁷⁹

იმისთვის, რათა სახელმწიფომ აჩვენოს, რომ მიმართავს ღონისძიებებს სათანადო სახსრების არმქონე პირებისთვის საცხოვრისის ფასის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, მათ უნდა მიუთითონ საშუალო ხელმისაწვდომობის კოეფიციენტზე არა საცხოვრისზე უფლების მოპოვების ყველა მსურველთან, არამედ ყველაზე ღარიბ განმცხადებლებთან მიმართებით, რათა დადგინდეს, რომ საცხოვრისი მათი შემოსავლის გათვალისწინებით, ხელმისაწვდომია.⁸⁰

სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ შესაბამისი ზომები საცხოვრისის, განსაკუთრებით, სოციალური საცხოვრისის უზრუნველსაყოფად.⁸¹ სოციალური საცხოვრისი, თავის მხრივ, განსაკუთრებით მოწყვლადი პირებისთვის უნდა იყოს განკუთვნილი.⁸² ლოდინის პერიოდი საცხოვრისის გადასაცემად გადამეტებული არ უნდა იყოს.⁸³ სასამართლო თუ სხვა სახის დაცვის საშუალებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს, როდესაც ლოდინის პერიოდი გადამეტებულია.⁸⁴ საცხოვრისის შეღავათები გათვალისწინებული უნდა იყოს, სულ მცირე დაბალშემოსავლიან და სხვა მოწყვლად პირთა ჯგუფებისთვის.⁸⁵ გათვალისწინებული უნდა იყოს სასამართლო დაცვის საშუალება საცხოვრისის შეღავათის მიღებაზე უარის შემთხვევაში.⁸⁶ ყველა უფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს დისკრიმინაციის გარეშე.⁸⁷

79 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, შვედეთი.

80 *FEANTSA v. Slovenia*, საჩივარი no. 53/2008, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2009 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 72.

81 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, შვედეთი.

82 *International Movement ATD Fourth World v. France*, საჩივარი no. 33/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 98-100.

83 *Ibid.*, პუნქტი 131.

84 *Idem.*

85 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, შვედეთი.

86 *Idem.*

87 *International Movement ATD Fourth World v. France*, საჩივარი no. 33/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 149-155.

თავი II. იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებული სტანდარტები

იძულებითი გამოსახლება საერთაშორისო სამართალში

საერთაშორისო საზოგადოების მიერ იძულებით გამოსახლების პრობლემა ჯერ კიდევ 1976 წელს აღინიშნა, როდესაც განსახლებაზე გაერთიანებული ერების კონფერენციამ აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს ვალდებულებას, რათა ფართომასშტაბიანი გამოსახლების ღონისძიებები მხოლოდ მაშინ განხორციელდეს, როდესაც კონსერვაცია და რეაბილიტაცია არარეალისტურია და პირთა განსახლების ღონისძიებები მიღებულია.⁸⁸

გარემოსა და განვითარებაზე გაერთიანებული ერების კონფერენციაზე აღინიშნა, რომ „ხალხი კანონით უნდა იყოს დაცული თავიანთი სახლებიდან თუ მიწიდან უსამართლო გამოსახლებისგან.“⁸⁹ „ყველა დაცული უნდა იყოს და ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით კანონსაწინააღმდეგო იძულებით გამოსახლებისგან სამართლებრივი დაცვით და მექანიზმებით უზრუნველყოფილი; როდესაც გამოსახლება გარდაუვალია, უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, შეძლებისდაგვარად, რომ ალერნატიული, შესატყვისი გამოსავალი გამოძებნილი.“⁹⁰

ადამიანის უფლებათა კომისიის შეფასებით, „იძულებით გამოსახლება ადამიანის უფლებების უხეში დარღვევაა.“⁹¹

თავშესაფარი 2000 წლისთვის – გლობალურ სტრატეგიაში⁹² აღნიშნულია, რომ ხელისუფლების ფუძემდებლური ვალდებულებაა, დაიცვას და გააუმჯობესოს საცხოვრისი და სამეგობლოები და არა დააზიანოს და გაანადგუროს ისინი.⁹³

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა თავის მე-4 ზოგად კომენტარში აღნიშნა, რომ იძულებითი გამოსახლება *prima*

88 გაერთიანებული ერების განსახლების კომისიის 1976 წლის ანგარიში მე-11 სესიის მუშაობაზე, დამატება (A/43/8/Add.1), პუნქტი 13.

89 გაერთიანებული ერების კონფერენციის ანგარიში გარემოსა და განვითარებაზე, რიო დე ჟანეირო, 1992 წლის 3-14 ივნისი, ტომი I (A/CONF.151/26/Rev.1), დამატება II, თავი 7.9 (ბ).

90 გაერთიანებული ერების კონფერენციის ანგარიში განსახლებაზე, სტამბოლი, 1996 წლის 3-14 ივნისი, (Habitat II, A/CONF.165/14), დამატება II, პუნქტი 40 (მ).

91 ადამიანის უფლებათა კომისიის რეზოლუცია 1993/77 იძულებით გამოსახლებაზე, პუნქტი 1.

92 მიღებულია 1988 წელს გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის no. 43/181 რეზოლუციით.

93 გაერთიანებული ერების განსახლების კომისიის 1976 წლის ანგარიში მე-11 სესიის მუშაობაზე, დამატება (A/43/8/Add.1), პუნქტი 13.

facie შეუთავსებელია პაქტის მოთხოვნებთან და შეიძლება გამართლდეს მხოლოდ ყველაზე გამონაკლის შემთხვევებში, საერთაშორისო სამართლის შესაბამისი პრინციპების შესაბამისად.⁹⁴ კომიტეტმა უფრო დეტალური განმარტებები მე-7 ზოგად კომენტარში გააკეთა.⁹⁵

სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი და გაეროს ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი

1. განმარტება და არსი

სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის განმარტებით, იძულებით გამოსახლება ნიშნავს საცხოვრისის ჩამორთმევას, რომელიც პირს დაკავებული ჰქონდა ვალაუვალობის გამო ანდა მას არამართლზომიერად ფლობდა.⁹⁶

გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის აზრით, ტერმინი „იძულებით გამოსახლება“ გარკვეულწილად პრობლემატურია. ფრაზას თვითნებობისა და უკანონობის დატვირთვა აქვს; იგი ტავტოლოგიადაც შეიძლება იქნეს აღქმული; მეორე მხრივ, „კანონიერი გამოსახლება“ ასევე შეიძლება პრობლემატური იყოს, ვინაიდან ისე ჩანს, თითქოს შესატყვისი კანონი საცხოვრისის უფლების უზრუნველსაყოფად საკმარის გარანტიებს ითვალისწინებს, თუმცა, სინამდვილეში შეიძლება ასე არც იყოს. ტერმინი „უსამართლო გამოსახლება“ კიდევ უფრო სუბიექტურია. შესაბამისად, საერთაშორისო საზოგადოება შეთანხმდა ტერმინზე „იძულებით გამოსახლება“, რადგან სხვა ტერმინები კიდევ უფრო ხარვეზიანად მიიჩნეის.⁹⁷

ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტი „იძულებით გამოსახლებას“ განმარტავს, როგორც ინდივიდების, მათი ოჯახების ანდა თემების მათ მიერ დაკავებული სახლებიდან ანდა მიწიდან მუდმივად ან დროებით გამოყვანას მათი ნების საწინააღმდეგოდ, სათანადო სამართლებრივი თუ სხვა სახის დაცვის უზრუნველყოფისა

94 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1991 წლის 13 დეკემბრის ზოგადი კომენტარი no. 4: უფლება ადევკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი), პუნქტი 18.

95 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადევკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი): იძულებით გამოსახლება.

96 სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2003, საფრანგეთი.

97 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადევკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი): იძულებით გამოსახლება, პუნქტი 3.

თუ ხელმისაწვდომობის გარეშე. იძულებით გამოსახლების აკრძალვა არ ვრცელდება გამოსახლებაზე, რომელიც ძალით არის განხორციელებული, მაგრამ შეესაბამება კანონს და ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტების დებულებებს.⁹⁸

იძულებით გამოსახლება შეიძლება აღინიშნოს როგორც მჭიდროდ დასახლებულ ურბანულ ადგილებში, ისე მოსახლეობის იძულებით გადაადგილებასთან კავშირში, როგორცაა შეიარაღებული კონფლიქტი, მასობრივი გასახლებები, ლტოლვილთა გადაადგილება. ყველა ამ კონტექსტში, პირის უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე და უფლება, არ დაექვემდებაროს იძულებით გამოსახლებას, შეიძლება დაირღვეს სახელმწიფოსთვის შერაცხადი ქმედებებითა და უმოქმედობით. იმ შემთხვევებშიც კი, როცა შესაძლოა, აუცილებელი იყოს ამ უფლებაზე შეზღუდვის დანერგვა, საჭიროა დაცული იქნეს პაქტის მე-4 მუხლი, რომლის თანახმადაც, პაქტით გათვალისწინებულ უფლებაზე დანერგული შეზღუდვა უნდა იყოს კანონით გათვალისწინებული, როდესაც ეს შეესაბამება შესაბამისი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლების ბუნებას და მხოლოდ და მხოლოდ დემოკრატიულ საზოგადოებაში საერთო კეთილდღეობისთვის ხელშეწყობის მიზნით.⁹⁹

გამოსახლების სხვა შემთხვევები განვითარების სახელით ხდება. ეს შეიძლება იყოს დავა მიწაზე, ინფრასტრუქტურულ და განვითარების პროექტებზე, როგორცაა კაშხლების მშენებლობა და სხვა ფართომასშტაბიანი პროექტები ენერჯეტიკის სფეროში; მიწის შესყიდვა ურბანული განვითარების, საბინაო განახლების, ქალაქის განაშენიანების პროგრამებთან დაკავშირებით; მიწისგან შენობა-ნაგებობების აღება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვის; მიწით მასობრივი სპეკულაციებისთვის ან მასობრივი ღონისძიებების, მაგალითად ოლიმპიადის გამართვის მიზნით.¹⁰⁰

ადამიანის უფლებებს შორის ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების გამო, იძულებით გამოსახლება ხშირად არღვევს ადამიანის სხვა უფლებებს. ასე რომ, მაშინ, როდესაც იძულებითი გამოსახლებით აშკარად ირღვევა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ პაქტით გათვალისწინებული უფლებები, ამ პრაქტიკამ შეიძლება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტით გათვალისწინებული უფლებებიც დაარღვიოს. როგორცაა, მაგალითად, სიცოცხლის უფლება, უსაფრთხოების უფლება, პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევის დაუშვებლობა და საკუთრების უფლება.¹⁰¹

98 *Idem*.

99 *Ibid.*, პუნქტები 5-6.

100 *Ibid.*, პუნქტი 7.

101 *Ibid.*, პუნქტი 4.

2. გარანტიები იძულებითი გამოსახლების წინააღმდეგ

ქართვის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფომ უნდა შემოიღოს გარანტიები, რომლებიც გამოსახლების რისკს შეზღუდავს.¹⁰² საცხოვრისის უფლების მნიშვნელობიდან გამომდინარე, რომელიც ინდივიდის პირადი უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის ერთ-ერთი ასპექტია, ევროპული კომიტეტი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს შესატყვის საპროცესო გარანტიებს.¹⁰³ სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის შეფასებით, იმ პირების სამართლებრივი დაცვისთვის, რომლებსაც გამოსახლება ემუქრებათ, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:

ა) გამოსახლების ალტერნატივის გამოსაძებნად, იმ პირებთან მოლაპარაკების ვალდებულება, რომლებსაც გამოსახლება ემუქრებათ;

ბ) ვალდებულება, გათვალისწინებული იყოს გონივრული ვადა გამოსახლების შეტყობინების მიცემამდე;

გ) ღამით ან ზამთრის პერიოდში გამოსახლების აკრძალვა;

დ) სამართლებრივი დაცვის საშუალებების ხელმისაწვდომობა;

ე) უფასო იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა;

ვ) უკანონო გამოსახლების შემთხვევაში კომპენსაცია.

გამოსახლება უნდა მოხდეს:

ა) შესაბამის პირთა ღირსების დაცვით;

ბ) პროცედურის შესაბამისად, რომელიც საკმარისად ითვალისწინებს გამოსახლებულ პირთა უფლებების დაცვის გარანტიებს.

გამოსახლებასთან დაკავშირებით გარანტიები სხვა მუხლებთან ერთობლიობაში უნდა იქნეს წაკითხული. გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტმა პაქტით სახელმწიფოებზე დაკისრებული ვალდებულებების შესახებ თავის მე-3 ზოგად კომენტარში განმარტა სახელმწიფოს ვალდებულებების ფარგლები „ყველა სათანადო საშუალების“ გამოყენებასთან დაკავშირებით, რომელსაც პაქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს და გულისხმობს საკანონმ-

¹⁰² სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტი, დასკვნები 2005, შვედეთი.

¹⁰³ *Idem*.

დებლო ღონისძიებებს პაქტით გათვალისწინებული უფლებების უზრუნველსაყოფად.¹⁰⁴ კომიტეტმა აღნიშნა, რომ ასეთი ღონისძიება შეიძლება აუცილებელი არ იყოს ყველა უფლებასთან მიმართებით, თუმცა კომიტეტმა იქვე განმარტა, რომ სახელმწიფო, სადაც ადამიანების მნიშვნელოვან რაოდენობას არ აქვს, *inter alia*, ელემენტარული თავშესაფარი და საცხოვრისი, *prima facie*, პაქტით დაკისრებულ ვალდებულებებს არღვევს.¹⁰⁵ ამასთან მე-7 ზოგად კომენტარში, კომიტეტმა დამატებით აღნიშნა, რომ იძულებით გამოსახლებასთან დაკავშირებით კანონმდებლობა ის უმნიშვნელოვანესი საფუძველია, რომელსაც ქმედითი დაცვის სისტემა ემყარება.

ასეთი კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს ღონისძიებებს, რომლებიც: ა) საცხოვრისსა და მინაზე უფლებებს მაქსიმალური გარანტიებით განამტკიცებს; ბ) შეესაბამება ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების პაქტს და გ) მიზნად ისახავს იმ გარემოებების მკაცრ კონტროლს, რომელთა არსებობისას შეიძლება გამოსახლება. ეს კანონმდებლობა უნდა ვრცელდებოდეს საჯარო მოსამსახურეებზე და იმის გათვალისწინებით, რომ მზარდი ტენდენციის თანახმად, ხელისუფლება იცილებს პასუხისმგებლობას საბინაო სექტორში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს, რომ კანონმდებლობა კერძო პირების მიერ იძულებით გამოსახლების ადეკვატურ პრევენციას და მათ მიერ სათანადო გარანტიების გარეშე გამოსახლებისას შესაბამის სანქციებს ითვალისწინებს.¹⁰⁶

სათანადო საპროცესო დაცვას და სამართლიანი განხილვის გარანტიებს ადამიანის ყველა უფლებისთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იძულებით გამოსახლების შემთხვევაში, ვინაიდან ეს ღონისძიება ერთდროულად ადამიანის უფლებათა ფართო არეალში ერევა. იძულებით გამოსახლების შემთხვევაში, სულ მცირე, შემდეგი საპროცესო გარანტიები უნდა იქნეს დაცული: ა) სათანადო კონსულტაცია პირებთან, რომლებსაც ემუქრებათ გამოსახლება; ბ) იმ პირების ადეკვატური და გონივრული ვადით წინასწარ გაფრთხილება გამოსახლების შესახებ, რომლებსაც ეს ღონისძიება ეხებათ; გ) დაგეგმილი გამოსახლების შესახებ იმ პირების გონივრულ ვადაში ინფორმირება, რომელთაც გამოსახლება ემუქრებათ, მინის ან საცხოვრისის ალტერნატიული მიზნით გამოყენების შესახებ; დ) როდესაც პირთა ჯგუფების გამოსახლებას აქვს ადგილი, თანამდებობის პირები ან მათი წარმომადგენლები უნდა ესწრებოდნენ გამოსახლების ღონისძიებას; ე) ყველა ის პირი, ვინც ახორციელებს გამოსახლებას, სათანადოდ უნდა იყოს იდენტიფიცირებული; ვ) გამოსახლება არ უნდა მოხდეს განსაკუთრებულად ცუდ ამინდში და ღამით, გარდა იმ შემთხვევისა,

104 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი no. 3 ხელშემკვრელ სახელმწიფოთა ვალდებულებების ხასიათის შესახებ (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლის პირველი პუნქტი), 1990 წლის 14 დეკემბერი.

105 *Ibid.*, პუნქტი 10.

106 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); იძულებით გამოსახლება, პუნქტი 9.

როდესაც პირები, რომლებსაც გამოსახლება ემუქრებათ, ამაზე თანახმანი არიან; ზ) ქმედითი დაცვის საშუალებები უზრუნველყოფილი უნდა იყოს; თ) საჭიროებისამებრ, იურიდიული დახმარება უნდა გაეწიოთ პირებს, რომლებიც ასეთ დახმარებას საჭიროებენ სასამართლოსთვის მიმართვის მიზნით.¹⁰⁷

3. გამოსახლების დასაბუთება

როდესაც გამოსახლება გამართლებულია საჯარო ინტერესებით, ხელისუფლებამ უნდა გაატაროს ღონისძიებები ხელახლა განსახლებისთვის და ფინანსური დახმარება გაუწიოს გამოსახლებულ პირებს. საცხოვრისის არამართლზომიერი დაკავება უნდა ამართლებდეს არამართლზომიერი მფლობელების გამოსახლებას, თუმცა არამართლზომიერი მფლობელობის კრიტერიუმები გაუმართლებლად ვრცელი არ უნდა იყოს. ამასთან, ევროპული კომიტეტის განმარტებით, პირი თუ პირთა ჯგუფი, რომლებსაც არ შეუძლიათ ქმედითად ისარგებლონ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებებით, შეიძლება, იძულებულნი გახდნენ, რომ თავიანთი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად გასაკიცხ საქციელს მიმართონ. თუმცა, ეს გარემოება არ ამართლებს მათ მიმართ სანქციებისა თუ ღონისძიებების გატარებას და მათ არ უნდა ეშლებოდეთ ხელი უფლებებით სარგებლობაში.¹⁰⁸

ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები, ასაკოვანი პირები, ეთნიკური და სხვა უმცირესობები გამოსახლების შედეგად არათანაბარზომიერი ჩარევის მსხვერპლნი არიან. ქალები განსაკუთრებით მოწყვლადები არიან ძალადობისა და სექსუალური ძალადობის გამო, რასაც ისინი ექვემდებარებიან, როცა უსახლკაროდ რჩებიან. დისკრიმინაციის აკრძალვის საერთაშორისო პრინციპი დამატებით ავალდებულებს სახელმწიფოებს, გამოსახლების შემთხვევაში უზრუნველყონ, რომ დისკრიმინაციის არანაირი ფორმა არ იყოს დაშვებული.¹⁰⁹

ზოგჯერ, როდესაც გამოსახლება გამართლებულია, მაგალითად, ქირის გამუდმებით გადაუხდელობის ან დაქირავებული ქონების გაუმართლებელი დაზიანების შემთხვევებში, ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ ეს ღონისძიება კანონის საფუძველზე და პაქტის შესაბამისად გატარდეს და ყველა სამართლებრივი გარანტია და დაცვის საშუალება ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი პირებისთვის.¹¹⁰

107 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადევკატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); იძულებითი გამოსახლება, პუნქტი 15.

108 *European Federation of National Organisations Working with the Homeless (FEANTSA) v. France*, საჩივარი no. 39/2006, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2007 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 108-109; *European Roma Rights Centre (ERRC) v. Bulgaria*, საჩივარი no. 31/2005, სოციალური უფლებების ევროპული კომიტეტის 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტი 53.

109 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადევკატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); იძულებითი გამოსახლება, პუნქტი 10.

110 *Ibid.*, პუნქტი 11.

საცხოვრისის დანგრევა და იძულებით გამოსახლება დასჯის მიზნით მიუღებელია.¹¹¹

სახელმწიფო ვალდებულია, გამოსახლების ნებისმიერი ღონისძიების გამოყენებამდე და განსაკუთრებით, როდესაც ეს დიდ ჯგუფს ეხება, ყველა შესაძლო ალტერნატივა იყოს განხილული იმ პირობებთან ერთად, რომლებსაც ეხებათ გამოსახლება, რათა თავიდან იქნეს აცილებული ან ყოველ შემთხვევაში, მინიმუმამდე დაყვანილი ძალის გამოყენების საჭიროება. შესაბამისი დაცვის საშუალებები და სამართალწარმოება უნდა იყოს უზრუნველყოფილი მათთვის, ვისაც გამოსახლება ეხება. სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ამ პირობებს ჰქონდეთ სათანადო კომპენსაციის მიღების უფლება. ამ კონტექსტში შემხებლობაშია უფლებადარღვეული პირობისთვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით გათვალისწინებული ვალდებულება „ქმედითი დაცვის საშუალების“ უზრუნველყოფის შესახებ.¹¹²

იმ შემთხვევებში, როდესაც გამოსახლება გამართლებულად მიიჩნევა, იგი უნდა განხორციელდეს ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის შესატყვისის დებულებების სრული დაცვით და გონივრულობისა და თანაბარზომიერების ზოგადი პრინციპების შესაბამისად.¹¹³ ამ კონტექსტში აღსანიშნავია, აგრეთვე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი, რომელიც საცხოვრისის დაცულობის უფლებას ითვალისწინებს. ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, ადამიანის საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევა შეიძლება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში,¹¹⁴ ამასთან ის უნდა შეესაბამებოდეს პაქტის დებულებებს, მიზნებსა და ამოცანებს და თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში იყოს გონივრული. შესატყვისის კანონმდებლობა დეტალურად უნდა განსაზღვრავდეს იმ გარემოებებს, რომელთა არსებობისას ასეთი ჩარევა დასაშვებია.¹¹⁵

111 *Ibid.*, პუნქტი 12.

112 იხ. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტის 2004 წლის 29 მარტის ზოგადი კომენტარი no. 31 [80]: პაქტის ხელშემკვერელ სახელმწიფოებზე დაკისრებული ზოგადი სამართლებრივი ვალდებულებების ხასიათი.

113 გაერთიანებული ერების ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის 1997 წლის 20 მაისის ზოგადი კომენტარი no. 7: უფლება ადეკვატურ საცხოვრისზე (ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი); იძულებით გამოსახლება, პუნქტი 14.

114 იხ. გაერთიანებული ერების ადამიანის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი no. 16: სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-17 მუხლი (პირის უფლება მისი პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისისა და მიმონერის დაცულობაზე და ღირსებისა და რეპუტაციის დაცვაზე), პუნქტები 3 და 4.

115 *Idem.*, პუნქტი 8.

თავი III. საერთაშორისო სასამართლოების რელევანტური პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა კონვენცია ადევნატური საცხოვრისის უფლებას და გამოსახლების აკრძალვას პირდაპირ არ ითვალისწინებს. თუმცა მთელი რიგი რელევანტური ასპექტები, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტების თანახმად, კონვენციის რამდენიმე მუხლის მოქმედების ფარგლებში ექცევა. წინამდებარე ქვეთავში მიმოხილულია ურთიერთმიმართება პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისის დაცულობის უფლებას, საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებასა და საკუთრების დაცვას შორის.

1. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება¹¹⁶

საცხოვრისი ავტონომიური ცნებაა, რომლის განმარტებისას ევროპული სასამართლო არ შემოიფარგლება საცხოვრისის კლასიფიკაციით შიდასახელმწიფოებრივ სამართალში. შესაბამისად, პასუხი კითხვაზე – ადგილი, სადაც პირი ცხოვრობს, არის თუ არა „საცხოვრისი“ კონვენციის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მნიშვნელობით, ფაქტობრივ გარემოებებზეა დამოკიდებული, კერძოდ, იმაზე, აქვს თუ არა პირს „საკმარისი და უწყვეტი კავშირი კონკრეტულ ადგილთან.“¹¹⁷ მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებებს, განმცხადებელს ჰქონდა თუ არა ზომები მიღებული სადავო ადგილას საცხოვრებლად გადასასვლელად ან ცხოვრობდა თუ არა იქ მუდმივად.¹¹⁸

116 მუხლი 8 – პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება

1. ყველას აქვს უფლება, რომ დაცული იყოს მისი პირადი და ოჯახური ცხოვრება, საცხოვრისი და მიმონერა.
2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჭარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უნესრიგობისა თუ დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობისა ან მორალის, ანდა სხვათა უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

117 ევგენი ზახაროვი რუსეთის წინააღმდეგ (*Yevgeniy Zakharov v. Russia*), განაცხადი no. 66610/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2017 წლის 14 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 30.

118 სერეგინა რუსეთის წინააღმდეგ (*Seregina v. Russia*), განაცხადი no. 12793/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 99.

სხვა საქმეში სასამართლომ არ გაიზიარა სახელმწიფოს არგუმენტი, რომ კარ-მიდამო არ შეიძლება მიჩნეულიყო განმცხადებლის საცხოვრისად იქიდან გამომდინარე, რომ განმცხადებელი და მისი ოჯახი ორი წელი უკვე სხვაგან ცხოვრობდნენ, როცა იქ პოლიცია შესახლდა. ამასთან განმცხადებელი და მისი ძმა მოცემულ ადგილას მუდმივ მცხოვრებლებად არ იყვნენ დარეგისტრირებულნი. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებელმა სადავო ადგილას საკმარისი კავშირი შეინარჩუნა იქიდან გამომდინარე, რომ შესატყვის პერიოდში ეს მისი ერთადერთი საცხოვრებელი ადგილი იყო. მას სხვაგან საცხოვრისი დაფუძნებული არ ჰქონდა და განზრახული ჰქონდა კარ-მიდამოში დაბრუნება და იქ მუდმივად ცხოვრება. ეს განზრახვა განმტკიცებული იყო იმ ფაქტით, რომ გაზი და გათბობის სისტემა მუშაობდა, როცა პოლიცია შენობაში შესახლდა. ხელისუფლების მიერ აღწერილი მდგომარეობა არსებობდა საქმის განხილვის დროისთვის და არა რელევანტურ პერიოდში, რადროსაც მომხდარ მოვლენებზე განმცხადებელი ევროპულ სასამართლოში ჩიოდა.¹¹⁹

განმცხადებელი მთლიანი კარ-მიდამოს ერთი სახლის მესაკუთრე იყო, ხოლო მეორე მის ძმას ეკუთვნოდა. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იყო აშენებული და ძმები ერთ ოჯახად ცხოვრობდნენ, სასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლის საცხოვრისის შეადგენდა არა მხოლოდ თავისი საკუთარი, არამედ ძმის საკუთრებაში არსებული სახლიც კონვენციის მე-8 მუხლის მიზნებისთვის. მეორე მხრივ, სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ მინა და სამრენველო დანიშნულების ნაგებობები განმცხადებლის საცხოვრისის შეადგენდა.¹²⁰

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიძლება განიმართოს, როგორც პირის უფლების აღიარება, უზრუნველყოფილი იყოს საცხოვრისით;¹²¹ ან როგორც პირის უფლება, იცხოვროს გარკვეულ ადგილას;¹²² საცხოვრისი არის ადგილი, ფიზიკურად შემოსაზღვრული ფართი, სადაც პირადი და ოჯახური ცხოვრება რეალიზდება. პირის უფლება თავისი საცხოვრისის დაცულობაზე გულისხმობს ფიზიკური ადგილის დაცულობას. მაგალითად, სასამართლომ საცხოვრისის დაცულობის უფლებაში მძიმე ჩარევად მიიჩნია განმცხადებლის ბინაში ნებართვის გარეშე შეღწევა და იქ მოსასმენი აპარატურისა და ვიდეოკამერების დაინსტალირება. საცხოვრისის ხელშეუხებლობის დარღვევით განმცხადებლის პირადი ცხოვრების ყველაზე ინტიმური ასპექტების ჩანერამ, მის პრივატულობაში მძიმე, თვითნებური და განსაკუთრებით ინტენსიური ჩარევა შეადგინა, რაც კიდევ უფრო დამძიმდა შემდგომ ფარული ჩანაწერების ინტერნეტსივრცეში გავრცელებით.¹²³

119 ხამიდოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Khamidov v. Russia*), განაცხადი no. 72118/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 127.

120 *Ibid.*, პუნქტები 129-130.

121 ჩეპმენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Chapman v. the United Kingdom*), განაცხადი no. 27138/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 99.

122 გარიბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Garib v. the Netherlands*), განაცხადი no. 43494/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 141.

123 ხადიჯა ისმაილოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Khadija Ismayilova v. Azerbaijan*), განაცხადები nos. 65286/13 და 57270/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 116.

პირის უფლება თავისი საცხოვრისის დაცულობაზე ნიშნავს არა მხოლოდ ფიზიკური ადგილის დაცულობას, არამედ ამ ადგილას სათანადო სიმშვიდეს და სიწყნარეს. აღნიშნული გულისხმობს ხელისუფლების მიერ სათანადო ღონისძიების გატარებას, განსაკუთრებით სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების გზით.¹²⁴ უფრო კონკრეტულად, საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევა მხოლოდ კონკრეტულ ფიზიკურ დარღვევას არ უკავშირდება, როგორცაა, მაგალითად, ნების გარეშე საცხოვრისში შესვლა,¹²⁵ არამედ, აგრეთვე, მოიცავს არაკონკრეტულ თუ ფიზიკურ ჩარევასაც, როგორც არის ხმაური, გამონაბოლქვი, სუნი¹²⁶ ან მსგავსი ჩარევის სხვაგვარი გამოვლინება. მძიმე ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს პირის საცხოვრისის დაცულობის უფლების დარღვევა, თუ იგი ხელს უშლის ადამიანს, თავისი საცხოვრისით ისარგებლოს.¹²⁷

მართალია, კონვენცია პირდაპირ არ ითვალისწინებს უფლებას სუფთა და მშვიდ გარემოზე, მაგრამ როდესაც პირზე უშუალო და მძიმე ზემოქმედებას ახდენს ხმაური, დაბინძურება და მისთ., შეიძლება საქმეზე მე-8 მუხლის მოქმედება გავრცელდეს.¹²⁸ კონვენციის მე-8 მუხლი შეიძლება გავრცელდეს გარემოსდაცვით შემთხვევებზე, როცა დაბინძურება პირდაპირ არის გამოწვეული სახელმწიფოს მიერ ან სახელმწიფო პასუხისმგებელია, რადგანაც სათანადოდ არ დაარეგულირა კერძო მრეწველობა.¹²⁹ იმ შემთხვევებს, როცა ადამიანი თავის საცხოვრებელ ადგილას ექვემდებარება შემანუხებელ ხმაურს, სუნს და ა.შ., ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნული შეიძლება მე-8 მუხლით დაცულ პირად ცხოვრებაში ჩარევად განიხილოს.¹³⁰

მე-8 მუხლის მიზანია, დაიცვას ინდივიდები საჯარო ხელისუფლების მხრიდან თვითნებური ჩარევისგან. მე-8 მუხლი უბრალოდ კი არ აიძულებს სახელმწიფოს, რომ თავი შეიკავოს ასეთი ჩარევისგან, რაც შეადგენს სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას, შეიძლება, სახელმწიფოს ასევე ეკისრებოდეს პოზიტიური ვალდებულება, რომ ქმედი-

124 ცვიეტიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Cvijetić v. Croatia*), განაცხადი no. 71549/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 26 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტები 51-53.

125 კვიპროსი თურქეთის წინააღმდეგ (*Cyprus v. Turkey*), განაცხადი no. 25781/94, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 10 მაისის გადაწყვეტილების პუნქტი 294.

126 მორენო გომესი ესპანეთის წინააღმდეგ (*Moreno Gómez v. Spain*), განაცხადი no. 4143/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 53.

127 ჰეტონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*), განაცხადი no. 36022/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 96. უდოვიჩიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Udovičić v. Croatia*), განაცხადი no. 27310/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 136.

128 უდოვიჩიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Udovičić v. Croatia*), განაცხადი no. 27310/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 137.

129 ჰეტონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*), განაცხადი no. 36022/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 98.

130 ფადეიევა (*Fadeyeva v. Russia*), განაცხადი no. 55723/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 9 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 68. ბრანდუშე რუმინეთის წინააღმდეგ (*Brândușe c. Roumanie*), განაცხადი no. 6586/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2009 წლის 7 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 62.

თად უზრუნველყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობა. ეს ვალდებულებები შეიძლება გულისხმობდეს შესაბამის ღონისძიებებს მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებების დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამონშმებს, გაატარა თუ არა სახელმწიფომ აუცილებელი ღონისძიებები, პირადი ცხოვრების ქმედითი დაცულობის უზრუნველსაყოფად და ამდენად, განახორციელა თუ არა ამ თვალსაზრისით თავისი პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც ორგანულად გამომდინარეობს მე-8 მუხლიდან.

კონვენციის მე-8 მუხლის ძალით სახელმწიფოზე დაკისრებულ პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებებს შორის გამყოფი ზღვარი ხშირად რთული დასადგენია. შესატყვისი პრინციპები მსგავსია. ორივე შემთხვევაში უნდა დამყარდეს სამართლიანი წონასწორობა კონფლიქტურ ინტერესებს შორის.¹³¹ ამასთან, მე-8 მუხლის პირველი მუხლიდან გამომდინარე პოზიტიურ ვალდებულებებთან დაკავშირებით სამართლიანი წონასწორობის დამყარებისას მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში მითითებული ლეგიტიმური მიზნები შეიძლება რელევანტური იყოს.¹³²

ჩარევა უნდა მოხდეს „კანონის შესაბამისად“

კანონი არის ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებული დამოუკიდებელი მნიშვნელობის მქონე კონცეფცია. ევროპულ სასამართლოს დადასტურებული აქვს, რომ მე-8 მუხლით დაცული უფლებების რეალიზებაში ჩარევა უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად, როგორც მატერიალურ-სამართლებრივი, ისე საპროცესო-სამართლებრივი კუთხით. ეს ფრაზა არა მარტო მოითხოვს ჩარევის შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობასთან შესაბამისობას, არამედ უკავშირდება ამ კანონის ხარისხს.

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა უნდა იყოს ცხადი, წინასწარ განჭვრეტადი და სათანადოდ ხელმისაწვდომი. პირს უნდა შეეძლოს კანონის შესაბამისად მოქმედება. აგრეთვე, ცხადად უნდა იყოს განსაზღვრული საჯარო ხელისუფლებისთვის მინიჭებული დისკრეციის ფარგლებში სათანადო ღონისძიებების მიღება. შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა გონივრული სიცხადით უნდა მიუთითებდეს იმ ფარგლებსა და გზებზე, რომლითაც უნდა განხორციელდეს საჯარო ხელისუფლებისთვის დელეგირებული დისკრეცია ისე, რომ პირები უზრუნველყოფილნი იყვნენ დაცვის მინიმალური ხარისხით, რომლის უფლებაც მათ აქვთ სამართლის უზენაესობაზე დამყარებულ დემოკრატიულ საზოგადოებაში.

131 უდოვიჩიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Udovičić v. Croatia*), განაცხადი no. 27310/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 138.

132 ჰეტონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*), განაცხადი no. 36022/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 98.

რაც შეეხება წინასწარგანგვრეტადობას, ფრაზა „კანონის შესაბამისად“ ამ კონტექსტში გულისხმობს, *inter alia*, რომ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა საკმარისად განგვრეტადი უნდა იყოს, რათა სათანადოდ მიანიშნოს ინდივიდებს იმ გარემოებებსა და პირობებზე, რომელთა დადგომის შემთხვევაშიც, ხელისუფლებას უფლება აქვს, გამოიყენოს უფლებათა შემზღვეველი ღონისძიებები. ევროპული სასამართლო მოითხოვს, რომ პირებს უნდა შეეძლოთ, გონივრულად განგვრეტონ, სულ მცირე, იურისტის რჩევით, რომ მათზე შეიძლება კანონის მოქმედება გავრცელდეს.

მართლზომიერების მოთხოვნა ასევე მოითხოვს, რომ არსებობდეს სათანადო გარანტიები მე-8 მუხლით დაცული უფლებების უზრუნველსაყოფად. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ამ კონტექსტში ხშირად გულისხმობს იმას, რომ მე-8 მუხლით დაცულ უფლებებს სათანადო ყურადღება ექცევა ეროვნულ დონეზე; არსებობს შესაბამისი რეგლამენტაცია (მათ შორის, ქმედების კრიმინალიზაციის სახით) მე-8 მუხლით აღიარებული უფლებების უზრუნველსაყოფად.

ჩარევა უნდა მოხდეს ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად

როდესაც ევროპული სასამართლო დაასკვნის, რომ ჩარევის ღონისძიება არ იყო „კანონის შესაბამისი“, ადგენს მე-8 მუხლის დარღვევას ისე, რომ საჭიროდ არ მიიჩნევს განხილვას, ჰქონდა თუ არა ჩარევის „ლეგიტიმური მიზანი“ ან იყო თუ არა იგი „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“. კონვენციის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოთვლის ლეგიტიმურ მიზნებს, რომლებიც შეიძლება ამართლებდეს მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევას. ეროვნულ დონეზე უფლებაში ჩარევა მიზნად უნდა ისახავდეს მინიმუმ ერთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას.

ჩარევა უნდა იყოს „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“

იმის დასადგენად, იყო თუ არა მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში ჩარევა „აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში“, სასამართლო აწონ-დაწონის სახელმწიფოს ინტერესებს ინდივიდის უფლებასთან მიმართებით. სიტყვა „აუცილებელი“ არ არის ისეთი მოქნილი, როგორც სიტყვები „სასარგებლო“, „გონივრული“ ან „სასურველი“; იგი გულისხმობს ჩარევის „მწვავე საზოგადოებრივ საჭიროებას“. მაგრამ, თუნდაც ჩარევა ამ მოთხოვნას აკმაყოფილებდეს, ის მაინც ვერ მიიჩნევა „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელ“ ღონისძიებად, თუ არ არის თანაბარზომიერი დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. თავდაპირველად ეროვნული ხელისუფლება აფასებს, აუცილებელი არის თუ არა უფლებაში ჩარევა; თუმცა საბოლოო შეფასებას ახორციელებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო იმ თვალსაზრისით, სახელმწიფომ ჩარევის აუცილებლობა

„საკმარისი“ და „რელევანტური“ გარემოებებით დაასაბუთა თუ არა, რათა დადგინდეს კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობა.¹³³

2. საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლება¹³⁴

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი ცხოვრებისა და საცხოვრისის დაცულობის უფლებასა და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლებას შორის აშკარა ურთიერთმიმართებაა.¹³⁵

ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად უფლებათა შორის აშკარა კავშირისა, უფლებაში ჩარევის მართლზომიერების ტესტი, რომელიც დადგენილია მე-8 მუხლის მე-2 პუნქტით და განმარტებულია ევროპული სასამართლოს მიერ, შეუძლებელია, გამოიყენებოდეს მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან მიმართებით.¹³⁶ კონვენციის მე-8 მუხლი არ შეიძლება განიმარტოს, როგორც პირისთვის უფლების მინიჭება, გარკვეულ ადგილას იცხოვროს.¹³⁷ მეორე მხრივ, პირის თავისუფლება, აირჩიოს საცხოვრებელი ადგილი მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის ცენტრალური ასპექტია, რომელიც ყველანაირ მნიშვნელობას იქნებოდა მოკლებული, რომ არ ავალდებულებდეს სახელმწიფოს, გაითვალისწინოს ამ საკითხთან დაკავშირებით ინდივიდის სურვილი. შესაბამისად, ამ პრინციპიდან ნებისმიერი გამონაკლისი დემოკრატიულ საზოგადოებაში საჭარო ინტერესით უნდა იყოს ნაკარნახევი.¹³⁸

133 ვინტერშტეინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Winterstein et autres c. France*), განაცხადი no. 27013/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილების პუნქტები 147-148.

134 კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მუხლი 2 – მიმოსვლის თავისუფლება

1. ყველას, ვინც კანონიერად იმყოფება სახელმწიფოს ტერიტორიაზე, აქვს ამ ტერიტორიაზე მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის არჩევის უფლება.

135 ნოაკი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (*Noack and Others v. Germany*), განაცხადი no. 46346/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 25 მაისის განჩინება.

136 გარიბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Garib v. the Netherlands*), განაცხადი no. 43494/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 140.

137 ვორდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ward v. the United Kingdom*), განაცხადი no. 31888/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 9 ნოემბრის განჩინება.

138 გარიბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Garib v. the Netherlands*), განაცხადი no. 43494/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 141.

3. საკუთრების დაცვა¹³⁹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო განმარტავს, რომ მე-8 მუხლში მოხსენიებულ საცხოვრისის ცნებასა და პირველი ოქმის პირველ მუხლში მოხსენიებულ „საკუთრებას“ შორის შეიძლება მნიშვნელოვანი გადაფარვა იყოს, მაგრამ „საცხოვრისის“ არსებობა არ არის დამოკიდებული უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების ან ინტერესის არსებობაზე.¹⁴⁰ ინდივიდს შეიძლება ჰქონდეს საკუთრების უფლება გარკვეულ შენობაზე, თუ მის ნაწილზე ან მინის ნაკვეთზე, კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით ისე, რომ არ ჰქონდეს საკმარისი კავშირი მოცემულ ქონებასთან, რომ ეს ადგილი მის „საცხოვრისად“ ჩაითვალოს კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით.¹⁴¹ ზოგიერთი ღონისძიება, რომელიც მე-8 მუხლში ჩარევას შეადგენს, ყველა შემთხვევაში პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევად არ მიიჩნევა. ეს ორი მუხლი განსხვავებულ ინტერესებს იცავს და შესაბამისად, განსხვავებულია მათთვის მინიჭებული დაცვის ხარისხიც, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება საქმის გარემოებებზე თანაბარზომიერების მოთხოვნების მორგებას.¹⁴²

მე-8 მუხლის დარღვევა შეიძლება გამომდინარეობდეს პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევიდან. მაგალითად, სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლებისთვის კარ-მიდამოსა და შემოსავლის წყაროზე ხელმისაწვდომობის აღკვეთა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევასთან ერთად შეადგენდა მძიმე და გაუმართლებელ ჩარევას მე-8 მუხლით გარანტირებულ საცხოვრისის დაცულობის უფლებაში.¹⁴³ სასამართლომ აგრეთვე შეიძლება, დაადგინოს ორიდან მხოლოდ ერთი-ერთი მუხლის დარღვევა.¹⁴⁴ ყოფილა შემთხვევები, როდესაც სასამართლოს არ მიუჩნევია საჭიროდ, რომ ცალცალკე ემსჯელა ორივე მუხლთან ნამოჭრილ პრეტენზიებთან დაკავშირებით: მაგალითად, პრეტენზიები ნაგავსაყრელის აფეთქებისას თვითნებურად დაკავებული საცხოვ-

139 კონვენციის პირველი ოქმის მუხლი 1 – საკუთრების დაცვა

1. ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას საკუთრება ვინმეს კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

2. ამასთან, წინარე დებულებანი ვერ ხელყოფს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონი, რომელსაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ სხვა მოსაკრებლის ანდა ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.

140 სურვიგუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Surugiu c. Roumanie*), განაცხადი no. 48995/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 63.

141 ხამიდოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Khamidov v. Russia*), განაცხადი no. 72118/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 128.

142 ივანოვა და ჩერქეზოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Ivanova and Cherkezev v. Bulgaria*), განაცხადი no. 46577/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტები 62-76.

143 დოღანი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Doğan and Others v. Turkey*) განაცხადები nos. 8803/02 et al. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2004 წლის 29 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 159.

144 ხამიდოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Khamidov v. Russia*), განაცხადი no. 72118/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2007 წლის 15 ნოემბრის გადაწყვეტილება.

რებელი ბარაკების განადგურებასთან დაკავშირებით აღარ განუხილავთ მე-8 მუხლის ჭრილში;¹⁴⁵ პრეტენზიები სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, პირის საცხოვრისის დაცულობის უფლების უზრუნველსაყოფად, განხილული იქნა მხოლოდ მე-8 მუხლის ჭრილში და სასამართლომ საჭიროდ აღარ მიიჩნია პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების დაცვის უფლების განხილვა.¹⁴⁶

ზოგიერთ შემთხვევაში საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევის ღონისძიება განხილული უნდა იყოს პირველი ოქმის პირველი მუხლის ჭრილში, განსაკუთრებით, როცა ეს ეხება ქონების ექსპროპრიაციის საქმეებს.¹⁴⁷

4. სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები სამართლიანი წონასწორობის დასადგენად

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, სახელმწიფოებს მიხედულების განსხვავებული ფარგლები აქვთ კონვენციის სხვადასხვა მუხლით გარანტირებული უფლებების რეალიზებასთან მიმართებით. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, განიმარტოს ეს ფარგლები ზემოაღნიშნული უფლებების კონტექსტში.

ევროპული სასამართლოს შეფასებით, სახელმწიფოს ზოგად პოლიტიკასთან მიმართებით, რომელთან დაკავშირებითაც დემოკრატიულ საზოგადოებაში მოსაზრებები გონივრულად განსხვავდება, შიდასახელმწიფოებრივი პოლიტიკის მიმღები ორგანოს როლს განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს. ეროვნულ ხელისუფლებას უშუალო დემოკრატიული ლეგიტიმაცია აქვს და სასამართლოს ხშირ შემთხვევაში დაუდგენია, რომ ეროვნულ ხელისუფლებას საერთაშორისო სასამართლოზე უკეთ შეუძლია, შეაფასოს ადგილობრივი საჭიროებები და პირობები.¹⁴⁸ სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებაში საკანონმდებლო ორგანოს მიხედულების ფარგლები ფართო უნდა იყოს. სასამართლოს

145 ონერილდიზი თურქეთის წინააღმდეგ (*Öneriyildiz v. Turkey*), განაცხადი no. 48939/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2004 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება.

146 სურუგიუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Surugiu c. Roumanie*), განაცხადი no. 48995/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება.

147 მეჰმეთ სალიჰი და აბდულსამეთ ჩაკმაკი თურქეთის წინააღმდეგ (*Mehmet Salih and Abdulsamet Çakmak v. Turkey*) განაცხადი no. 45630/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 29 აპრილის გადაწყვეტილება; მუთლუ თურქეთის წინააღმდეგ (*Mutlu v. Turkey*), განაცხადი no. 8006/02, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 10 ოქტომბრის გადაწყვეტილება.

148 მრავალ საქმეს შორის, იხ. ჰეტონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Hatton and Others v. the United Kingdom*), განაცხადი no. 36022/97, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2003 წლის 8 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტი 97; გორეს ლისარაგა და სხვები ესპანეთის წინააღმდეგ (*Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*), განაცხადი no. 62543/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 70; სტეკი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Stec and Others v. the United Kingdom*), განაცხადები nos. 65731/01 და 65900/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 12 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 52.

მრავალ საქმეზე აღუნიშნავს, რომ პატივს სცემს საკანონმდებლო ორგანოს მიერ იმის შეფასებას, თუ რა უნდა ჩაითვალოს „საჯარო“ და „საერთო“ ინტერესად, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ამ შეფასებას აშკარად აკლია გონივრული საფუძველი.¹⁴⁹

საკანონმდებლო ორგანოს მიხედულების ფარგლები ვრცელდება როგორც აღნიშნულ სფეროში მის ჩარევაზე, ისე კონფლიქტურ – საერთო და ინდივიდის ინტერესებს შორის წონასწორობის დამყარებაზე. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილებები სასამართლოს კონტროლს არ ექვემდებარება. ევროპული სასამართლო ყურადღებით აფასებს კანონშემოქმედებითი პროცესის დროს განხილულ არგუმენტებს, რომლის საფუძველზეც გაკეთდა გარკვეული არჩევანი საკანონმდებლო ორგანოს მიერ, რათა შეაფასოს, დამყარდა თუ არა სამართლიანი წონასწორობა სახელმწიფოსა და იმ პირების ინტერესებს შორის, რომელთაც პოლიტიკა უშუალოდ შეეხოთ.¹⁵⁰

საცხოვრისის უფლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოს პოზიტიური და ნეგატიური ვალდებულებების შესრულების შეფასების საკითხი ხშირ შემთხვევაში წამოიჭრება ისეთი ღონისძიებების შედეგად, რომლებიც დაკავშირებულია ქალაქის განაშენიანებასთან, განვითარებასთან. ამ კონტექსტში ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მისთვის რთულია, კითხვის ქვეშ დააყენოს ეროვნული ხელისუფლების არგუმენტის ლეგიტიმურობა თითოეულ კონკრეტულ საქმეში, რომ არსებობს გარკვეული მოსაზრებები დაგეგმარებასთან დაკავშირებით.

ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მას არ შეუძლია თითოეულ უბანში ვიზიტი, რათა თავად შეაფასოს საერთო ინტერესიდან გამომდინარე და იმავდროულად ადამიანის უფლებებში ჩამრევი გარკვეული ღონისძიების შედეგი ქალაქის განვითარებაზე, საგზაო პირობებზე, წყლით მომარაგებასა და წყალარინებაზე, საგანმანათლებლო, სამედიცინო დაწესებულებებზე, დასაქმების პერსპექტივებსა და ა.შ. ვინაიდან დაგეგმარების ინსპექტორები უშუალოდ ათვალიერებენ უბნებს, ისმენენ არგუმენტებს ყველა მხრიდან და მონშემების მოსაზრებებს ითვალისწინებენ, ეროვნულ ხელისუფლებას უკეთ შეუძლია ადგილობრივი ვითარების შეფასება.¹⁵¹

149 ანდრეიევა ლატვიის წინააღმდეგ (*Andrejeva v. Latvia*), განაცხადი no. 55707/00, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2009 წლის 18 თებერვლის გადაწყვეტილების პუნქტი 83; ქარსონი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Carson and Others v. the United Kingdom*), განაცხადი no. 42184/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2010 წლის 16 მარტის გადაწყვეტილების პუნქტი 61.

150 პარილო იტალიის წინააღმდეგ (*Parrillo v. Italy*), განაცხადი no. 46470/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2015 წლის 27 აგვისტოს გადაწყვეტილების პუნქტი 170; გარიბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Garib v. the Netherlands*), განაცხადი no. 43494/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 138.

151 ჩეპმენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Chapman v. the United Kingdom*), განაცხადი no. 27138/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 92.

ისეთი სფეროები, როგორცაა საცხოვრისი, რომელიც თანამედროვე საზოგადოებაში უპირველეს სოციალურ საჭიროებად განიხილება და სახელმწიფოების სოციალურ და ეკონომიკურ პოლიტიკაში ცენტრალურ როლს ასრულებს, ხშირად სახელმწიფოსგან რეგულირების გარკვეულ ფორმას მოითხოვს. გადანაცვები, ეს სფერო დაექვემდებაროს თუ არა სრულად თავისუფალი ბაზრის რეგულირებას (და როდის უნდა მოხდეს აღნიშნული), თუ უნდა იყოს სახელმწიფო კონტროლის ქვეშ, აგრეთვე, იმ ღონისძიებების არჩევა, რომლებითაც საზოგადოების საცხოვრისზე საჭიროება უნდა დაკმაყოფილდეს და მათი განხორციელების მომენტი აუცილებლად მოითხოვს კომპლექსური სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური საკითხების განხილვას.¹⁵²

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ისეთ კომპლექსურ და რთულ სფეროში, როგორცაა დიდი ქალაქების განვითარება, სახელმწიფოს მიხედულების ფართო ფარგლები აქვს ქალაქების დაგეგმარების იმპლემენტაციის თვალსაზრისით,¹⁵³ თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ეს განმარტება მოცემული აქვს კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების დაცვისა და მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გარანტირებული საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების კონტექსტში და არა მე-8 მუხლთან მიმართებით, რომელიც ინდივიდის იდენტობის, თვითგამორკვევის, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობის, სხვებთან ურთიერთობისა და თემში უსაფრთხოდ დაფუძნების თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობის უფლებებს ეხება. შესაბამისად, მე-8 მუხლის მოქმედების გავრცელების შემთხვევაში სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები საბინაო სფეროში ვინროვდება პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან შედარებით.¹⁵⁴ როდესაც მე-8 მუხლის კონტექსტში წამოიჭრება ზოგადი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის საკითხები, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები საქმის კონტექსტზეა დამოკიდებული და განსაკუთრებული მნიშვნელობა განმცხადებლის პირად სფეროში შეტრას ენიჭება.¹⁵⁵

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიხედულების ფართო ფარგლებს უშვებს, აგრეთვე, მე-14 მუხლთან მიმართებით, როცა განსხვავებული მოპყრობა/ნეიტრალური პოლიტიკა ეკონომიკური თუ სოციალური სტრატეგიის ფარგლებში ხორციელდება. ამ დროსაც ევროპული სასამართლო აღიარებს, რომ ეროვნული ხელისუფლება უშუალოდ იცნობს თავის საზოგადოებას და მის საჭიროებებს და პრინციპში, ეროვნულ ხელისუფლებას უკეთ ხელენიფება, ვიდრე საერთაშორისო სასამართლოს, რომ შეაფა-

152 გარიბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Garib v. the Netherlands*), განაცხადი no. 43494/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადანაცვებილების პუნქტი 139.

153 აიანგილი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Ayangil and Others v. Turkey*), განაცხადი no. 33294/03, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის გადანაცვებილების პუნქტი 50.

154 გლადიშევა რუსეთის წინააღმდეგ (*Gladysheva v. Russia*), განაცხადი no. 7097/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის გადანაცვებილების პუნქტი 93.

155 კონორსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Connors v. the United Kingdom*), განაცხადი no. 66746/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადანაცვებილების პუნქტი 82.

სოს, რა უნდა ჩაითვალოს საჯარო ინტერესად, სოციალურ თუ ეკონომიკურ საფუძვლებზე. დისკრიმინაციის აკრძალვის კონტექსტშიც, როდესაც ევროპული სასამართლო აფასებს განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას, ანუ ისახავს თუ არა განსხვავებული მოპყრობა ლეგიტიმურ მიზანს და თუ არსებობს გონივრული თანაბარზომიერება ჩარევის ღონისძიებასა და დასახულ მიზანს შორის – ევროპული სასამართლო, როგორც წესი, პატივს სცემს ეროვნული საკანონმდებლო ორგანოს პოლიტიკის არჩევანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს აშკარად დაუსაბუთებელია და გონივრული საფუძველი არ აქვს.¹⁵⁶

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს სახელმწიფოთა დისკრეციას, შეაფასოს, გამართლებულია თუ არა განსხვავებული მოპყრობა და რა ხარისხით. სახელმწიფოს დისკრეციის ეს ფარგლები განსხვავდება გარემოებების, განსახილველი საკითხისა და წინმსწრები მოვლენების შესაბამისად.¹⁵⁷

იმისათვის, რათა შეფასდეს, დაიცვა თუ არა სახელმწიფომ მიხედულების ფარგლები და იყო თუ არა „სამართლიანი წონასწორობა“ სხვადასხვა ინტერესს შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ითვალისწინებს მთელ რიგ ფაქტორებს. მაგალითად, როგორია პირობები, რომლითაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, შეიძლება, კომპენსაცია გადაიხადონ და ის, თუ როგორ გამოიყენეს შესაბამისი ნორმები განმცხადებლის შემთხვევაში.¹⁵⁸

ინდივიდისთვის მინიჭებული საპროცესო გარანტიები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის დადგენისას, სახელმწიფომ დაიცვა თუ არა მიხედულების ფარგლები შესაბამისი ნორმატიული ჩარჩოს შემუშავებისას. კერძოდ, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ამონწებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც დამთავრდა ინდივიდის უფლებებში ჩარევით, იყო თუ არა სამართლიანი, იქნება ეს მე-8 მუხლისა თუ კონვენციის სხვა დებულებების კონტექსტში.¹⁵⁹

საცხოვრისის დაკარგვა საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ყველაზე მძიმე ჩარევაა. თითოეულ პირს, რომელიც ასეთი ღონის ჩარევის საშიშროების წინაშე დგას, უნდა შეეძლოს ამ ღონისძიების თანაბარზომიერების შეფასება დამოუკიდებელი სასამართლოს

156 ბაჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Bah v. the United Kingdom*), განაცხადი no. 56328/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტები 35-37.

157 იხ. ზოგადი პრინციპი საქმეზე: აბდულაზიზი, კაბალესი და ბალქანდალი v. გაერთიანებული სამეფო (*Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება განაცხადებზე nos. 9214/80; 9473/81; 9474/81; 1985 წლის 28 მაისის გადაწყვეტილება, § 78.

158 ნოაკი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (*Noack and Others v. Germany*), განაცხადი no. 46346/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 25 მაისის განჩინება.

159 ჩეპმენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Chapman v. the United Kingdom*), განაცხადი no. 27138/95, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 92.

მეშვეობით და კონვენციის მე-8 მუხლზე განვითარებული შესატყვისი პრინციპების მეშვეობით, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ, ეროვნული კანონმდებლობის თანახმად, მას მფლობელობის უფლება აღარ აქვს.¹⁶⁰

5. კონკრეტული საქმეები

პოლიციის უმოქმედობა, დაეცვა ბოშა მცხოვრებლები ბრბოს მიერ მათ სახლებზე წინასწარ დაგეგმილი და ბოშების სიძულვილით მოტივირებული თავდასხმისგან: დადგინდა დარღვევა¹⁶¹

განმცხადებლები არიან უკრაინის მოქალაქეები, ეთნიკური ბოშები. განმცხადებლების სოფელში მომხდარი მკვლელობის შემდეგ, სოფლის მცხოვრებლებისგან შემდგარი ბრბო შეიკრიბა და ბოშების სოფლიდან გაძევება მოითხოვა. სოფლის საბჭომ გადაწყვიტა, რომ მხარი დაეჭირა სოფლიდან ეთნიკური ბოშების გაძევების გადაწყვეტილებისთვის. ბოშებს მერმა და ადგილობრივმა პოლიციამ ურჩია, დაეტოვებინათ სოფელი, რადგან „პოგრომი“ სადაცაა დაიწყებოდა. მოგვიანებით, რამდენიმე ასეული ადამიანისგან შემდგარი ბრბო ბოშების სახლებს შეესია და მათი ქონება გაანადგურა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმცხადებელთა შორის ორი ჯგუფი გამოყო: ერთი ჯგუფი სოფელში ბრბოს თავდასხმამდე იმყოფებოდა და ისინი იძულებულნი გახდნენ, დაეტოვებინათ თავიანთი სახლ-კარი, მეორე ჯგუფი კი მოვლენათა განვითარების დროს სოფელში არ იმყოფებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა მე-3 მუხლის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

სადავო არ იყო ის გარემოება, რომ განმცხადებლების კარ-მიდამოზე თავდასხმა ბოშების სიძულვილით იყო გამოწვეული. ხელისუფლებამ საკმაო ხნით ადრე იცოდა თავდასხმის მომზადების შესახებ. ევროპულ სასამართლოს არ მიენოდა ინფორმაცია, თუ რატომ არ ჩაერივნენ ისინი, რათა განმცხადებლების კარ-მიდამო დაეცვათ. ეროვნულ დონეზე საქმის განხილვისას არ დასახელებულა ის არგუმენტი, რომ თავდასხმა ისეთი მოულოდნელი ან ფართომასშტაბიანი იყო პოლიციის რესურსებთან შედარებით, საჭირო იყო პოლიციის ჩარევის შემოფარგვლა ზიანის მინიმუმამდე დასაცვანად და ამიტომ ჩარევის ნაცვლად მათ ურჩიეს განმცხადებლებს, რომ სოფელი დაეტოვებინათ.

160 პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Popov v. Russia*), განაცხადი no. 44560/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 43.

161 ბურლია და სხვები უკრაინის წინააღმდეგ (*Burlya and Others v. Ukraine*), განაცხადი no. 3289/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სახელმწიფოს წარმომადგენლებმა ან მიიჩნიეს, რომ მათ არ შეეძლოთ განმცხადებლების ბრბოსგან დაცვა, ან არ სურდათ ამის გაკეთება. პოლიციელები ადგილზე იყვნენ დისლოცირებულნი, როცა ბრბო ბოშების სახლ-კარს არბევდა და არ ჩარეულან ბოშების საკუთრების დასაცავად. პოლიციელთა ადგილზე ყოფნამ, ბოშების სოფლიდან გაძევების შესახებ სოფლის საბჭოს გადანყვეტილებასთან ერთად, შექმნა შთაბეჭდილება, რომ თავდამსხმელთა მოქმედებებს ხელისუფლება მხარს უჭერდა.

განმცხადებლებმა, რომლებიც გააფრთხილეს, რომ მათ წინააღმდეგ თავდასხმა იგეგმებოდა, გააცნობიერეს, რომ თავიანთი ოჯახური კავშირებისა და ეთნიკურობის გამო, ხელისუფლებისა და კანონის დაცვის იმედი არ უნდა ჰქონოდათ იმ ადგილას, სადაც თავიანთი ცხოვრების დიდი პერიოდი ჰქონდათ გატარებული და რომელსაც თავიანთ საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევდნენ. საცხოვრისის დატოვების გადანყვეტილება არ იყო თავისუფალი ნების გამოვლინება. ბოშებმა საცხოვრისი მიატოვეს პირადი ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მიზნით. შიშის, ტკივილის, უსასოობისა და არასრულფასოვნების განცდამ კიდევ უფრო დაამძიმა იმის გაცნობიერება, რომ მათ სახლებს, სავარაუდოდ, დაარბევდნენ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ საკუთარი კარ-მიდამოს დაცვა თავიანთი სიცოცხლის საფრთხეში ჩაუგდებლად.

ამ ყველაფერმა ბოშა მცხოვრებლების ღირსება დაამცირა. პოლიციის მხრიდან ჩაურევლობამ და მათმა უმოქმედობამ, დაეცვა ბოშები და მათი კარ-მიდამო მრავალრიცხოვანი ბრბოს ძალადობისგან, რომელიც ბოშების სიძულვილით იყო გამსჭვალული, იმდენად შელახა განმცხადებლების ღირსება, რომ ეს შეიძლებოდა „დამამცირებელ“ მოპყრობად განხილულიყო.

ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა ხელისუფლების არგუმენტს, რომ მე-3 მუხლი არ უნდა გავრცელებულიყო ქონების განადგურების შემთხვევაზე. ამისთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ გარემოებას, რომ განმცხადებლებს საკუთარი თვალთვლით უნდა ენახათ თავიანთი კარ-მიდამოს დარბევა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე მთლიან კონტექსტში უნდა განეხილა და შესაბამისად, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, აღნიშნულ ფაქტორს გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

შესაბამისად, ზემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის მატერიალურ-სამართლებრივ ნაწილში დარღვევა, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, აგრეთვე, განიხილა კონვენციის მე-3 მუხლის საპროცესო-სამართლებრივ ნაწილში დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. ეროვნულ დონეზე წარმოებულ გამოძიებას მნიშვნელოვანი ხარვეზები ახასიათებდა. საგამოძიებო ორგანოებს უამრავი მტკიცებულება ჰქონდათ, რომ ადგილობ-

რიგმა ხელისუფლებამ, პოლიციის ჩათვლით, იცოდა თავდასხმის მზადების შესახებ და რომ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს, მის თავიდან ასაცილებლად, ესწრებოდა მოვლენათა განვითარებას და მისი მოქმედებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ იმის მცდელობით, რომ არ დაეშვა, მსხვერპლი ყოფილიყო.

ამის მიუხედავად, არანაირი ნაბიჯი არ გადადგმულა საქმის ამ ასპექტის გამოსაძიებლად. საგამოძიებო ორგანოებს არ გამოუჩენიათ არავითარი ძალისხმევა, დაედგინათ, თუ რა ინფორმაცია ჰქონდა ადგილობრივ ხელისუფლებას თავდასხმის შესახებ, როდის გაიგეს აღნიშნულის შესახებ, ვინ იყო ინფორმაციის წყარო, იცნობდნენ თუ არა თავდასხმის ორგანიზატორებს, იყვნენ თუ არა მათთან კონტაქტში, რატომ შემოიფარგლნენ განმცხადებლების გაფრთხილებით, იმის ნაცვლად, რომ გადაედგათ ნაბიჯები თავდასხმის თავიდან ასაცილებლად. ადგილობრივი პოლიცია ჩართული იყო მოვლენათა გამოძიებაში.

საგამოძიებო ორგანოები გამოძიების აშკარა ხაზს არ გაჰყოლიან და ამის გასამართლებლად რაიმე მიზეზზე არ მიუთითებიათ. აღნიშნულმა გარემოებებმა აჩვენა არა მარტო გამოძიების არაადეკვატურობა, არამედ დამოუკიდებლობის ნაკლებობაც.

კერძო პირების დასადგენად გადადგმული ნაბიჯებიც არ ყოფილა საკმარისი. თავდასხმის სამი იდენტიფიცირებული ნაშედეგიდან მხოლოდ ორი დაიკითხა. მათ უარყვეს თავდასხმაში ყოველგვარი მონაწილეობა, თუმცა არ დაკითხულან თავდასხმის ნაქეზების შესახებ. ამასთან, მართალია, მოწმეებმა ერთხმად უარყვეს, რომ მონაწილეობდნენ ბოშების სახლების დარბევაში, საქმის მასალებიდან არ ჩანდა, რომ მოწმეებს ჰკითხეს, იცნობდნენ თუ არა რომელიმე თავდამსხმელს. ეს განსაკუთრებით გასაოცარი იყო იმის გათვალისწინებით, რომ პოლიციელები თავად ესწრებოდნენ თავდასხმას, პირადად ნახეს თავდასხმა და თავდამსხმელები.

დაბოლოს, მიუხედავად საკმაო მტკიცებულების არსებობისა, რომ თავდასხმა მიმართული იყო ეთნიკური ჯგუფის წევრების მიმართ, აღნიშნული გამოიძიეს, როგორც ჩვეულებრივი არეულობა. გამოძიება არ უნარმოებიათ ბოშების მიმართ მიკერძოებული დამოკიდებულების, როგორც დანაშაულის ჩადენის სავარაუდო მოტივის დასადგენად.

ევროპული სასამართლოს დასკვნები გაკეთდა იმ ფონზე, რომ საერთაშორისო ანგარიშების თანახმად, ქვეყანაში არსებობდა ბოშების წინააღმდეგ სერიოზული მიკერძოება, განსაკუთრებით უკრაინელ სამართალდამცავებს შორის. გემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-3 მუხლის საპროცესო-სამართლებრივი ასპექტის დარღვევა მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა მე-8 მუხლის დარღვევის საკითხი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში. მეორე ჯგუფის განმცხადებლების

მდგომარეობა მე-3 მუხლის მოქმედების ფარგლებში არ ხვდებოდა, თუმცა იგი მე-8 მუხლის მოქმედების ფარგლებში ხვდებოდა. როგორც დადგინდა, ხელისუფლებამ არ შეასრულა პოზიტიური ვალდებულებები, დაეცვა პირველი ჯგუფის განმცხადებლების საცხოვრისი მოძალადე ბრბოს თავდასხმისგან, რის გამოც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი, მე-14 მუხლთან ერთობლიობაში.

იგივე დასკვნა გაკეთდა განმცხადებლების მეორე ჯგუფის მიმართაც. განსხვავება მათ შორის ის იყო, რომ ეს უკანასკნელები სოფელში არ იყვნენ მოვლენათა განვითარების დროს. თავდასხმის შედეგად ისინიც ფაქტობრივად გააძევეს სოფლიდან და თავიანთი კარ-მიდამოდან. მართალია, რაიმე კონკრეტული ღონისძიებით მათ ხელი არ შეშლიათ სოფელში დასაბრუნებლად, მაგრამ არაგონივრული იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ ისინი მუდმივად საცხოვრებლად დაბრუნებულიყვნენ დაზიანებულ სახლებში, იმ ადგილას, სადაც ხელისუფლებამ პირდაპირ უთხრა, რომ მათი მხრიდან დაცვის იმედი არ უნდა ჰქონოდათ, სადაც არანაირი გამოძიება არ უნარმოებიათ და რამდენიმე ასეული ადამიანისგან შემდგარი ბრბოდან ერთი პირიც კი არ მიუციათ პასუხისგებაში მათ საცხოვრებელ ადგილებზე თავდასხმისა და დარბევის გამო. შესაბამისად, ეჭვს გარეშე იყო, რომ განმცხადებლების საცხოვრისისთვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა მძიმე და გამართლებელი ჩარევა განმცხადებლების პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლებაში.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფოს დაეკისრა მორალური ზიანისთვის 11 000 ევროს გადახდა განმცხადებლების პირველი ჯგუფის თითოეული წევრისთვის და 9 000 ევროს გადახდა განმცხადებლების მეორე ჯგუფის თითოეული წევრისთვის.¹⁶²

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა, პირის საცხოვრისის დაცულობის უფლების უზრუნველსაყოფად: დადგინდა დარღვევა¹⁶³

განმცხადებლის კომპანიას მიენიჭა საკუთრების უფლება მისი სახლის გასწვრივ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მიწის ადგილობრივმა კომისიამ არ აღასრულა და ამის ნაცვლად მიწაზე საკუთრება დაუკანონა მესამე პირს, მიწის ნაკვეთის ჩათვლით, რომელზეც განმცხადებლის სახლი იდგა. განმცხადებელმა ექვსჯერ იჩივლა იმის თაობაზე, რომ აღნიშნუ-

¹⁶² იხ. მოლდოვანი და სხვები რუმინეთის წინააღმდეგ (no. 2) (*Moldovan and Others v. Romania*), განაცხადი no. 41138/98, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება, რომლითაც ევროპულმა სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-3, მე-8 და მე-14 მუხლების დარღვევა თანასოფლელების მკვლელობისა და საცხოვრებელი სახლების განადგურებასთან დაკავშირებით ბომბების მიერ აღძრული შიდასახელმწიფოებრივი სამართალწარმოების ხანგრძლივობასა და შედეგზე; მათ საცხოვრებელ პირობებსა და დისკრიმინაციაზე.

¹⁶³ სურიგუ რუმინეთის წინააღმდეგ (*Surugiu c. Roumanie*), განაცხადი no. 48995/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილება.

ლი პირები მის ეზოში, სახლის კარსა და ფანჯრებთან ნაკვლს ყრიდნენ, შეურაცხყოფას აყენებდნენ და ემუქრებოდნენ, ხანდახან, ჯოხებით. განმცხადებელმა იჩივლა, როდესაც მესამე მხარის ოჯახმა მას და მის ოჯახს საკუთარ სახლში შესვლის შესაძლებლობა არ მისცა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა სახელმწიფოს მიერ მე-8 მუხლიდან გამომდინარე პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა, რადგან არ იქნა მიღებული ზომები განმცხადებლის მრავალრიცხოვან საჩივრებზე იმასთან დაკავშირებით, რომ ხალხი მის კარ-მიდამოზე ნაკვლს ყრიდა, ხოლო დავა მიწის დასაბრუნებლად თითქმის ხუთ წელიწად-ნახევარი გაგრძელდა, მიუხედავად იმისა, რომ მას წარდგენილი ჰქონდა საკუთრების დამადასტურებელი საბუთები.

თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ ხელისუფლების უუნარობა, დაეცვათ განმცხადებლის უფლება საცხოვრისის დაცულობაზე, ახსნილი ყოფილიყო იმით, რომ მესამე მხარესაც მიენიჭა მიწაზე საკუთრების უფლება, მას შემდეგაც, რაც მიწაზე მესამე მხარის საკუთრების უფლება ბათილად გამოცხადდა, ხელისუფლებამ ერთი წელი მოანდომა, რათა მიწა განმცხადებელს დაჰბრუნებოდა, ხოლო მესამე მხარეს წელიწად-ნახევრის შემდეგ დაეკისრა ადმინისტრაციული ჯარიმა. სახელმწიფომ არ შეასრულა ვალდებულებები, რომლებიც მას ეკისრებოდა პირის საცხოვრისის დაცულობის უფლების უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების დაცვის უფლების განხილვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს დაეკისრა 4 000 ევროს გადახდა თითოეული განმცხადებლის სასარგებლოდ მორალური ზიანისთვის.

ქვანახშირის მალაროს გაფართოების გამო, სოფლის მცხოვრებლებისთვის სხვა მუნიციპალიტეტში გადაყვანის შეთავაზება: განაცხადი არ იქნა არსებითად განსახილველად მიღებული¹⁶⁴

განმცხადებლები არიან მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები, რომელიც უნდა დაშლილიყო, რათა შესაძლებელი ყოფილიყო ლიგნიტის (მურა ნახშირი) მალაროს გაფართოება. შესაბამისად, სოფლის მცხოვრებთა გადაყვანა მეზობელ მუნიციპალიტეტში იგეგმებოდა. სოფლის მცხოვრებლები – სორბები – მიეკუთვნებოდნენ სლავ უმცირესობას, რომელიც მუნიციპალიტეტის ერთ მესამედს შეადგენდა. 1994 წელს უფლებამოსილმა უწყებამ გასცა ნებართვა არსებული მალაროს გაფართოების შესახებ, რის გამოც მუნიციპალიტე-

¹⁶⁴ ნოაკი და სხვები გერმანიის წინააღმდეგ (*Noack and Others v. Germany*), განაცხადი no. 46346/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 25 მაისის განჩინება.

ტის მცხოვრებლები სხვაგან უნდა გადაესახლებინათ. ეს გადაწყვეტილება განმცხადებლებმა წარუმატებლად გაასაჩივრეს ადმინისტრაციულ სასამართლოში.

მუნიციპალიტეტის დაშლის შესახებ კანონის მიღებამდე ადგილობრივი პარლამენტის გარემოსდაცვითმა კომიტეტმა მოისმინა დაინტერესებულ პირთა ჯგუფების წარმომადგენელთა მოსაზრებები. ადგილობრივი პარლამენტის წევრებმა კანონის კონსტიტუციურობის შესახებ ადგილობრივ საკონსტიტუციო სასამართლოს მიმართეს, რომელსაც განმცხადებლების საკონსტიტუციო სარჩელიც შეუერთდა. ქვემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, საკონსტიტუციო სასამართლომ დარღვევა არ დაადგინა.

საკონსტიტუციო სასამართლოს შეფასებით, მუნიციპალიტეტის დაშლა ქვანახშირის მალაროს მუშაობისთვის ხელის შესაწყობად ადგილობრივი კონსტიტუციის დებულებებს შეესაბამებოდა. სოფლის მცხოვრებლებისთვის გათვალისწინებული იყო კომპენსაცია და სორბების უმცირესობის უფლებები შეფასებული იყო დასაქმების შესაძლებლობებისა და ენერჯის წყაროს განვითარების საპრონონედ. მუნიციპალიტეტის მცხოვრებლებთან გამართული იყო მოლაპარაკებები და მათი აზრი სხვა მუნიციპალიტეტში გადაყვანაზე ხელისუფლებამ მოისმინა. ამის შემდეგ მოლაპარაკებები წარმოებდა გადაყვანაზე ისე, რომ სოფლის მცხოვრებლებს მათ მიერ არჩეულ მუნიციპალიტეტში მიწები აერჩიათ. გადაყვანის ხარჯს მთლიანად ფარავდა კომპანია, რომელიც მალაროს ამუშავებდა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საკანონმდებლო აქტით დაადგინა, რომ მუნიციპალიტეტის ცხოვრება გადაყვანის შედეგად შენარჩუნდებოდა/გაგრძელდებოდა და სორბული კულტურის შენარჩუნებას და განვითარებას ხელი შეეწყობოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის მე-8 მუხლი ზოგადად არ ითვალისწინებს კონკრეტულ უფლებებს უმცირესობებისთვის. უფლებები და პრივილეგიები უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყოველგვარი განსხვავების გარეშე, მათ შორის, ეროვნული უმცირესობისთვის კუთვნილების ნიშნის მიუხედავად, თუმცა მე-8 მუხლს შეუძლია, მოიცვას უმცირესობის ცხოვრების წესი იმ თვალსაზრისით, რომ იგი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრისის დაცულობის უფლებას. შესაბამისად, მართალია, მე-8 მუხლი არ იცავს უმცირესობათა უფლებებს, მაგრამ ერთი მუნიციპალიტეტიდან მეორე მუნიციპალიტეტში მოსახლეობის გადაყვანა პირდაპირ ახდენს გავლენას მათ პირად ცხოვრებასა და საცხოვრისზე. შესაბამისად, ადგილობრივი ხელისუფლება საკანონმდებლო აქტების მიღებით ჩაერია ეროვნული უმცირესობის მე-8 მუხლით დაცულ უფლებებში. ჩარევა მოხდა კანონის საფუძველზე, მიზნად ისახავდა ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს.

რაც შეეხება ჩარევის აუცილებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო სახელმწიფოს მიხედულების ფართო ფარგლები მინით სარგებლობის სფეროში. სასამართლოს შესაფასებელი იყო ის გარემოებები,

რომლებიც ხელისუფლებამ საფუძვლად დაუდო განმცხადებლების უფლებებში ჩარევას, იყო თუ არა ეს გარემოებები რელევანტური და თანაბარზომიერი დასახული მიზნის მისაღწევად იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტიდან გადაყვანა უმცირესობას ეხებოდა.

პროცესი, რომელიც საბოლოოდ დამთავრდა მაღაროს გაფართოების გადაწყვეტილების მიღებით, რამდენიმე წელი გაგრძელდა და ადგილობრივ პარლამენტში და საზოგადოებაში ფართომასშტაბიანი დისკუსიის საგანი იყო. ევროპული სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი იყო ის გარემოება, რომ ადგილობრივი პარლამენტის გარემოსდაცვითმა კომიტეტმა მოსახლეობის წარმომადგენელთა მოსაზრებები მოისმინა. ამასთან, განმცხადებლებს შეეძლოთ და გაასაჩივრეს კიდევ სადავო აქტი საკონსტიტუციო სასამართლოში. საკონსტიტუციო სასამართლომ ყურადღებით განიხილა უმცირესობის უფლებების დაცვის საკითხი სადავო აქტით დასახული მიზნების საპირწონედ და ამ უკანასკნელის თანაბარზომიერება შეაფასა.

გადამწყვეტი ფაქტორი იყო ის გარემოება, რომ მოსახლეობა გადავიდოდა დაახლოებით 20 კილომეტრით დაშორებულ სხვა მუნიციპალიტეტში. ამასთან, მიღებულ იქნა მთელი რიგი ზომები, რათა შენარჩუნებულიყო სოფლის თემი და კულტურული იდენტობა. შედეგად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფოსთვის მინიჭებული მიხედულების ფართო ფარგლებისა და გატარებული ღონისძიებების გათვალისწინებით, ჩარევა არ იყო არათანაბარზომიერი დასახულ ლეგიტიმურ მიზანთან მიმართებით. ამ ნაწილში განაცხადი აშკარად დაუსაბუთებელი იყო.

მოცემულ კონტექსტში შეიძლება, რელევანტური იყოს კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით დაცული საკუთრების უფლება. კერძოდ, კომპენსაციასთან დაკავშირებით. თუმცა ამ ნაწილში განმცხადებლებს შიდასახელმწიფოებრივი ღონისძიებები არ ჰქონდათ ამოწურული. შესაბამისად, ამ ნაწილშიც განაცხადი არსებითად განსახილველად არ იქნა მიღებული.

პოლიტიკა, რომელიც ქალაქის ცენტრში დასახლების მსურველთათვის ბინადრობის ხანგრძლივობისა და შემოსავლის პირობების დაკმაყოფილებას მოითხოვდა: არ დადგინდა დარღვევა¹⁶⁵

ახალი კანონმდებლობით, როტერდამის გარკვეულ რაიონებში დასახლების მსურველებს უნდა დაეკმაყოფილებინათ ორი მოთხოვნა – გარკვეული პერიოდის განმავლობაში მოცემულ რაიონში ცხოვრება და შემოსავლის წყაროს პირობები, რაც განმცხადებელმა ვერ დააკმაყოფილა. განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიმართა კონვენციის მე-4 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის პირველი პუნ-

165 გარბი ნიდერლანდების წინააღმდეგ (*Garib v. the Netherlands*), განაცხადი no. 43494/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2017 წლის 6 ნოემბრის გადაწყვეტილება.

ქტით გარანტირებული საცხოვრებელი ადგილის არჩევის თავისუფლების სავარაუდო დარღვევის თაობაზე.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის განმარტებით, ისეთ კომპლექსურ და რთულ სფეროში, როგორცაა დიდი ქალაქების განვითარება, სახელმწიფოს მიხედულების ფართო ფარგლები აქვს, ქალაქების დაგეგმარების იმპლემენტაციის თვალსაზრისით. ეს მიხედულების ფარგლები ვრცელდება როგორც აღნიშნულ სფეროში ჩარევაზე, ისე კონფლიქტურ ინტერესებს შორის წონასწორობის დამყარებაზე.

სახელმწიფოს განმარტებით, შეზღუდვის ღონისძიება გამოწვეული იყო შემდეგი გარემოებებით: როტერდამის გარკვეულ რაიონებში სიღარიბის ღონის გაზრდის გამო, სოციალური პრობლემებიც გაზრდილი იყო და რაიონები სოციალური იზოლაციის მიჭნაზე იმყოფებოდა. შეძლებული ოჯახები (და შესაბამისად, ბიზნესი) ამ რაიონებს ტოვებდნენ, ხოლო დასახლების ახალი მსურველები, ძირითადად, სოციალურად დაუცველი პირები იყვნენ. სახელმწიფოს მიერ შემოღებული შეზღუდვა ბინადრობის ცენზსა და შემოსავლის წყაროს პირობებთან დაკავშირებით ასეთ რაიონებში მრავალფეროვნების შენარჩუნებას ემსახურებოდა.

ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ ყურადღება გაამახვილა საკანონმდებლო აქტის მიღების ისტორიაზე. საკანონმდებლო წინადადებები განიხილა სახელმწიფო საბჭომ, რომლის შენიშვნებიც გაითვალისწინა მთავრობამ. შესაბამისი მინისტრი ვალდებული იყო, პარლამენტისთვის ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მოეხსენებინა კანონის ემედიტობისა და მისი პრაქტიკული შედეგების შესახებ. სახელმწიფომ აღიარა ის, რომ ინდივიდებს უჭირდათ შესაბამისი ბინის გამოძებნა და მათთვის გარკვეული უფლებები გაითვალისწინა.

კანონი ითვალისწინებდა გადახვევას მოცემულ რაიონში ბინადრობის ცენზთან დაკავშირებით, როდესაც ამ მოთხოვნის მკაცრი გამოყენება გადამეტებულ სიმძიმეს აკისრებდა ინდივიდს ან ოჯახს. კანონი მოიცავდა საპროცესო გარანტიებს ადმინისტრაციული და სასამართლო ორგანოების წინაშე სამართალწარმოებაში, რომლებიც კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს აკმაყოფილებდა.

რაც შეეხება ინდივიდუალურ გარემოებებს, უდავო იყო, რომ განმცხადებელი დადებითად ხასიათდებოდა და საჭარო წესრიგს საფრთხეს არ უქმნიდა, თუმცა მხოლოდ მისი ქცევა მოცემულ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობის არ იყო. მხოლოდ ის გარემოება, რომ კანონი არ ითვალისწინებდა გამოწვევის იმ პირობისთვის, რომლებიც უკვე ცხოვრობდნენ მოცემულ რაიონში, როგორც ეს განმცხადებლის შემთხვევაში იყო, თავისთავად პრობლემური არ იყო.

განმცხადებელი ცხოვრობდა სახელმწიფოს მიერ მისთვის დათმობილ სოციალურ საცხოვრისში. მან ვერ დაადასტურა ეროვნული სასამართლოების წინაშე, თუ რატომ იყო მისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის აღნიშნულ რაიონში ცხოვრება. შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ განაცხადა, რომ არ ჰქონდა საკმარისი ინფორმაცია, დაესკვნა, რომ მოცემულ რაიონში საცხოვრებელი ადგილის არჩევაზე უარის თქმამ განმცხადებლისთვის ისეთი არათანაბარზომიერი პრობლემები გამოიწვია, რომელიც გადაწონიდა საერთო ინტერესებს, რასაც შემოღებული ღონისძიება ემსახურებოდა. ამასთან, განმცხადებელს არ გამოუთქვამს პრეტენზია სახელმწიფოს მიერ გადაცემული სოციალური საცხოვრისის შესახებ, რომ იგი ვერ აკმაყოფილებდა მისი და მისი ოჯახის საჭიროებებს ან რაიმეთი ჩამოუვარდებოდა იმ საცხოვრისს, რომლის მიღებასაც სასურველ რაიონში იმედოვნებდა. დაუკონკრეტებელი პირადი არჩევანი, რომელიც განმცხადებელმა ვერანაირად ვერ დაასაბუთა, ვერ დაძლედა ხელისუფლების მიერ შემოღებულ პოლიტიკას სოციალურ სფეროში. შესაბამისად, კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის დარღვევა არ დადგინდა.

საბინაო რეფორმისა და საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად ქირავნობის თანხა გაიზარდა და შემცირდა მოქირავნეთა გარანტიები: არ დადგინდა დარღვევა¹⁶⁶

ყოფილ იუგოსლავიაში მოქმედი სოციალისტური სისტემის თანახმად, მოქირავნეებს, რომლებიც განმცხადებლების მსგავსად, სპეციალური ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად, სოციალურ საცხოვრისებში ცხოვრობდნენ, შეეძლოთ, როგორც წესი, განუსაზღვრელი ვადით ქონების ფლობა და სარგებლობა, აგრეთვე, მისი მემკვიდრეობით გადაეცემა. ამ ტიპის მოქირავნეები მეტი დაცულობით სარგებლობდნენ, ვიდრე წმინდად სახელშეკრულებო ურთიერთობების მონაწილეები.

სლოვენის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა საბაზრო ეკონომიკაზე გადავიდა და საბინაო სექტორში ორი ძირითადი რეფორმა გატარდა. 1991 წლის დენაციონალიზაციის კანონის საფუძველზე გატარებული რეფორმების შედეგად პირვანდელ მესაკუთრეებს (მათ მემკვიდრეებს) მიეცათ სახელმწიფოს მიერ ფაქტობრივად ჩამორთმეული ქონების რესტიტუციის უფლება. ამაში იგულისხმებოდა, აგრეთვე, სპეციალური ქირავნობის ხელშეკრულების თანახმად მოქირავნეებისთვის გადაცემული საცხოვრისის რესტიტუცია. კანონმა სპეციალური ქირავნობა ჩაანაცვლა ჩვეულებრივი ქირავნობის ხელშეკრულებით. სპეციალური ქირავნობის ხელშეკრულების მფლობელებს მიეცათ შესაძლებლობა, რომ ახალი მესაკუთრეებისგან ექირავათ საცხოვრისი განუსაზღვრელი ვადით, მაგრამ ნაკლებად ხელსაყრელი პირობებით, კერძოდ, ქირის ოდენობასა და ოჯახის წევრებისთვის მემკვიდრეობით ქირავნობის უფლებების გადაცემასთან დაკავშირებით.

166 ბერგერ კრალი და სხვები სლოვენის წინააღმდეგ (*Berger-Krall and Others v. Slovenia*) განაცხადი no. 14717/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.

კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ და მე-8 მუხლებზე დაყრდნობით, ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებლები ჩიოდნენ, *inter alia*, რომ მათ წაერთვათ სპეციალური ქირავნობის უფლება, სათანადო კომპენსაციის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჭიროდ არ მიიჩნია, განეხილა მოქირავნის უფლება, იცხოვროს უძრავ ქონებაში, შეადგენს თუ არა „საკუთრებას“ პირველი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით, რადგან, თუნდაც ეს დებულება შემხებლობაში ყოფილიყო მოცემულ შემთხვევასთან, მისი მოთხოვნების დარღვევა არ აღინიშნებოდა, რადგან საზოგადოების საერთო ინტერესებსა და ინდივიდის ფუძემდებლურ უფლებებს შორის სამართლიანი ბალანსი არსებობდა.

მართალია, საბინაო რეფორმის შედეგად განმცხადებლების გარანტიები მნიშვნელოვნად შემცირდა (მაგალითად, უწევდათ გაზრდილი ქირის გადახდა, შეიზღუდა ქირავნობის უფლების ოჯახის წევრებზე გადაცემის უფლება), ეს გარდაუვალი შედეგები იყო, რაც თან სდევდა კანონმდებლის გადაწყვეტილებას, ადრინდელი მესაკუთრეებისთვის მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩამორთმეული ქონების *in natura* რესტიტუციის შესაძლებლობა მიეცა. ადრინდელი მესაკუთრისთვის უფლებების უზრუნველყოფას არ შეიძლება შედეგად არ მოჰყოლოდა საცხოვრისის მოქირავნის უფლებების შესაბამისი შეზღუდვა. ამასთან, გარკვეული ვალდებულებები, რომლებიც მოქირავნებს ახალი ხელშეკრულებებით დაეკისრათ (არ დაემიანებინათ ქონება, არ შეენუხებინათ სხვა მცხოვრებლები, არ გაექირავებინათ სხვაზე ქონება) არსებითად ემსგავსებოდა ქირავნობის ხელშეკრულებით დაკისრებულ ჩვეულებრივ ვალდებულებებს.

ამას გარდა, განმცხადებლებს იმაზე მეტი გარანტიები ჰქონდათ მინიჭებული, ვიდრე ჩვეულებრივ, მოქირავნებს აქვთ. ხელშეკრულებები დადებული იყო განუსაზღვრელი ვადით, ქირავნობის უფლება შეიძლებოდა გადასცემოდა მეუღლესა თუ ხანგრძლივადიან პარტნიორს და ქირის ოდენობა გაცილებით დაბალი იყო საბაზრო ფასებთან შედარებით, საბინაო რეფორმიდან 22 წელზე მეტი ხნის შემდეგ. ეს მიუთითებდა იმაზე, რომ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა გონივრული და პროგრესული გზით განხორციელდა. ამასთან, არცერთ განმცხადებელს არ უჩვენებია, რომ ქირის ოდენობა მის შემოსავალთან შედარებით გადამეტებული იყო.

ამრიგად, განსაკუთრებულად რთულ და სოციალურად სენსიტიურ საკითხებს შორის წონასწორობის დამყარებისას, რაც ადრინდელი მესაკუთრეებისა და მოქირავნების კონფლიქტური ინტერესების მოგვარებას უკავშირდებოდა, ხელისუფლებამ უზრუნველყო, საბინაო რეფორმასთან დაკავშირებული სოციალური და ფინანსური ტვირთი ისე გადაენაწილებინა, რომ მინიჭებული მიხედულების ფარგლები არ დაერღვია. პირველი ოქმის პირველი მუხლი არ დარღვეულა.

ევროპულმა სასამართლომ იმავე მსჯელობის საფუძველზე, რომელზე დაყრდნობითაც პირველი ოქმის პირველი მუხლის დაურღვევლობა დაადგინა, დაასკვნა, რომ განმცხადებლებს არც მე-8 მუხლით გათვალისწინებული უფლებები დარღვევიათ. არცერთ განმცხადებელს არ წარუდგენია მტკიცებულება, რომ არ შეეძლო ქირის გადახდა. ამასთან, ყველა შემთხვევაში, სოციალურად და ფინანსურად მოწყვლადი მოქირავნებისთვის გათვალისწინებული იყო სახელმწიფო დახმარება.

რაც შეეხება გამოსახლების საფუძვლებს, რომლებიც 1991 წლის საბინაო აქტით იყო გათვალისწინებული, ისინი არსებითად ემსგავსებოდა ევროპის საბჭოს სხვა ქვეყნების კანონმდებლობით რეგულირებული ქირავნობის ხელშეკრულებების შესატყვის დებულებებს და, როგორც ასეთი, არ შეიძლებოდა, კონვენციის მე-8 მუხლთან შეუსაბამოდ მიჩნეულიყო. ადრინდელი მესაკუთრებისთვის 2003 წლის საბინაო კანონის თანახმად, ორი დამატებითი მუხლი იყო გათვალისწინებული – მოქირავნის სხვა, შესატყვის საცხოვრისში გადაყვანა ან იმ მოქირავნის გამოსახლება, რომელსაც სხვა შესატყვისი საცხოვრისი ჰქონდა. აღნიშნული გამართლებული იყო იმ სპეციალური დაცვიდან გამომდინარე, რაც განმცხადებლების მსგავს მდგომარეობაში მყოფი პირებისთვის იყო უზრუნველყოფილი. აგრეთვე, ეს შეესატყვისებოდა ადრინდელ მესაკუთრებებზე დაკისრებულ შეზღუდვებს, რომლებსაც იძულებით და განუსაზღვრელი ვადით, ამასთან, დაბალ ფასად ჰქონდათ დადებული ქირავნობის ხელშეკრულება მოქირავნებთან, რომლებიც მათ არ აურჩევიათ.

განმცხადებლებისთვის მინიჭებულ საპროცესო გარანტიებთან დაკავშირებით, უდავო იყო, რომ მათ შეეძლოთ გამოსახლების ადგილობრივ სასამართლოში გასაჩივრება, რომელსაც ყველა შესატყვისი სამართლებრივი თუ ფაქტობრივი გარემოების განხილვის უფლებამოსილება ჰქონდა. ევროპულმა სასამართლომ, შესაბამისად, დაასკვნა, რომ განმცხადებლების საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევა თანაბარზომიერი იყო და მე-8 მუხლი არ დარღვეულა.

ევროპულმა სასამართლომ, აგრეთვე, დაადგინა კონვენციის მე-14 მუხლის დაურღვევლობა პირველი ოქმის პირველ მუხლთან ერთობლიობაში, თუმცა საყურადღებოა კომპარატორის საკითხი, მოცემულ შემთხვევაში.

განმცხადებლები ევროპული სასამართლოს წინაშე ამტკიცებდნენ, რომ ისინი დაექვემდებარნენ დისკრიმინაციულ მოპყრობას სპეციალური ქირავნობის უფლებით სარგებლობისას. კერძოდ, საქმე ეხებოდა ყოფილ იუგოსლავიაში სპეციალური ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე საცხოვრებელი სადგომით განუსაზღვრელი ვადით მოსარგებლე პირთა უფლებრივი მდგომარეობის შეცვლას სლოვენის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შედეგად.

ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განმცხადებლები თავიანთ მდგომარეობას ადარებდნენ ორი კატეგორიის პირთა მდგომარეობას: დაცული მოქირავნეების, რომლებიც სპეციალური ქირავნობის უფლებით განუსაზღვრელი ვადით იკავებდნენ საცხოვრებელ სადგომს, რომელიც დენაციონალიზაციასა და რესტიტუციას არ ექვემდებარებოდა და ჩამორთმეული ქონების კეთილსინდისიერი მყიდველების.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ დაეთანხმა განმცხადებლებს, რომ ისინი არსებითად მსგავს მდგომარეობაში იყვნენ კეთილსინდისიერ მყიდველებთან, ვინაიდან დაცული ქირავნობის უფლების მქონე პირის მდგომარეობა არ შეიძლებოდა გათანაბრებოდა იმ პირის უფლებრივ მდგომარეობას, რომელმაც საცხოვრებელი სადგომი შეისყიდა და მასზე საკუთრების უფლება მოიპოვა.

სასამართლო მიიჩნია, რომ განმცხადებლები საცხოვრებელ სადგომში (რომელიც დენაციონალიზაციასა და რესტიტუციას არ ექვემდებარებოდა) დაცული ქირავნობის უფლებით მცხოვრები პირების ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ორივე კატეგორიის პირებს სოციალისტურმა ხელისუფლებამ მიანიჭა დაცული ქირავნობის უფლებები და მათ საცხოვრებელ სადგომებთან მიმართებით ანალოგიური უფლებრივი სტატუსი ჰქონდათ, თუმცა მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აშენებული საცხოვრებელი სადგომების დაცულ მოქირავნეებს მიეცათ აღსრულებადი უფლება, შეესყიდათ სადგომი მნიშვნელოვნად სახარბიელო პირობებში. კერძოდ, მათ უნდა გადაეხადათ ქონების საბაზრო ღირებულების დაახლოებით 5-10 პროცენტი, ხოლო განმცხადებლების საცხოვრებელი სადგომები მანამდე ექსპროპრირებული ბინები იყო და განმცხადებლებს შეეძლოთ მათი შესყიდვა 30-60-პროცენტიანი ფასდაკლებით, თუ ქონების რესტიტუციიდან ერთი წლის შემდეგ „ადრინდელი მეპატრონე“ თანახმა იქნებოდა მის გაყიდვაზე. სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა განსხვავებული მოპყრობა ორი ჯგუფის პირებს შორის – დენაციონალიზებული საცხოვრებელი სადგომების დაცულ მოქირავნეებსა და სხვა საცხოვრებელი სადგომების დაცულ მოქირავნეებს შორის. ეს ორი ჯგუფი მსგავს მდგომარეობაში იყო მათ მიერ დაკავებულ საცხოვრებელ სადგომებზე ქირავნობის უფლების მიხედვით.¹⁶⁷

სოციალური საცხოვრისის უფლების მინიჭების პროცესში პრიორიტეტის განსაზღვრისას, უარი, რომ მხედველობაში მივლეთ საიმპერაციო კონტროლს დაქვემდებარებული მცირეწლოვანი: არ დადგინდა დარღვევა¹⁶⁸

განმცხადებელი იყო სიერა-ლენონელი მოქალაქე, რომელსაც მიენიჭა გაერთიანებულ სამეფოში განუსაზღვრელი ვადით დარჩენის უფლება. მის მცირეწლოვან შვილს შემდგომში უფლება მიეცა, რომ დედას შეერთებოდა იმ პირობით, თუ სახელმწიფოსგან დახ-

167 იხ. აგრეთვე სტრუნიაკი და სხვები ხორვატიის წინააღმდეგ (*Strunjak and Others v. Croatia*), განაცხადი no. 46934/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2000 წლის 5 ოქტომბრის განჩინება.

168 ბაჰი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Bah v. the United Kingdom*), განაცხადი no. 56328/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მარება არ ექნებოდა. ცოტა ხნის შემდეგ, რაც ბავშვი გაერთიანებულ სამეფოში დედას შეუერთდა, განმცხადებელმა ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა თხოვნით, რომ მოეძებნა მისთვის ბინა, რადგან ბინის კერძო მესაკუთრემ, სადაც ისინი ცხოვრობდნენ, გამოუცხადა, რომ არ სურდა, მცირეწლოვან ბავშვს ეცხოვრა მის ბინაში. ადგილობრივი ხელისუფლება დაჰპირდა დახმარებას, მაგრამ, ვინაიდან ბავშვი საიმიგრაციო კონტროლს ექვემდებარებოდა, უარი თქვა, მიენიჭებინა პრიორიტეტი განმცხადებლისთვის, რაზეც მას სხვა შემთხვევაში უფლება ექნებოდა, როგორც უსახლკაროს მცირეწლოვანი ბავშვით.

ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით, გამოიძებნა კერძო სექტორში ბინა მოცემული რაიონის გარეთ და დაახლოებით 17 თვის შემდეგ იგი უზრუნველყოფილი იქნა რაიონში სოციალური საცხოვრისით. დროის არცერთ მონაკვეთში განმცხადებელი და მისი შვილი ჭერის გარეშე არ დარჩენილან. განმცხადებელმა იჩივლა სტრასბურგის სასამართლოში, რომ მისთვის პრიორიტეტის მიუნიჭებლობა დისკრიმინაციული იყო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მოცემულ შემთხვევაში გაავრცელა კონვენციის მე-8 მუხლი მე-14 მუხლთან ერთობლიობაში, რადგან ეროვნული კანონმდებლობის ძალით, ჩარევა მოხდა განმცხადებლისა და მისი შვილის ოჯახური ცხოვრებისა და საცხოვრისის დაცულობის უფლებაში, რადგანაც იქონია ზეგავლენა მათთვის საცხოვრისის პოვნაში დახმარების აღმოჩენაზე, როდესაც მათ უსახლკარობა დაემუქრათ.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა, რომ განმცხადებლის ვაჟს ნება დაერთო გაერთიანებულ სამეფოში შესვლაზე იმ პირობით, რომ ის სახელმწიფოსგან დახმარებას ვერ მიიღებდა. შესაბამისად, საბინაო კანონმდებლობის საფუძველზე განმცხადებლის მიმართ განსხვავებული მოპყრობა მისი ვაჟის პირობითი საიმიგრაციო სტატუსის და არა მისი ეროვნული კუთვნილების შედეგი იყო. იმის გამო, რომ საიმიგრაციო სტატუსი კანონით იყო მინიჭებული და არა პირისგან განუყოფელი, არ უშლიდა ხელს იმას, რომ საიმიგრაციო სტატუსი განხილული ყოფილიყო „სხვა სტატუსად“ მე-14 მუხლის მიზნებისთვის.

თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ საიმიგრაციო სტატუსს არჩევანის ელემენტი ახასიათებს (ადამიანი თავად ირჩევს მიგრაციაზე გადაწყვეტილებას), გამართლება, რომელიც მოითხოვება ამ საფუძველზე დამყარებული განსხვავებული მოპყრობისას, შეიძლება, ისეთი წონადი არ იყოს, როგორც ადამიანისგან განუყოფლად მახასიათებელ ნიშნებზე (სქესი, რასა და მისთ.) დაფუძნებული განსხვავებული მოპყრობის შემთხვევაში. ამასთან, ვინაიდან საქმის ფაქტობრივი გარემოებები – მოწყვლადი პირის საცხოვრისით უზრუნველყოფა, ძირითადად, სოციალურ-ეკონომიკური ხასიათისაა, სახელმწიფოსთვის მინიჭებული მიხედულების ფარგლები შედარებით ფართოა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, ლეგიტიმური იყო სოციალური საცხოვრისის მსგავსი შეზღუდული რესურსების განაწილებისას გარკვეული კრიტერიუმების შემოღება იმ პირობით, რომ ეს კრიტერიუმები თვითნებური ან დისკრიმინაციული არ უნდა ყოფილიყო. სასამართლოს შეფასებით, თვითნებობას არ წარმოადგენდა ის, რომ განმცხადებლის საჭიროება პრიორიტეტად არ შეფასდა. გაერთიანებულ სამეფოში შვილის შეყვანისას განმცხადებელი სრულად აცნობიერებდა, თუ რა პირობით დაერთო ნება, შვილი თან ჰყოლოდა – მას არ შეეძლო, ბავშვის რჩენასთან დაკავშირებით მოეთხოვა სახელმწიფოს დახმარება. გამართლებული იყო განსხვავებული მოპყრობა იმ პირობის მიმართ, რომლებიც სახელმწიფოში იმყოფებოდნენ იმ პირობით, რომ სახელმწიფოსგან დახმარების იმედი არ უნდა ჰქონოდათ და იმ პირებს შორის, რომლებსაც აღნიშნული სტატუსი არ გააჩნდათ. კანონმდებლობა ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა სხვადასხვა კატეგორიის პირებს შორის მწირი რესურსების სამართლიან განაწილებას.

სასამართლოს ყურადღების მიღმა არ დაუტოვებია ის გარემოება, თუ როგორ უნდა განეცადა განმცხადებელს მცირეწლოვან ბავშვთან ერთად უსახლკაროდ დარჩენის საფრთხე, თუმცა გაითვალისწინა, რომ განმცხადებელი და მისი შვილი დროის არცერთ მონაკვეთში არ ყოფილან ჭერის გარეშე. ამასთან, ხელისუფლებას ეკისრებოდა სხვა საკანონმდებლო ვალდებულებები, რომ მათთვის დახმარება გაენია, დედა-შვილი ფაქტობრივად ღია ცისქვეშ რომ დარჩენილიყო. ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის დახმარება, რაც ხელისუფლებამ აღმოუჩინა განმცხადებელს და მის შვილს კერძო სექტორში ბინის გამოძებნისას რაიონს გარეთ (ვინაიდან მოცემულ რაიონში ხელმისაწვდომი ბინების ნაკლებობა იყო) და 17 თვეში რაიონში სოციალური საცხოვრისი მისცა.

გემოაღნიშნული გარემოებების საფუძველზე, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლის მიმართ განსხვავებულ მოპყრობას გონივრული და ობიექტური გამართლება ჰქონდა და ევროპულმა სასამართლომ მე-8 მუხლის და მე-14 მუხლის დარღვევა არ დაადგინა.

იძულებით გადაადგილებული პირის გამოსახლება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საცხოვრისიდან ათი წლის განმავლობაში უწყვეტი მართლზომიერი ფლობის შემდეგ: დადგინდა დარღვევა¹⁶⁹

განმცხადებლები იყვნენ იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან, რომლებიც 1992-93 წლების შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად იძულებულნი იყვნენ, იქ თავიანთი სახლები და ქონება მიეტოვებინათ. 1994 წელს პირველ განმცხადებელს, აფხაზეთის შსს-ს მაღალი თანამდებობის პირს, შესთავაზეს საქართველოს შსს-ში საგამო-

169 სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ (*Saghinadze and Others v. Georgia*), განაცხადი no. 18768/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

ძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი. ის და მისი ოჯახი დასახლდნენ სამინისტროს ბალანსზე არსებულ კოტეჯში. განმცხადებელი თავის ოჯახსა და 8 უსახლკარო ნათესავთან ერთად ცხოვრობდა კოტეჯში და თან იყენებდნენ იქვე არსებულ მიწის ნაკვეთს, რომელზეც ბოსტნეული და ხილი მოჰყავდათ, ჰყავდათ ქათმები და წვრილფეხა საქონელი.

1998 წელს პირველი განმცხადებელი პენსიაზე გავიდა. სამინისტრომ მას და შესაბამის ადგილობრივ უწყებას გაუგზავნა წერილი, რომლის თანახმადაც, ის ლეგიტიმურად ფლობდა კოტეჯსა და მახლობელ ტერიტორიას, მაგრამ მისი მფლობელობა დროებითი და განუსაზღვრელი ვადით იყო. ვარდების რევოლუციის შემდგომ პირველ განმცხადებელს პენსიიდან სამსახურში დაბრუნება მოუწია და მას გახმაურებული საქმის გამოძიება ჩააბარეს. განმცხადებლის თქმით, გამოძიების შედეგები გარკვეული მაღალი თანამდებობის პირებისთვის უხერხული აღმოჩნდა და მაშინდელმა გენერალურმა პროკურორმა მოსთხოვა, რომ გამოძიება შეენწყვიტა.

2004 წელს აღნიშნული გენერალური პროკურორი შს მინისტრად დაინიშნა და მისი შევინროება დაიწყო. 2004 წელს ბალაკლავას ნიღბებიანი შეიარაღებული სპეცდანიშნულების რაზმის 60-მდე თანამშრომელი ყოველგვარი სამართლებრივი დოკუმენტაციის გარეშე განმცხადებლის კოტეჯში შეიჭრა და მისი ოჯახის წევრები და ნათესავები გარეთ გამოყარა. გამოსახლების შემდეგ პოლიციელები კოტეჯში, მის მიმდებარე მიწის ნაკვეთზე გამაგრდნენ. განმცხადებელმა წარუმატებლად იჩივლა სასამართლოში. გარკვეული ხნის შემდეგ განმცხადებელს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის გამო შვიდი წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შეფასებით, განმცხადებელს თვითნებურად არ ჰქონდა კოტეჯი დაკავებული. შესაძლოა, მას უფრო შესაფერისი წესით უნდა გადასცემოდა კოტეჯი მფლობელობაში, მაგრამ იმ პერიოდში დევნილების რაოდენობიდან გამომდინარე, ხელისუფლებას გონივრულად ვერ მოეთხოვებოდა, რომ თითოეული საბინაო პრობლემა დეტალურად გაეკონტროლებინა. და, რაც მთავარია, ხელისუფლებას პრეტენზია არ განუცხადებია განმცხადებლის მიერ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში კოტეჯის განუწყვეტლად და ღიად ფლობის თაობაზე, რის გამოც განმცხადებელი კეთილსინდისიერი მფლობელი იყო, იმის მიუხედავად, რომ მისი უფლება ქონებაზე არ იყო რეგისტრირებული.

ამასთან, სახელმწიფომ სხვადასხვა აქტის გამოცემით დაადასტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საბინაო სექტორში და მათი დაცვის მყარი გარანტიები გაითვალისწინა. შესაბამისად, იძულებით გადაადგილებული პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართიდან გამოძევება მისი ნების წინააღმდეგ დაუშვებელი იყო მსგავსი საცხოვრისის ან სათანადო ფულადი კომპენსაციის გარეშე. შესაბამის-

სად, კოტეჯი და მიმდებარე ნაკვეთი განმცხადებლის „ქონებად“ მიიჩნეოდა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით.

უდავო იყო ის გარემოება, რომ განმცხადებლის საკუთრების დაცვის უფლებაში ჩარევას ჰქონდა ადგილი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ კოტეჯის განმცხადებლისგან გამოთხოვის ერთადერთი გზა იქნებოდა სამართლიანი სასამართლოს მეშვეობით. ამის ნაცვლად გამოძევება და მფლობელობის შეწყვეტა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, მინისტრის ზეპირი ბრძანების საფუძველზე მოხდა შემდგომ სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელიც განმცხადებელმა დაიწყო, სასამართლოებმა არ აღიარეს, რომ განმცხადებელი კოტეჯის მართლზომიერი მფლობელი იყო ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და რომ მისი გამოსახლება და მფლობელობის შეწყვეტა უკანონოდ განხორციელდა. ამასთან, სასამართლოებმა არ უზრუნველყვეს განმცხადებელი იძულებით გადაადგილებული პირებისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიებით. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ საქმე გადაწყვიტა თავისი ადრინდელი პრაქტიკის საწინააღმდეგოდ, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოს აუკრძალა სახელმწიფოს საკუთრებასა და იძულებით გადაადგილებული პირის მფლობელობაში არსებული საცხოვრისის დაბრუნება. შესაბამისად, განმცხადებლის უფლებაში, შეუფერხებლად განხორციელებინა ქონების ფლობა და საკუთრება, ჩარევა იყო არამართლზომიერი, ხოლო სასამართლო კონტროლი თვითნებური და მართლმსაჯულებაზე უარის თქმა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ, აგრეთვე, იმსჯელა განმცხადებლის საცხოვრისის დაცულობის უფლებაზე, რომლითაც იგი სარგებლობდა ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში და რომელში ჩარევაც კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად შეფასდა.

ადგილობრივი ხელისუფლების მიერ ბოშა ოჯახის გასახლება: დადგინდა დარღვევა¹⁷⁰

განმცხადებელი და მისი ოჯახი ბოშები არიან და 1998 წელს მიეცათ ნებართვა, დაეკავებინათ ადგილი ბოშების ტრაილერების ბანაკში, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლება მართავდა. ერთი წლის გარდა, როდესაც მათ სახლი დაიქირავეს, ისინი აღნიშნულ ადგილას ცხოვრობდნენ 13 წლის განმავლობაში. ნებართვის ერთ-ერთი პირობა იყო, ადგილის მფლობელს, მისი ოჯახის წევრებსა და სტუმრებს საზოგადოებრივი წესრიგი არ დაერღვიათ.

ერთი წლის შემდეგ განმცხადებლის ზრდასრულ ქალიშვილს ასევე მიეცა უფლება, დაეკავებინა მომიჯნავე ადგილი იმავე ბანაკში. ადგილობრივმა ხელისუფლებამ იჩივლა,

¹⁷⁰ კონორსი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Connors v. the United Kingdom*), განაცხადი no. 66746/01, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2004 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება.

რომ განმცხადებლის შვილები და მათი სტუმრები უნესრიგოდ იქცეოდნენ და გააფრთხილეს ადგილის დაკარგვის შესახებ. 2000 წელს ოჯახს მიეცა შეტყობინება, რომ დაეცალათ ორივე ადგილი. დეტალური მიზეზები არ იყო მითითებული. 2000 წლის მარტში ადგილობრივმა ხელისუფლებამ გამარტივებული სამართალწარმოების ორი პროცესი დაიწყო. ისინი ეყრდნობოდნენ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც, ბოშათა მიერ ადგილის დაკავების სახელშეკრულებო უფლებები შეიძლება 4 კვირით ადრე მიცემული შეტყობინებით გადაწყვეტილიყო. განმცხადებლის საჩივარი არ იქნა მიღებული. 2000 წლის ივნისში სასამართლომ გასცა მფლობელობის ორდერი. ვინაიდან ოჯახს სასამართლოს ორდერში მითითებულ დროს ადგილები დაცლილი არ ჰქონდათ, აგვისტოში ადგილობრივმა ხელისუფლებამ დაიწყო მათი იძულებით გამოსახლება.

განმცხადებელი და მისი ვაჟი გამოსახლებისას განეული წინააღმდეგობისთვის დააკავეს. ოჯახმა მომიჯნავე ტერიტორიაზე დაიკავა ადგილი, რომელსაც ასევე ადგილობრივი ხელისუფლება მართავდა და სადაც ბოშების ყოფნას, ასე თუ ისე, იტანდნენ.

მოცემულ ადგილას ბოშათა სხვა ჯგუფის გამოსახლების ახალი პროცესი დაიწყო, რომელსაც განმცხადებელი ბოშებიც მიაყოლეს, როგორც „დაუდგენელი პირები“. ამის შემდეგ განმცხადებელს და მის ოჯახს მუდმივად უწევდა გადაადგილება, რა დროსაც იგი დაშორდა მეუღლეს, რომელმაც არჩია სახლის დაქირავება და იქ უმცროს შვილებთან ერთად შესახლება. განმცხადებლის ვაჟი, რომელიც მასთან დარჩა, სკოლაში აღარ წასულა, რადგან მათ ერთ ადგილას გაჩერება აღარ შეეძლოთ და მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე მხარეები აცხადებდნენ, რომ განმცხადებლისა და მისი ოჯახის გამოსახლება ტრაილერების ბანაკიდან მათი მე-8 მუხლით დაცულ უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა და განხორციელდა კანონის შესაბამისად, ბანაკის მესაკუთრეთა უფლებების დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადასაწყვეტი არ იყო, შეეფასებინა საზოგადოებრივი წესრიგის შესახებ ინციდენტები, რომელზეც ადგილობრივი ხელისუფლება დავობდა, სიმართლეს შესაბამებოდა, თუ არა. ადგილობრივი ხელისუფლება დაეყრდნო კანონმდებლობას, რომელიც ნებას იძლეოდა, რომ განმცხადებლებს მისცემოდათ 28 დღით ადრე შეტყობინება, ისე, რომ ნებართვის დარღვევა ფაქტობრივად არ იყო დადასტურებული. შესაბამისად, ცენტრალური საკითხი იყო, არსებული ნორმატიული ბაზა იძლეოდა თუ არა განმცხადებლებისთვის საკმარის საპროცესო გარანტიებს. განმცხადებლების უფლებებში ჩარევის სიმძიმიდან გამომდინარე, რომელიც მოითხოვდა წონადი მიზეზების დასაბუთებას საჯარო ინტერესების სახით, მოპასუხე სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები შესაბამისად დავინროვდა.

მოპასუხე დავობდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლების გათავისუფლება საიჯარო გარანტიების უზრუნველყოფის ვალდებულებებისგან აუცილებელი იყო ბოშების მომთაბარე ცხოვრების წესისა და ბოშათა ბანაკებში ანტისოციალური ქმედებების გათვალისწინებით. თუმცა თანამედროვე დროში ადგილობრივი მუნიციპალიტეტების უმეტესობაში ბანაკები თავიანთი ბუნებით საცხოვრებელი ადგილი იყო. ის უბრალო ფაქტი, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბანაკებში ანტისაზოგადოებრივი ქმედებები აღინიშნებოდა, თავისთავად არ ამართლებდა გამოსახლებას გამარტივებული პროცედურის შესაბამისად. სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ სპეციფიკას, რომლის გამოც შეუძლებელი იქნებოდა ტრაილერების ბანაკების მართვა, მათ რომ დაკისრებოდათ ვალდებულება, ხანგრძლივადიანი მფლობელების გასახლებისას, მიზნები მიეთითებინათ. ფაქტობრივად, ადგილობრივ მუნიციპალიტეტს არანაირი ვალდებულება არ ეკისრებოდა, რომ დაესაბუთებინათ ბოშების გასახლება.

ვინაიდან მუნიციპალიტეტს გასახლების ღონისძიების დასაბუთება არ ევალდებოდა, შესაბამისად, არც სასამართლოში გასაჩივრებას ჰქონდა აზრი. თუნდაც სახელმწიფოსთვის მინიჭებული მიხედულების ფარგლების კონტექსტში მოპასუხე მხარემ ვერ აჩვენა, თუ რატომ იყო საჭირო ბოშების გამოსახლებისთვის გამარტივებული პროცედურის გათვალისწინება, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე და ბოშებისთვის საპროცესო გარანტიების მიუცემლად.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტისთვის გამოსახლების უფლებამოსილების მინიჭება და მისი არდატვირთვა მიზნების დასაბუთების ვალდებულებით, რაიმე კონკრეტულ მიზანს ვერ ემსახურებოდა. განმცხადებლის გამოძევებას თან არ ახლდა შესაბამისი საპროცესო გარანტიები და ამიტომ არ შეიძლებოდა, გამართლებულიყო, როგორც „მწვავე სოციალური საჭიროება“ თანაბარზომიერი ღონისძიება დასახული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად. შესაბამისად, აღინიშნა მე-8 მუხლის დარღვევა.

სახელმწიფოს დაეკისრა 14 000 ევროს გადახდა განმცხადებლის სასარგებლოდ, მისთვის მიყენებული მორალური ზიანისთვის.¹⁷¹

171 იხ. აგრეთვე: ვინტერშტეინი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ (*Winterstein et autres c. France*), განაცხადი no. 27013/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 17 ოქტომბრის გადაწყვეტილება; იორდანოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ (*Yordanova and Others v. Bulgaria*), განაცხადი no. 25446/06, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დიდი პალატის 2001 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებები საქმეებზე: ჩემპენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Chapman v. the United Kingdom*), განაცხადი no. 27138/95; ბიარდი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Beard v. the United Kingdom*), განაცხადი no. 24882/94; კოსტერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Coster v. the United Kingdom*), განაცხადი no. 24876/94; ლი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Lee v. the United Kingdom*), განაცხადი no. 25289/94; და ჯეინ სმიტი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Jane Smith v. the United Kingdom*), განაცხადი no. 25154/94.

წინა მესაკუთრის მიერ სახელმწიფოსგან თაღლითური გზით ბინის შესყიდვის გამო ბინის კეთილსინდისიერი შემძენის უფლების გაუქმება; სახელმწიფომ არ შეაფასა ბინის კეთილსინდისიერი შემძენის გამოსახლების თანაბარზომიერება: დადგინდა დარღვევა¹⁷²

2005 წელს განმცხადებელმა მოსკოვში იყიდა ბინა და დაიწყო იქ ცხოვრება ვაჟთან ერთად. ბინა მანამდე სოციალური საცხოვრისი იყო, რომელიც მოსკოვის მერიას ეკუთვნოდა და პრივატიზაციის გაყალბებული სამართალწარმოებით, თაღლითურად შეეძინა ბინის გარდაცვლილი მფლობელის სავარაუდო მეუღლეს, X-ს. X-მა ბინა მიჰყიდა მესამე მხარეს, რომელმაც შემდეგ მიჰყიდა განმცხადებელს. 2008 წელს მოსკოვის საბინაო დეპარტამენტმა უჩივლა განმცხადებელს და მანამდე მესაკუთრეებს და ამტკიცებდა, რომ ბინა თაღლითური გზით იყო შეძენილი X-ის მიერ. დეპარტამენტმა ეროვნულ სასამართლოში პრივატიზაციის გაუქმება და ყველა შემდგომი გარიგების ბათილად ცნობა მოითხოვა. ეროვნულმა სასამართლომ დააკმაყოფილა სარჩელი მას შემდეგ, რაც მიიჩნია, რომ X საცხოვრებელი საცხოვრისის მფლობელის მეუღლე სინამდვილეში არ იყო და შესაბამისად, ბინას მისი გარდაცვალების შემდეგ ვერ გადაიფორმებდა. შედეგად, გაუქმდა განმცხადებლის უფლება ბინაზე და მის მკაპრონედ მოსკოვის მერია გამოცხადდა.

აღნიშნულ საქმეზე მოპასუხე სახელმწიფო ამტკიცებდა, რომ საქმეზე პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება არ ვრცელდებოდა, რადგან ეს კერძოსამართლებრივი დავის საკითხი იყო, თუმცა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმიდან აშაკარად ჩანდა, რომ დავის მხარე იყო საჯარო უწყება და არა კერძო პირი. უფრო მეტიც, საკითხი, რომელიც ეროვნულ დონეზე განხილვისას წამოიჭრა, იყო სოციალური საცხოვრისის ქირავნობის უფლება და საბინაო რეგისტრაციის დროს ჩადენილი თაღლითობა, რაც საჯარო სამართლის მოქმედების ფარგლებში ხვდება და სახელმწიფოს პასუხისმგებლობას იწვევს. შესაბამისად, სახელმწიფო უწყება ეროვნულ დონეზე წარმოებული სასამართლო განხილვის კერძოსამართლებრივი მხარე არ ყოფილა და საქმეზე პირველი ოქმის პირველი მუხლის მოქმედება ვრცელდებოდა, კერძოდ, მისი პირველი პუნქტის პირველი წინადადება, რომლის თანახმადაც, უზრუნველყოფილია საკუთრების ფლობისა და მისით სარგებლობის შეუფერხებელი უფლება.

მართალია, არსებობდა გარკვეული ეჭვი ჩარევის კანონიერებასთან დაკავშირებით, ევროპულმა სასამართლომ მაინც მიიჩნია, რომ განმცხადებლის უფლებაში ჩარევას კანონიერი საფუძველი ჰქონდა და მიზნად ისახავდა ლეგიტიმური საჯარო ინტერესის დაცვას იმ თვალსაზრისით, რომ ჩარევა ემსახურებოდა სოციალური საცხოვრისის მისაღებად მომლოდინეთა სიაში მყოფი პირების საჭიროებების დამსახურებას.

172 გლადიშევა რუსეთის წინააღმდეგ (*Gladysheva v. Russia*), განაცხადი no. 7097/10, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება.

თუმცა ევროპული სასამართლოსთვის გაუგებარი იყო, თალთური მოქმედების შესახებ ხელისუფლებისთვის ცნობილი რატომ არ გახდა იმ დროს, როდესაც შესაბამისი უწყება X-ის მოთხოვნას განიხილავდა. სამოქალაქო რეესტრში მარტივი შემონმებით, რომლის ბეჭედიც გამოყენებული იყო X-ისა და ბინის მფლობელის ქორწინების მონმობაზე, ცნობილი გახდებოდა, ქორწინება ნამდვილი იყო თუ არა. ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს არაფერი უშლიდა ხელს, რომ გადაემონმებინათ X-ის დოკუმენტების ნამდვილობა, სოციალურ ქორწინებასა და პრივატიზაციის შესახებ მისი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე. უფრო მეტიც, როდესაც ბინასთან დაკავშირებით შემდგომი გარეგებები დაიდო, ისინი, ანალოგიურად, უფლებამოსილი სახელმწიფო უწყების მხრიდან ლეგალიზაციას ექვემდებარებოდა,

ასეთ ვითარებაში სახელმწიფო უწყებების შეცდომების შედეგები თავად სახელმწიფოს უნდა ეწვინა და მათი გამოსწორება განმცხადებლის ინტერესების ხარჯზე არ უნდა მომხდარიყო. განმცხადებელს საკუთრება ჩამოერთვა კომპენსაციისა და სახელმწიფოსგან ჩამორთმეული ბინის სანაცვლოდ სახელმწიფოსგან სხვა საცხოვრისის მიღების პერსპექტივის გარეშე. შესაბამისად, ინდივიდს დაეკისრა გადამეტებული ტვირთი, რომელიც საკმარისად არ იყო დასაბუთებული საჯარო ინტერესით. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ პირველი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადების დარღვევა დაადგინა.

ევროპულმა სასამართლომ საკითხი ასევე შეისწავლა კონვენციის მ-8 მუხლის კონტექსტში. კერძოდ, სასამართლომ გაითვალისწინა მე-8 მუხლით გარანტირებული უფლებების ცენტრალური მნიშვნელობა განმცხადებლის იდენტობის, თვითგამორკვევის, ფიზიკური და მორალური ხელშეუხებლობისთვის. შესაბამისად, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები საბინაო სფეროში უფრო ვიწროა, ვიდრე კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების დაცვის შემთხვევაში. განმცხადებლისთვის საკუთრების ჩამორთმევის შემდეგ, შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა ავტომატურად მიიღეს ბრძანება მისი გამოსახლების შესახებ ისე, რომ არ შეუფასებიათ ამ ღონისძიების თანაბარ-ზომიერება, განმცხადებლის ინდივიდუალური გარემოებების ტრილში.

ასევე რელევანტური იყო ის გარემოება, რომ განმცხადებლის საკუთრება გადავიდა სახელმწიფოს და არა კერძო პირის საკუთრებაში, რომელიც შეიძლებოდა ყოფილიყო დაინტერესებული მხარე ბინასთან დაკავშირებით. სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარები, რომლებიც სახელმწიფოს მტკიცებით, მომლოდინე პირთა სიაში იყვნენ აღრიცხულნი, საკმარისად არ იყვნენ ინდივიდუალიზებულინი, რათა მათი პირადი გარემოებები შეპირისპირებოდა განმცხადებლის პირად ინტერესებს. დაბოლოს, განმცხადებელს არ ჰქონდა უფლება, სახელმწიფოსგან სხვა საცხოვრისი მიეღო და სახელმწიფოსაც კეთილი ნება არ გამოუჩენია, გამოსახლების შემდეგ მისთვის მუდმივი ან თუნდაც დროებითი საცხოვრისის დათმობით. შესაბამისად, დაირღვა საცხოვრისის დაცულობის უფლება.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, სახელმწიფოს დაეკისრა ვალდებულება, სრულად აღედგინა განცხადებლის საკუთრების უფლება ბინაზე, გაეუქმებინა მისი გამო-სახლების ბრძანება და გადაეხადა 9 000 ევრო მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

მშენებლობის რეგულაციების დარღვევით აშენებული საცხოვრისის დანგრევის შესახებ თანაბარზომიერების შეფასების გარეშე მიღებული გადაწყვეტილება: დადგინდა დარღვევა; არ დადგინდა დარღვევა¹⁷³

ადგილობრივი კანონმდებლობა ითვალისწინებს, რომ შენობები შეიძლება აშენდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს კანონის შესაბამისად მოპოვებული ნებართვა. ნებართვის გარეშე აშენებული შენობა უკანონოა და დანგრევას ექვემდებარება. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მშენებლობაზე ვრცელდება კანონის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული გამონაკლისები, უკანონო მშენებლობის შემდგომი ლეგალიზება დაუშვებელია. ბულგარეთის უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ეს კანონმდებლობა ასახავს მნიშვნელოვან საჯარო ინტერესს, რომ მშენებლობები მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდეს; მშენებლობების მაკონტროლებელ უწყებებს არ უნდა ჰქონდეთ არანაირი მიხედულება უკანონო შენობების დანგრევის თვალსაზრისით; ისინი უნდა დაინგრეს.

განმცხადებლებმა ააშენეს სახლი წინასწარი ნებართვის მოპოვების გარეშე. ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა შენობის დანგრევის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. პირველმა განმცხადებელმა მიმართა სასამართლოს და ამტკიცებდა, რომ სახლი მისი ერთადერთი საცხოვრისი იყო და მისი დანგრევა მისთვის მძიმე შედეგებს მოიტანდა, რადგან მას სხვა საცხოვრებელი ადგილი არ ექნებოდა. ეროვნულმა სასამართლოებმა მისი სარჩელი არ დააკმაყოფილეს. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ განმარტა, რომ სახლი უნდა დანგრეულიყო, როგორც უკანონოდ აშენებული და რადგანაც მასზე კანონის გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებული გამონაკლისები არ ვრცელდებოდა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე განმცხადებლები დავობდნენ, რომ სახლის დანგრევა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ საცხოვრისის დაცულობის უფლებას დაურღვევდა. პირველი განმცხადებელი ასევე დავობდა, რომ სახლის დანგრევა პირველი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებულ საკუთრების დაცვის უფლებაში არათანაბარზომიერი ჩარევა იქნებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ პირველ განმცხადებელს ჰქონდა სამართლებრივი უფლება სახლზე, ორივე განმცხადებელი აღნიშნულ ადგილას წლების განმავლობაში

173 ივანოვა და ჩერკეზოვი ბულგარეთის წინააღმდეგ (*Ivanova and Cherkezov v. Bulgaria*), განაცხადა no. 46577/15, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილება.

ცხოვრობდა. შედეგად ეს ადგილი ორივე მათგანისთვის „საცხოვრისი“ იყო კონვენციის მე-8 მუხლის მნიშვნელობით. სახლის დანგრევის ბრძანება საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა. ჩარევას კანონიერი საფუძველი ჰქონდა და ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა უნესრიგობის პრევენციას და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობისთვის ხელშეწყობას, რამდენადაც იგი ემსახურებოდა ბულგარეთში ფართოდ გავრცელებულ უკანონო მშენებლობების პრობლემის მოგვარებას.

ევროპული სასამართლოს შესაფასებელი იყო, რამდენად იყო აუცილებელი დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომ განმცხადებლებს დაეკარგათ თავიანთი საცხოვრისი საჯარო ინტერესის ხელშესაწყობად. ამ თვალსაზრისით, შესასწავლი იყო არა მარტო მატერიალურ-სამართლებრივი საკითხები, არამედ საპროცესო ასპექტიც; კერძოდ, იყო თუ არა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სათანადოდ დაცული კონვენციის მე-8 მუხლით დაცული ინტერესები.

იმ ფაქტორებს შორის, რომლებსაც მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს და უნდა მიექცეს ყურადღება ეროვნულ დონეზე უკანონო მშენებლობის დანგრევის საკითხის განხილვის კონტექსტში, არის შემდეგი; საცხოვრისი დაფუძნებული არის თუ არა უკანონოდ; გაცნობიერებული იყო თუ არა უკანონობა საცხოვრისის დაფუძნების დროს; უკანონობის ხასიათი და ხარისხი; უკანონო შენობის დანგრევის ინტერესის დაკონკრეტება; გამოსადეგი ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფის შესაძლებლობა; შესაძლებელი იყო თუ არა ნაკლებ მკაცრი ღონისძიებით საკითხის გადაწყვეტა.

განმცხადებლების საქმის განხილვა აღნიშნულ მოთხოვნებს არ აკმაყოფილებდა. მთელი სამართალწარმოების განმავლობაში აქცენტი ორ საკითხზე იყო გამახვილებული: მშენებლობის ნებართვა გაცემული იყო თუ არა და ხვდებოდა თუ არა იგი გარდამავალი დებულებებით გათვალისწინებულ გამონაკლისებში. უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ არამცთუ არსებითად განიხილა, არც კი ახსენა განმცხადებლის არგუმენტი, რომ დასანგრევი სახლი მისი ერთადერთი საცხოვრისი იყო და სახლის დანგრევას მისთვის მძიმე შედეგი მოჰყვებოდა. ხელისუფლების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ნახსენებ არცერთ ღონისძიებას – დანგრევის ბრძანების აღსრულების გადავადებას, სასამართლო კონტროლს და ა.შ. პრაქტიკული დანიშნულება არ ჰქონდა; ასევე, არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა სოციალური სამსახურების ჩართულობას და თანაბარზომიერების შეფასების არარსებობით გამოწვეული ხარვეზის გამოსწორება არ შეეძლო.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ განმცხადებლები არ იყვნენ უზრუნველყოფილნი სამართალწარმოებით, რომლის ფარგლებშიც ეროვნული სასამართლო სათანადოდ შეაფასებდა საცხოვრისის დანგრევის თანაბარზომიერებას იქ მცხოვრები ადამიანების პირადი გარემოებების ჭრილში. შესაბამისად, აღინიშნა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

სასამართლომ ასევე განიხილა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევის საკითხი. განმცხადებელს ჰქონდა „საკუთრება“ პირველი ოქმის პირველი მუხლის მნიშვნელობით, რადგანაც ბულგარეთის კანონმდებლობის თანახმად, უკანონო შენობები საკუთრების უფლების ობიექტი შეიძლება იყოს და ამასთან, ეროვნულმა სასამართლოებმა დაასკვნეს, რომ პირველ განმცხადებელს ჰქონდა საკუთრების უფლება როგორც მიწის ისე სახლის წილზე. შესაბამისად, დანგრევის ბრძანება შეადგენდა ჩარევას „საკუთრებით სარგებლობის კონტროლის“ სახით. აღნიშნულ ჩარევას ჰქონდა საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში და შესაბამისად, იყო კანონიერი, აგრეთვე, ემსახურებოდა საერთო ინტერესს, რადგანაც მისი მიზანი იყო მშენებლობის რეგულაციებთან შესაბამისობის დაცვა.

მთავარი საკითხი იყო ის, თუ რამდენად სამართლიანი წონასწორობა იყო დაცული პირველი განმცხადებლის ინტერესს შორის, ხელუხლებლად შეენარჩუნებინა თავისი ქონება და საერთო ინტერესს შორის, უკანონო მშენებლობების აკრძალვა ქმედითად ყოფილიყო იმპლემენტირებული. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ განუმარტავს, რომ სახელმწიფოებს მიხედულების ფართო ფარგლები აქვთ სივრცობრივი დაგეგმარებისა და მშენებლობის პოლიტიკის განხორციელების სფეროში. ამის გამო, მსგავს საქმეებზე, კონვენციის მე-8 მუხლიდან განსხვავებით, პირველი ოქმის პირველი მუხლი არ გულისხმობს, რომ უნდა არსებობდეს სამართალწარმოება, რომლის ფარგლებშიც შესატყვისი სამშენებლო ნების იმპლემენტაციის ღონისძიების აუცილებლობა ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს.

პირველი განმცხადებლის შემთხვევაში, სახლი აშენდა ნებართვის გარეშე ისე, რომ გაცნობიერებული იყო მშენებლობის უკანონო ხასიათი და შიდასახელმწიფოებრივი რეგულაციები უხეშად დაირღვა. ამ გარემოებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა პირველი ოქმის პირველი მუხლის კონტექსტში. სახლის დანგრევის შესახებ ბრძანება, რომელიც მისი აშენებიდან გონივრულ ვადაში გაიცა, უბრალოდ, მიზნად ისახავდა თავდაპირველი მდგომარეობის აღდგენას, რომელიც სახეზე იქნებოდა, პირველ განმცხადებელს კანონის მოთხოვნები რომ არ უკულებელიყო. ბრძანებას და მის აღსრულებას კანონის პოტენციური დამრღვევების მიმართ დამაშინებელი ეფექტი ექნებოდა. ეს რელევანტური ფაქტორი იყო, იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად გავრცელებული პრობლემა იყო ბულგარეთში უკანონო მშენებლობები. სახელმწიფოს მიხედულების ფარგლებიდან გამომდინარე, არც ერთი აღნიშნული მოსაზრება არ გადანონილა სახლის შენარჩუნებისადმი პირველი განმცხადებლის მესაკუთრული ინტერესით.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახლის დანგრევა არ გამოიწვევდა ევროპული კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლით გათვალისწინებული საკუთრების დაცვის უფლების დარღვევას.

საჯარო უწყების თანხმობით განმცხადებლის საცხოვრისში შესვლისას განმცხადებლის ქონების დაკარგვის თაობაზე სისხლის სამართლის გამოძიება; ხელი-სუფლების მიერ გატარებული ღონისძიებები განმცხადებლის მიერ თავისი საცხოვრისით სარგებლობის უზრუნველსაყოფად: დადგინდა დარღვევა¹⁷⁴

დამსაქმებელმა – სახელმწიფო ინსტიტუტმა განმცხადებელს მისცა უფლება, განუსაზღვრელი ვადით ეცხოვრა ინსტიტუტის საკუთრებაში არსებულ ბინაში. განმცხადებელი გადავიდა რუსეთში სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად, ხოლო მისი მეუღლე სხვა ქალაქში გადავიდა სამედიცინო მკურნალობის მისაღებად. დამსაქმებელმა განმცხადებლის საცხოვრისში სხვა ოჯახი შეუშვა, რის შედეგადაც განმცხადებლის ნივთების ნაწილი დაიკარგა. ქალაქში დაბრუნებისას განმცხადებელმა და მისმა მეუღლემ ბინაში შესვლა ვერ შეძლეს და იძულებულნი გახდნენ, სხვაგან გაჩერებულიყვნენ. განმცხადებელმა ეროვნულ ღონეზე სასამართლოში საქმე მოიგო, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან 2 წლის შემდეგ აღსრულდა, ხოლო განმცხადებელი და მისი მეუღლე 5 წლის განმავლობაში ვერ შესახლდნენ, რადგან ბინა ისეთ მდგომარეობაში დაუბრუნდათ, რომ იქ ცხოვრება შეუძლებელი იყო. განმცხადებლის მიერ საჩივრის შეტანიდან 7 წლის შემდეგ სისხლის სამართლის გამოძიება, მისი დაკარგული ნივთების თაობაზე, შეწყდა დანაშაულის ნიშნების არარსებობის გამო.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ეროვნულმა სასამართლომ გაითვალისწინა ოჯახის მდგომარეობა, რომელიც დამსაქმებლის გადაწყვეტილებით შევიდა ბინაში საცხოვრებლად, თუმცა მის ხელთ არსებული საშუალებები არ გამოუყენებია განმცხადებლის პირადი და ოჯახური ცხოვრების დასაცავად. მართალია, სასამართლოებმა საბოლოოდ დაადგინეს, რომ განმცხადებელს უფლება ჰქონდა, მფლობელობაში დაბრუნებოდა სადავო ბინა, მაგრამ აღნიშნული გადაწყვეტილება გაუმართლებელი დაგვიანებით იქნა გამოტანილი. მათი გადაწყვეტილების შედეგად განმცხადებლის უფლება, პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრისის დაცულობაზე არ აღდგენილა. განმცხადებლის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილება დაგვიანებით აღსრულდა, ვინაიდან ამასობაში დამსაქმებლის ნებართვით ბინაში შესულმა ოჯახმა ბინა შეისყიდა.

ვინაიდან დამსაქმებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი იყო და საქმიანობას საჯარო ხელისუფლების კონტროლით წარმართავდა, მათ შორის, სახელმწიფოს საბინაო ფონდის მართვასა და განაწილებას, მის მოქმედებაზე სახელმწიფო იყო პასუხისმგებელი. დამსაქმებელს შეეძლო, უფრო ჭეროვნად მოქცეულიყო განმცხადებლის მდგომარეობასთან დაკავშირებით, მაგალითად, მიეცა მისთვის დროებითი საცხოვრისი, განსაკუთრებით, მაშინ, როცა სასამართლომ ამ განმცხადებლის სასარგებლოდ

174 ნოვოსელეცკი უკრაინის წინააღმდეგ (*Novoseletskiy v. Ukraine*), განაცხადი no. 47148/99, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2005 წლის 22 თებერვლის გადაწყვეტილება.

მიიღო გადაწყვეტილება. ამის საპირისპიროდ, დამსაქმებელმა თანხმობა განაცხადა მეორე ოჯახისთვის ბინის მიყიდვაზე, რაზეც საქმის განმხილველ სასამართლოს არ აცნობა. აღნიშნულის გამო, განმცხადებლის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება დაგვიანდა. საბოლოოდ, განმცხადებელს ბინა ისეთ პირობებში გადაეცა, რომ იქ ადამიანის ცხოვრება შეუძლებელი იყო. დამსაქმებელს რემონტი არ გაუკეთებია და ასევე არ მიუღია ზომები ზიანის მიყენებაზე პასუხისმგებელი პირების იდენტიფიცირებისა და პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულებები, აღედგინა და დაეცვა განმცხადებლის უფლება, ქმედითად ყოფილიყო უზრუნველყოფილი მისი საცხოვრისის, პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აგრეთვე იმსჯელა პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევაზე – განმცხადებლის ბინიდან მისი ნივთების დაკარგვის ფაქტზე წარმოებული გამოძიების კონტექსტში. გამოძიება რამდენჯერმე დაიწყო და შეწყდა. არაფერი საქმის მასალებში არ მიუთითებდა, თუ რატომ უნდა გამართლებულიყო გამოძიების 7 წელზე მეტი ვადით გაჭიანურება.

აღნიშნულ საქმეზე ცნობილი იყო იმ პირთა ვინაობა, ვინც შევიდა განმცხადებლის ბინაში. მათ მიერ შედგენილი საბუთის თანახმად, ბინა ცარიელი იყო და ამ საბუთს სხვა პირები აწერდნენ ხელს. პროკურატურამ არ გაამახვილა ყურადღება ამ პირების ბინაში შესვლის მართლზომიერებაზე და შესაბამისი პირების პასუხისმგებლობაზე, მიუხედავად განმცხადებლის არგუმენტებისა. გამოძიება ძირითადად დაინტერესებული იყო იმის დადგენით, მართლაც ჰქონდა თუ არა განმცხადებელს ის ნივთები, რომელთა დაკარგვასაც ამტკიცებდა.

მართალია, ევროპულ სასამართლოს გამოძიების მიერ გამოყენებული მეთოდი კითხვის ქვეშ არ დაუყენებია, სასამართლოსთვის რთული იყო იმის გაგება, თუ რატომ უარყოფდა გამოძიება განმცხადებლის პირადი ნივთების არსებობას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ არსებობდა მოწმე, რომელიც მას ნივთების ბინაში გადატანაში ეხმარებოდა. პროკურატურამ დეტალურად გადაამოწმა განმცხადებლის ნივთების არსებობა, რომელთა დაკარგვასაც ის ამტკიცებდა, მაგრამ იმავდროულად, ხელისუფლების პასუხისმგებლობასა და შესაძლო დამნაშავეებთან დაკავშირებით მისი პრეტენზიების მიმართ იგივე ყურადღება არ გამოუჩენია.

ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სახელმწიფომ სამართლიანი წონასწორობა ვერ დაამყარა კონფლიქტურ ინტერესებს შორის და არანაირი ძალისხმევა არ გამოუჩენია, რომ ქმედითი და მიუკერძოებელი გამოძიება ეწარმოებინა განმცხადებლის დაკარგული ნივთების ფაქტზე მას შემდეგ, რაც საჯარო ხელისუფლებამ ნება დართო მის ბინაში შესვლაზე.

შესაბამისად, დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის პირველი პუნქტის პირველი წინადადება.

სასამართლომ მოპასუხე სახელმწიფოს 8 000 ევროს გადახდა დააკისრა განმცხადებლის სასარგებლოდ, მისთვის მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

ქალების გამოსახლება სახელმწიფოს მიერ მათი მეუღლეებისთვის გადაცემული საცხოვრისიდან, რომლებსაც ისინი 5 წელი არამართლობიერად ფლობდნენ: დადგინდა დარღვევა¹⁷⁵

განმცხადებლები არიან 4 ოჯახის წევრები, რომლებიც ცხოვრობდნენ მათი ოჯახის ზრდასრული მამრობითი სქესის განმცხადებლებისთვის დამსაქმებლის – ფინანსთა სამინისტროს მიერ გადაცემულ საერთო საცხოვრებელში. მდედრობითი სქესის განმცხადებლები საერთო საცხოვრებელში შესახლდნენ 2002-2005 წლებში, როდესაც მეუღლეებზე დაქორწინდნენ. მცირეწლოვანი განმცხადებლები დაიბადნენ და დაიწყეს საერთო საცხოვრებელში ცხოვრება მშობლებთან ერთად 2003-2009 წლების პერიოდში, შესაბამისად.

2010 წელს, ხაზინის მიერ დაწყებული სამართალწარმოების შედეგად, ადგილობრივმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების საცხოვრებელიდან გასახლების შესახებ, ვინაიდან ხელშეკრულება დადებული იყო მათ ქმრებთან და შესაბამისად, ცოლებს უფლება არ ჰქონდათ უფლება, ქმრებთან ერთად ეცხოვრათ საერთო საცხოვრებელში.

2012 წელს, სხვა სამართალწარმოების ფარგლებში, შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ მართალია, მამრობითი სქესის ზრდასრულ განმცხადებლებს არ ჰქონდათ უფლება სოციალური ქირავნობის ხელშეკრულებაზე, ამ პირებისა და მათი მცირეწლოვანი შვილების გასახლება დაუშვებელი იყო ალტერნატიული საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარეშე.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლები საერთო საცხოვრებელში, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში ცხოვრობდნენ და მას თავიანთ „საცხოვრისად“ მიიჩნევდნენ, მე-8 მუხლის მნიშვნელობით. ამას გარდა, მართალია, მათი გასახლების გადაწყვეტილება აღსრულებული არ ყოფილა, შენობის დატოვების ვალდებულების დაკისრება მათი საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევას წარმოადგენდა. ჩარევას ჰქონდა

¹⁷⁵ პოპოვი და სხვები რუსეთის წინააღმდეგ (*Popov and Others v. Russia*), განაცხადი no. 44560/11, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2018 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება.

სამართლებრივი საფუძველი, ლეგიტიმურ მიზნად ისახავდა შენობაში მცხოვრებ სხვა პირთა უფლებების დაცვას.

სახელმწიფოს არგუმენტთან დაკავშირებით, რომ ჩარევა აუცილებელი იყო იმ სხვა პირთა უფლებების დასაცავად, რომლებმაც მართლზომიერად მოიპოვეს საერთო საცხოვრებელში ცხოვრების უფლება, ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ეს პირები საკმარისად არ იქნენ ინდივიდუალიზებული, რათა მათი პირადი გარემოებები შეპირისპირებოდა მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების პირად გარემოებებს. ერთადერთი იდენტიფიცირებული ინტერესი მოცემულ შემთხვევაში იყო ხაზინის ინტერესი, რომელსაც სურდა, რომ თავისი ქონება დაებრუნებინა მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების არამართლზომიერი მფლობელობიდან.

როდესაც შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა საერთო საცხოვრებელიდან მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების გასახლების შესახებ მიიღეს გადაწყვეტილება, მათ გაითვალისწინეს შემდეგი გარემოებები: მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლები საერთო საცხოვრებლის შენობაში არამართლზომიერად იკავებდნენ ადგილს; ისინი დარეგისტრირებულნი იყვნენ, როგორც სხვა ადგილას მცხოვრებლები და ჰქონდათ უფლება, ესარგებლათ სხვა საცხოვრისით; დაბოლოს, მათ შეეძლოთ, თავად აერჩიათ, რომელ მშობელთან ეცხოვრათ მათ მცირეწლოვან შვილებს. ის ფაქტი, რომ მდედრობითი სქესის ზრდასრულ განმცხადებლებს სამართლებრივი საფუძვლების გარეშე ჰქონდათ საცხოვრისი დაფუძნებული საერთო საცხოვრებელში, რელევანტური იყო მათი გასახლების თანაბარზომიერების შესაფასებლად; ასევე რელევანტური იყო ის გარემოება, რომ მათ ალტერნატიული საცხოვრისიც ჰქონდათ. შიდასახელმწიფოებრივმა სასამართლოებმა ამ გარემოებებს საკმარისი წონა მიანიჭეს.

იმავედროულად, საქმის მასალებიდან გამომდინარე, თითოეული ოჯახი იკავებდა ოთახს და მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების გასახლების შემთხვევაში, მათი ქმრები და მცირეწლოვანი შვილები იმავე ფართს დაიკავებდნენ. უფრო მეტიც, ხაზინას ეროვნულ დონეზე არ განუცხადებია, რომ ეს ოთახები სხვა პირებს გადაეცემოდა ან სხვა პირები შესახლდებოდნენ მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების გასახლებით გამოთავისუფლებულ ფართზე. ეს გარემოება ეროვნულ სასამართლოებს არ შეუფასებიათ.

შესაბამისად, ევროპულმა სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს, სამართლიანი წონასწორობა დაემყარებინათ კონფლიქტურ ინტერესებს შორის და შედეგად, დაედგინათ მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევის თანაბარზომიერება. აქედან გამომდინარე, ჩარევა „დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებელი“ არ ყოფილა და მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლების მე-8 მუხლის დარღვევა გამოიწვია.

ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, თითოეული მდედრობითი სქესის ზრდასრული განმცხადებლის სასარგებლოდ, სახელმწიფოს მორალური ზიანის ანაზღაურება დაეკისრა 7500 ევროს ოდენობით.

სახელმწიფომ არ გამოიძია ცნობილი ჟურნალისტის საცხოვრისის დაცულობის უფლებაში მძიმე ჩარევა: დადგინდა დარღვევა¹⁷⁶

განმცხადებელი არის ცნობილი საგამოძიებო ჟურნალისტი, რომელიც მწვავედ აკრიტიკებდა ხელისუფლებას და გამოქვეყნებული ჰქონდა სტატიები, რომლებშიც პრეზიდენტისა და მისი ოჯახის მონაწილეობით კორუფციული გარიგებების არსებობას ამტკიცებდა. 2012 წელს მან მიიღო მუქარის წერილი, რომ შეეწყვიტა საქმიანობა. განმცხადებლის ბინაში დაუდგენელმა პირებმა ფარული კამერები დაამონტაჟეს, მისი ცოდნისა და თანხმობის გარეშე. განმცხადებლის ინტიმური პირადი ცხოვრების ამსახველი ფარული კადრები ინტერნეტით გავრცელდა.

განმცხადებელმა საგამოძიებო ორგანოებს მიმართა, მაგრამ შესაბამისმა უწყებებმა არ განახორციელეს უმარტივესი მოქმედებები, რომელთა საჭიროება აშკარა იყო. ამის ნაცვლად, მათ გამოაქვეყნეს გამოძიების პროგრესის შესახებ ანგარიში, რომლის თანახმადაც, განმცხადებელი და მისი ადვოკატი მედიაში ყალბ ინფორმაციას ავრცელებდნენ. ანგარიში ასევე გამოქვეყნდა განმცხადებლის სენსიტიური პერსონალური ინფორმაცია, კერძოდ, მისი საცხოვრებელი მისამართი, მეგობრების, ოჯახის წევრებისა და კოლეგების სახელები და მისამართები. განმცხადებელმა, *inter alia*, იჩივლა კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ პირადი და საცხოვრისის დაცულობის უფლების დარღვევაზე.

განმცხადებლის წინააღმდეგ ჩადენილი ქმედებები მისი ადამიანური ღირსების შემლახველი იყო. შესაძლო კავშირი იყო განმცხადებლის პროფესიონალურ საქმიანობასა და მისი პირადი ცხოვრებისა და საცხოვრისის დაცულობის უფლებაში ჩარევასთან, მისი დადუმების მიზნით. როდესაც ადამიანი საზოგადოებისთვის კარგად ცნობილია და კონკრეტულად თავისი ჟურნალისტური საქმიანობით, რთულია საჯაროდ დამცირების მუქარის სხვა მოტივის გამოყოფა, თუ არა ამ საქმიანობასთან კავშირში. ასეთი მოტივის არარსებობა შეიძლებოდა ნაჩვენები ყოფილიყო მხოლოდ ქმედითი გამოძიების დამაჯერებელი დასკვნებით. შესაბამისად, საქმის აღნიშნული ასპექტის გამო ცენტრალური მნიშვნელობა შეიძინა საკითხმა, იყო თუ არა სათანადოდ გამოძიებული მუქარის კავშირი განმცხადებლის პროფესიულ საქმიანობასთან და ვისგან მომდინარეობდა ეს მუქარა.

¹⁷⁶ ხადიჯა ისმაილოვა აზერბაიჯანის წინააღმდეგ (*Khadija Ismayilova v. Azerbaijan*), განაცხადები nos. 65286/13 და 57270/14, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2019 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილება.

განმცხადებლის ვარაუდები, რომ მის წინააღმდეგ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულის უკან ხელისუფლების წარმომადგენლები იდგნენ, არაფრით იყო გამყარებული, რათა დადგენილიყო სახელმწიფოს მიერ თავისი ნეგატიური ვალდებულების დარღვევა, არ ჩარეულიყო განმცხადებლის პირადი და საცხოვრისის დაცულობის უფლებაში, თუმცა მისი არგუმენტები მაინც მტკიცე იყო და დაუშვებელი მათი, როგორც ერთი შეხედვით არარეალისტურად მიჩნევა. საჭირო იყო ამ არგუმენტების გამოძიება და მათი მხარდამჭერი მტკიცებულებების მოძიება.

დასაწყისშივე საგამოძიებო ორგანოებს სხვადასხვა და აშკარა ვერსია ჰქონდათ, რომლებთან მიმართებაშიც საკმარისი ნაბიჯები არ გადადგმულა. მნიშვნელოვანი მოწმე ადევკატურად არ დაუკითხავთ და ამ დაკითხვიდან რაიმე ვერსია არ მიუღიათ. მნიშვნელოვანი მოწმის პირველი დაკითხვისას გამოძიებელს არ ჩაუწერია მოწმის ჩვენება და პირიქით, აქტიურად აარიდა თავი ჩვენების ჩაწერას, რომელიც საქმისთვის უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. გამოძიებამ არაფერი გააკეთა იმისათვის, რომ დაედგინა მუქარის წერილის გამგზავნი პირი, ვებგვერდის მფლობელის/ოპერატორის მესაკუთრე, სადაც ვიდეოები განთავსდა, ვიდეოების ამტვირთავების ვინაობა.

წარმოებული გამოძიების ხარვეზებიდან გამომდინარე, აგრეთვე, სამართალწარმოების საერთო ხანგრძლივობის მხედველობაში მიღებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლებამ არ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, სათანადოდ დაეცვა განმცხადებლის პირადი და საცხოვრისის დაცულობის უფლება ქმედითი გამოძიებით. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განიხილა, აგრეთვე, ხელისუფლების მიერ ანგარიშის გამოქვეყნება, რომელიც გამოძიების პროგრესს შეეხებოდა. ამ ანგარიშში გამოქვეყნდა გამოძიების განმავლობაში განმცხადებლისა და მისი გარემოცვის შესახებ არსებული პირადი და სენსიტიური ინფორმაცია. მითითებული იყო განმცხადებლის ბინის მისამართი, სადაც წარმოებდა ფარული ვიდეოგადაღება, განმცხადებლის მეგობარი კაცის ვინაობა, რომელიც ასევე ჩანდა ფარულ კადრებში და ა.შ.

მოპასუხე სახელმწიფოს არ დაუსახელებია რაიმე ლეგიტიმური მიზანი ან ჩარევის აუცილებლობა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სავსებით შესაძლებელი იყო საზოგადოების ინფორმირება გამოძიების პროგრესის შესახებ ისე, რომ იმავდროულად დაცული ყოფილიყო განმცხადებლის პრივატულობა, რასაც საქმის მთლიანი კონტექსტიდან გამომდინარე, წამყვანი მნიშვნელობა ჰქონდა იმის გათვალისწინებით, რომ თავად სისხლის სამართლის გამოძიებაც განმცხადებლის პირადი ცხოვრებისა და საცხოვრისის დაცულობის უფლებაში გაუმართლებელი და უხეში ჩარევის თაობაზე დაიწყო. საქმის ვითარებიდან გამომდინარე, ხელისუფლებას განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოეჩინა, რათა განმ-

ცხადებლის პრივატულობაში უკვე არსებული ჩარევა დამატებით არ დაემძიმებინა. ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემოაღნიშნულმა მე-8 მუხლის დარღვევა შეადგინა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით, მოპასუხე სახელმწიფოს დაეკისრა განმცხადებლისთვის 15 000 ევროს გადახდა მიყენებული მორალური ზიანისთვის.

ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტია¹⁷⁷ და ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა

ევროკავშირის სამართალში საცხოვრისთან დაკავშირებული უფლებების დაცვას ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი ითვალისწინებს. ქარტია ლისაბონის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად და ევროპული კავშირის პირველადი კანონმდებლობის სავალდებულო ძალის მქონე წყაროა.

ქარტიის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი ეფუძნება 1961 წლის 18 ოქტომბრის ევროპული სოციალური ქარტიის მე-13 მუხლს, 1996 წლის 3 მაისის ევროპული სოციალური ქარტიის (შესწორებული) 30-ე და 31-ე მუხლებს და მუშაკთა უფლებების შესახებ ევროპული კავშირის 1989 წლის 9 დეკემბრის სათემო ქარტიას.¹⁷⁸

მესამე ქვეყნის მოქალაქეთა უფლება, რომლებიც ხანგრძლივი ვადით იმყოფებიან ევროპული კავშირის ქვეყანაში, ევროკავშირის მოქალაქეების თანაბრად მიიღონ სოციალური და საბინაო დახმარება¹⁷⁹

ბ-ნი კამბერაჯი არის ალბანეთის მოქალაქე, რომელსაც იტალიაში განუსაზღვრელი ვადით ბინადრობის ნებართვა ჰქონდა. მას უარი ეთქვა გარკვეულ საბინაო შეღავათებზე, ვინაიდან ამ შეღავათების თანხა უკვე გახარჯული იყო. საბინაო შეღავათები ორ კატეგორიად იყოფოდა – ევროპული კავშირის მოქალაქეებისა და მესამე ქვეყნების მოქალაქეებისთვის. მხოლოდ მეორე კატეგორიის საბინაო შეღავათების ხარჯი იყო ამონურული.

177 მუხლი 34 – სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დახმარება

3. სოციალურ გარიყულობასა და სიღარიბესთან საბრძოლველად, კავშირი აღიარებს და იცავს სოციალურ და საბინაო დახმარებაზე უფლებას, ყველა იმ პირის სათანადო არსებობის უზრუნველსაყოფად, ვისაც საკმარისი სახსრები არ გააჩნია, კავშირის სამართლის, ერთგული კანონმდებლობისა და პრაქტიკით გათვალისწინებული წესების შესაბამისად.

178 ევროპული კავშირის ოფიციალური ჟურნალი C 303/17 – 14.12.2007.

179 CJEU, C-571/10, *Servet Kamberaj v. Istituto per l'Edilizia sociale della Provincia autonoma di Bolzano (IPES)*, 2012 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება.

ბ-ნი კამბერაჯის აზრით, აღნიშნულმა დისკრიმინაციული მოპყრობა შეადგინა მისი, როგორც მესამე ქვეყნის მოქალაქის მიმართ, ევროპული კავშირის მოქალაქეებთან შედარებით. ბ-ნი კამბერაჯი მიუთითებდა ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევაზე 2003/109/EC საბჭოს დირექტივასთან ერთობლიობაში. 2003/109/EC საბჭოს დირექტივა მესამე ქვეყნების მოქალაქეების მიმართ, რომლებიც ხანგრძლივი ვადით იმყოფებიან ევროპული კავშირის ქვეყანაში, ითვალისწინებს ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარ მოპყრობას სოციალური დახმარების სფეროში. ეროვნულმა სასამართლომ ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართა. საქმის განმხილველი სასამართლოს შეკითხვა, *inter alia*, შემდეგში მდგომარეობდა: შეადგენდა თუ არა ბ-ნი კამბერაჯის მიმართ მოპყრობა ეროვნული ნიშნით დისკრიმინაციას ევროპული კავშირის ძირითად თავისუფლებათა ქარტიის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის საწინააღმდეგოდ, 2003/109/EC დირექტივასთან ერთობლიობაში.

ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს აზრით, ბ-ნი კამბერაჯის მიმართ მოპყრობა აღნიშნულ დებულებებს არღვევდა, ვინაიდან მესამე ქვეყნების მოქალაქეთა საბინაო დახმარების გამოთვლის მეთოდმა ხელმისაწვდომი სახსრების ოდენობა შეამცირა და მოქალაქეობის ნიშნით პირები არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა. მართალია, ევროკავშირის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს ავტონომიურ განმარტებას სოციალური დახმარების სფეროში, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გამოიყენონ 2003/109/EC დირექტივა ქარტიასთან და, მათ შორის, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტთან შესაბამისობაში.

2003/109/EC დირექტივის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ითვალისწინებს ხანგრძლივი ვადის განმავლობაში ევროკავშირში მცხოვრები პირების მიმართ ევროკავშირის მოქალაქეების თანაბარ მოპყრობას სოციალური უზრუნველყოფის, სოციალური დახმარებისა და სოციალური დაცვის სფეროებში, როგორც ეს ეროვნული კანონმდებლობითაა განსაზღვრული.

მართლმსაჯულების სასამართლოს უნდა შეეფასებინა, საბინაო დახმარება სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის კონცეფციაში ხვდება თუ არა და შეეძლო თუ არა იტალიის ხელისუფლებას თანაბარი მოპყრობის პრინციპი მხოლოდ სოციალური დაცვის სფეროში არსებული „ძირული შეღავათების“ გაცემით შემოეფარგლა იმდაგვარად, რომ გამოერიცხა საბინაო დახმარება.

მართლმსაჯულების სასამართლომ გაითვალისწინა ქარტიის 34-ე მუხლი და 2003/109/EC დირექტივით დასახული მიზნები (წევრ სახელმწიფოში ხანგრძლივი ვადით კანონიერად მცხოვრები მესამე ქვეყნების მოქალაქეთა ინტეგრაცია).

მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ კავშირის კანონმდებლის მიერ მას ეკრძალებოდა ავტონომიური და უნიფიცირებული განსაზღვრების დადგენა, თუმცა ეს წევრ სახელმწიფოებს სრულ კარტლანშს არ აძლევდა. სოციალური უზრუნველყოფის, სოციალური დახმარებისა და სოციალური დაცვის ავტონომიური და უნიფიცირებული განსაზღვრების არარსებობა და 2003/109/EC დირექტივაში ეროვნულ კანონმდებლობაზე მითითება არ გულისხმობს, რომ თანაბარი მოპყრობის პრინციპის გამოყენებისას წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ დირექტივის ქმედითობისთვის ძირის გამოთხრა.¹⁸⁰

ვინაიდან ქარტიას იგივე სამართლებრივი ძალა აქვს, რაც ევროკავშირის ხელშეკრულებებს, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაითვალისწინონ ქარტიის დებულებები ევროკავშირის კანონმდებლობის იმპლემენტაციისას. შესაბამისად, სოციალური უზრუნველყოფის, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული სოციალური დახმარებისა და სოციალური დაცვის ღონისძიებების გატარებისას და 2003/109/EC დირექტივის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული თანაბარი მოპყრობის პრინციპის შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ქარტიით გათვალისწინებული უფლებები და პრინციპები, 34-ე მუხლის მე-3 პუნქტის ჩათვლით.¹⁸¹

როგორც ქარტიის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტი, ისე 2003/109/EC დირექტივის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი მოიხსენიებს ეროვნულ კანონმდებლობას. მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ საქმის განმხილველი ეროვნული სასამართლოს გადასაწყვეტი იყო, შეეფასებინა, საბინაო დახმარება დირექტივის მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ რომელიმე კონცეფციაში თუ ჯდებოდა.

დირექტივის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტი ასევე ითვალისწინებს წევრი სახელმწიფოს მიერ თანაბარი მოპყრობის პრინციპიდან გადახვევის შესაძლებლობას; ვერძოდ, სახელმწიფოს შეუძლია, სოციალური დახმარებისა და სოციალური დაცვის სფეროში თანაბარი მოპყრობა მხოლოდ ძირეული შეღავათებით შემოფარგლოს. შესაბამისად, წამოიჭრა კითხვა, არის თუ არა საბინაო შეღავათი ძირეული შეღავათი. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ამ მიზნით მხედველობაშია მისაღები თავად ქარტიის შესაბამისი მუხლის და დირექტივის მიერ დასახული მიზანი.¹⁸² თუ სადავო შეღავათი ქარტიის 34-ე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ მიზანს ემსახურება, ვერ ჩაითვლება, რომ იგი ძირეული შეღავათი არაა 2003/109/EC დირექტივის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის მნიშვნელობით. შესაბამისად, საქმის განმხილველი ეროვნული სასამართლოს პრეროგატივაა, დაადგინოს, ამ შეღავათის მიზანი, მისი ოდენობა, პირობები, რომლებშიც ის გაიცემა და მისი ადგილი ქვეყნის სოციალური დახმარების სისტემაში.¹⁸³

180 გადაწყვეტილების პუნქტი 78.

181 გადაწყვეტილების პუნქტი 80.

182 გადაწყვეტილების პუნქტი 90.

183 გადაწყვეტილების პუნქტი 92.

კანონმდებლობა საკმარის გარანტიებს არ ითვალისწინებდა საცხოვრისის დაკარგვის პრევენციისთვის, რადგან აღიარებითი სარჩელის აღძვრა მომხმარებლის გამოსახლებას არ აჩერებდა¹⁸⁴

2007 წლის ივლისში ბ-ნმა აზიზმა, ესპანეთში მცხოვრებმა მაროკოს მოქალაქემ ბანკთან დადო სესხის ხელშეკრულება 138000 ევროს ოდენობით. მოთხოვნის უზრუნველსაყოფად ბ-ნი აზიზის საცხოვრისი დაიტვირთა იპოთეკით ბანკის სასარგებლოდ. ბ-ნმა აზიზმა ბანკში შენატანების შეტანა შეწყვიტა 2008 წლის ივნისში. მას შემდეგ, რაც ბანკი უშედეგოდ ეცადა მასთან დაკავშირებას, ბანკმა აღსრულების სამართალწარმოება დაიწყო. როდესაც ბ-ნი აზიზი კვლავაც არ გამოჩნდა, გაიცა აღსრულების ბრძანება. მოეწყო უძრავი ქონების აუქციონი, თუმცა ბიდი არ გაკეთებულა და ესპანეთის კანონმდებლობის თანახმად, ქონება საკუთრებაში გადაეცა ბანკს, მისი ღირებულების 50%-ად. 2011 წლის 20 იანვარს ბ-ნი აზიზი სახლიდან გამოასახლეს. მან მოითხოვა იპოთეკის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძველზე, რომ იგი უსამართლო იყო და შესაბამისად, იპოთეკის აღსრულების სამართალწარმოების შედეგების ბათილად ცნობა.

საქმის განხილველმა სასამართლომ შეკითხვით მიმართა ევროპული კავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ესპანეთის კანონმდებლობის შესაბამისობაზე 93/13/EEC დირექტივასთან მომხმარებელთა ხელშეკრულებებში უსამართლო პირობების შესახებ, გამომდინარე იქიდან, რომ ესპანეთის კანონმდებლობა შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოს მიერ მომხმარებელთა ქმედით დაცვას უკიდურესად ართულებდა.

მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ესპანეთის კანონმდებლობა ძირს უთხრიდა მომხმარებლის ქმედითად დაცვას, რომელსაც 93/13/EEC დირექტივა ისახავდა მიზნად. ეს ხდებოდა ყველა იმ შემთხვევაში, სადაც აღსრულება მიმართული იყო ქონებაზე, ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილებას გამოიტანდა იპოთეკის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით აღძრულ აღიარებით სარჩელზე, იპოთეკის ხელშეკრულებას ბათილად გამოაცხადებდა, პირობების უსამართლობის გამო და შესაბამისად, შეწყვეტდა აღსრულების სამართალწარმოებას. აღიარებითი სარჩელის განხილველ სასამართლოს უფლება არ ჰქონდა, შეეჩერებინა აღსრულების სამართალწარმოება და ხელშეკრულების ბათილად გამოცხადება მხოლოდ კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას იძლეოდა. ეს კომპენსაცია, შესაბამისად, არასრული და არასაკმარისი იყო და ადეკვატურად და ქმედით დაცვად ვერ მიიჩნეოდა. ეს, განსაკუთრებით, ეხება იმ შემთხვევებს, როცა უფლებადარღვეული მომხმარებლის საცხოვრისი იპოთეკით არის დატვირთული, ვინაიდან მომხმარებლის დაცვა შემოიფარგლება ზიანის ანაზღაურებით და ვერ ხდება საცხოვრისის დაკარგვის თავიდან აცილება. შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლომ დაასკვნა, რომ ესპანეთის კანონმდებლობა უფლებების ქმედითად დაცვის პრინციპს არ შეესაბამებოდა.

184 CJEU, C-415/11, *Mohamed Aziz v. Catalonia*, 2013 წლის 14 მარტის გადაწყვეტილება.

EMC